

საქართველო

ლიტერატურული საქართველო * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

22 ოქტომბერი 2021წ. №26 (4025) გამომცემის 90-ე წელი უახლესი 1 ლარი

კარლო კაჭარავას გარდაიული სივრცე ბალერა MODERN ART – 18 დეკემბრამდე

გიორგი ლალიაშვილი
ლონდონიდან

კარლო კაჭარავა (1964-1994) იმდენად ახალგაზრდა ნაწიდა ამქვეყნიდან, რომ შეუძლებელი იყო მისი ნამდვილი ფასის უმაღლესი და გააზრება. უპირველესად არტკრიტიკოსად ვიცნობდით მისი თანამედროვენი და მხოლოდ სიკვდილის შემდეგ გაცხადდა, რომ ის იყო უნიჭიერესი მხატვარი და პოეტი. მისი გარდაცვალების შემდეგ გამოცემულმა ლექსებისა და ესეების კრებულებმა, ასევე გამოფენებმა და-

კვიანმა დასავლური და მსოფლიო მუსიკის გავლენით დაატყო ქართულ სასიმღერო უანსს.

კარლოს გარეშე ჩავლილმა 27 ნელინადმა მისი სახელი გაცილებით გაზარდა და მნიშვნელოვანი გახდა. ამას მოწმობს ლონდონის გალერეა Modern Art-ში გახსნილი გამოფენა, რომელიც 11 ოქტომბერს დაიწყო და 18 დეკემბრამდე გაგრძელდება.

ოქტომბერი, წესისამებრ, უამრავი კულტურული მოვლენით არის ხოლმე დატვირთული ლონდონში. მათ შორის ყველაზე გახმაურებული

არტ ფრიზი (Art Frieze) და ფრიზის ოსტატები (Frieze Masters), უკვე მეტოვრამეტედ გაიმართა, ამჯერად 13-14 ოქტომბერს. არტფრიზის არსებობის განმავლობაში მასში, სამწუხაროდ, არც ერთი ქართული გალერეა არ ყოფილა წარმოდგენილი, მხოლოდ რამდენიმე ქართველ მხატვარი თუ გამოუფენიათ უცხოურ გალერეებს. ნლეულს აქ კარლო კაჭარავა გამოჩნდა. Modern Art-ის გალერეამ მნახველს შესთავაზა მისი სურათი „კლოუნი/ბერგმანი“.

▶▶ დასასრული 80-2 გვ.



ვანო ჩხიკვაძე

დავით!

წამოგენია ჟამი ფლიდი და მოყაშყაშე, ჭვარტლის ყორანი მზეს აბნელებს, ჰაერს აბრუებს. თვითონ ეშმაკსაც დააბრმავებ მაგ ხმლის კაშკაშით – თბილისისაკენ, დავით, ცხენი შემოაბრუნე!

პირუმტიკიცარმა შენ, პირნათელს, როგორ შეგებდა, მკვდრეთით აღმდგარი ცრუ ილლაზი ძეგლებს ეკვეთა – არ შელახულა გვირგვინი და სკიპტრა მეფეთა, ვიდრე ეს ჭირი ქვეყანას არ შემოეფეთა.

როცა დაგტოვეს ამ გუგუნში, სიცხის ლადარში, ეკონათ, დიდი ისტორიის წიგნი დახურეს – ქართლს შემოავლე ცისარტყელად მაგ ხმლის კაშკაში – თბილისისაკენ, დავით, ცხენი შემოაბრუნე!

დიდგორობა, 2021
კონკურს „ძლევაი საკვირველის“ გრან-პრით დაჯილდოებისას წაკითხული ლექსი




გვარნმუნა, რომ კარლო კაჭარავას სახით იმ დახუთულ 1990-იან წლებში არსებობდა სარკმელი, რომელიც დასავლურ კულტურას გვაახლოებდა. ჩვენ ხომ მისგან შევიტყვეთ არაერთი აღიარებული თანამედროვე ამერიკელი და ევროპელი მხატვრისა თუ პოეტის სახელი, ვისზეც საერთოდ არ გვსმენოდა ან ყურმოკვრით გაგვეგო. კარლო იყო ერთგვარი გზამკვლევი და განმანათლებელი ქართველი პუბლიკისა.

ჩემი აზრით, კარლო კაჭარავამ იგივე როლი შეასრულა ქართულ სახვით ხელოვნებაში, ირაკლი ჩარ-



„ლს“ ანკეცა	ინტარვიუ	პროზა	ლიტერატურული საქართველოს შთანაწარები	როგორ ვაკითვით ლექსები?
ანდრო ბუაჩიძე	ვინა ბაინარაძე	ელგუჯა ბარქანიშვილი	აბატა ნაცვლიშვილი	ვლადიმერ მაიაკოვსკი
83.3	83.4	83.6	83.9	83.11

სოლფეჯიო ქართულად, ანუ ახაგდარის დაფასება



ქართული კულტურა მდიდარია მუსიკალური ტრადიციების წარმატებული კვლევითა და ნოვატორული ძიებებით. სწორედ ასეთ კატეგორიას განეკუთვნება კულტურის ცენტრ „მუზაში“ გამართული თამარ გვეტაძისა და ლალი ნადირაშვილის სახელმძღვანელოს, „სოლფეჯიო“-ს პრეზენტაცია. ამ მასშტაბური ღონისძიების ინიციატორი იყო თბილისის მერიის კულტურის სამსახური

(ანა კომლაძე, ია ქარდავა). სალამოზე შეიკრიბნენ ქართული მუსიკალური საზოგადოების წარმომადგენლები, სიტყვით გამოვიდნენ: თბილისის კონსერვატორიის პედაგოგი მანანა კობახიძე, მუსიკის ექსპერტი ლია ბუაძე, პედაგოგი და წიგნის თანაავტორი ლალი ნადირაშვილი, კონსერვატორიის სტუდენტთა კვარტეტი და ხელოვნების სკოლების მოსწავლეები.

ახალგაზრდა თაობის აღზრდის რთულ და მეტად საჭირო საქმეში თავისი დიდი წვლილი შეაქვს რესპუბლიკის დამსახურებულ პედაგოგს, რესპუბლიკის სამგზის საუკეთესო პედაგოგად აღიარებულ, მუსიკის თეორეტიკოსსა და მკვლევარს ქალბატონ თამარ გვეტაძეს. იგი იყო ნოვატორი პედაგოგი, რომელიც არასდროს კმაყოფილდებოდა მიღწეულით და მუდმივად მიმდინარეობდა მისი ცხოვრების მიზანმიმართული მოძრაობა. ამ ძიების ობიექტი ყოველთვის იყო მუსიკალური განათლების ეროვნული ნიადაგი. თამარ გვეტაძე ინტენსიურად მოღვაწეობდა მეთოდურ-პრაქტიკული სპექტრით, სადაც საყოველთაო აღიარება და სიყვარული მოიპოვა, ხოლო მისი ღია გაკვეთილები საქართველოს ეროვნული ტელევიზიით გადაცემოდა რუბრიკით „შეხვედრა ქართულ მუსიკასთან“. ქართული მუსიკალური კულტურის განუსაზღვრელი სიყვარულით შეიქმნა კრებულები: „სოლფეჯიო შეიძლიან სამუსიკო სკოლებისთვის ქართულ მასალაზე“ და „მუსიკალური კარნახები სამუსიკო სკოლებისთვის ქართულ მასალაზე“, რომლებმაც თამარ გვეტაძის ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით შეიქმნა (თანაავტორები: ვლადიმერ ლაბაძე, ანტონინა კოსტოვა). ეს არის ქართულ მასალაზე აგებული პირველი სისტემატიზებული ცდა.

ეროვნული კონცეფციით სოლფეჯიოს კრებულის შედგენა მეტად ძნელი საქმეა. მისი მიზანია მოსწავლეების დაახლოება ქართულ ნაციონალურ მუსიკასთან. აქ გამოყენებულია როგორც ქართული პროფესიული, ასევე ქართული ხალხური სიმღერები. მისი როლი მეტად მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ კომუნისტურ ეპოქაში ქართული სახელმძღვანელო არ გამოიკვეთა და სწავლება რუსულიდან ნათარგმნი ნიგნებით მიმდინარეობდა. ამიტომაც პროფესორი შალვა ასლანიშვილი აღნიშნავდა: „ჩვენი ბავშვები იზრდებიან სხვადასხვა ხალხების სიმღერებზე. ასეთ კრებულს დიდი ხანია ველოდით და ძლივს ველირსეთ“, ხოლო მუსიკისმცოდნე ანტონ ნულუკიძე წერდა: „ეს კრებული პირველია, რამდენადაც დღემდე ვერ არ გვექონია მსგავსი სახელმძღვანელო.“ ნიგნში მოცემული მასალის მიზანდასახული და გეგმაზომიერი განაწილება ხელს შეუწყობს პედაგოგის ორგანიზებულ მუშაობასა და, რაც მთავარია, მოსწავლეების მუსიკალური მონაცემების თანდათანობით განვითარებას, საჭირო ჩვევების გამომუშავებას.

ამას გარდა, ქალბატონი თამარი დაუღალავად მუშაობდა სახელმძღვანელოზე „სოლფეჯიო შეიძლიან სამუსიკო სკოლებისთვის“ (I

ნაწილი), რომელშიც შესულია ორ და სამხმინი ქართული ხალხური მუსიკის ნიმუშები და ქართული კომპოზიტორების ნაწარმოებები. თამარ გვეტაძე სასწავლო პროცესში მუშაობდა ქართული ხალხური სიმღერების პარამონული ელემენტების გამოყენებაზე სოლფეჯიოს გაკვეთილებზე. სწორედ ამ პრობლემის შედეგად წიგნი „ქართული ხალხური მუსიკის პარამონის ელემენტების გამოყენება სოლფეჯიოს გაკვეთილებზე“. ზემოთ ჩამოთვლილი ნაშრომები ნათლად ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ პედაგოგი გამუდმებით ზრუნავდა, მეტი ეროვნულობა შეეტანა მუსიკალურ განათლებაში.

გუგაზ მებრაღია

„პოეზიის ხუთი ხუთი“

კარგა ხანია, მისი უდიდებულესობა – პოეზია – მხოლოდ ლამაზი რითმებით, მოხდენილი მეტაფორებითა და, მით უმეტეს, ვიზუალური ალარ ფასდება (დიახ, დიახ, ამ სამიოდ წლის წინათ, გუმბორელივით მახსოვს, საშუალო „რეიტინგის“ მქონე პოეტზე ყურებად შეყვარებული კრიტიკოსი როგორ გვაკვლიანებდა – მისი ლექსი ვიზუალურადაც პოეზიაა!..).

როგორც ინგლისელ პოეტს, სემუელ კოლერიჯს უთქვამს, შეუძლებელია, იყო პოეტი და, იმავდროულად, ფილოსოფოსი არ იყო. ჩვენი აზრითაც, უსაგნო და უიდეო ლექსი პოეზია ვერ იქნება!..

საუკუნის წინათ რუსულ პოეზიაში ფეხი მოიკიდა იმაჟინიზმმა, რაც ეფუძნებოდა მარტოოდენ გარეგნულ სამყაროს – რითმას – და პრინციპულად უარყოფდა, ქართველი ფუტურისტიებით, იდეას, შინაარსს.

არცთუ უცნობ დეკადენტი პოეტს, ფიოდორ სოლოგუბს, ასეთი „ჩეტვეროსტიში“ აქვს: „ლილა, ლილა, ლილა კაჩალა, / დვა ტელნო-ალიე სტიკლა, / ბელიე ლილე, ალეე ლალა / ბელა ბილა ი ტი ალა.“

ისე, ქართველი მკითხველისთვის ამ უაზრობას ერთგვარი ინტერესი მაინც აქვს – ლირიკოსს, საიდან სადაო და, ორი ქართული სიტყვა გამოუყენებია: ლილა და ლალი!..

ჩვენი მოკრძალებული აზრით, როგორც ჩანს, ჭეშმარიტი პოეზიის საზომად მხოლოდ ერთადერთი უნიკალური ინდიკატორი არსებობს – თანაგანცდის, თანაღმობის გამოწვევის ჯადოსნური უნარი! თანაც, ეს უნარი სინთეზური აღნაგობისაა: დამოკიდებულია ავტორის ნიჭიერებასა და მკითხველის ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე!

რა იგულისხმება ახლა ამ „ინტელექტუალურ შესაძლებლობებში“?

გვეჩვენება, რომ ტერმინი „ინტელექტი“ არცთუ სრულყოფილადაა განმარტებული ლექსიკონებში.

ასე, მაგალითად, თავისთავად მშვენიერ გამოცემაში – მიხეილ ჭაბაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონში“ („განათლება“, 1989 წ., გვ. 159), ვკითხულობთ: „ადამიანის აზროვნების უნარი. გონება, ჭკუა, გონებრივი განვითარების დონე“. ჯერ ერთი, „ჭკუა“ ამ კონტექსტში ნამეტანავად „ნუხს“, უცხოდ გრძნობს თავს. მეორეც ისა, რომ ამ ჩამონათვალს ერთი ფრიად გასათვალისწინებელი რამ აკლია – აზროვნების ხარისხი!

ვფიქრობთ, სადავო არაა, რომ „გონებრივი განვითარებაში“ ავტორის განათლებულობა იგულისხმება, მაგრამ არანაირი განათლება არ უქონია პოეტს, რომელმაც პირველმა შეაღწა ქალი ვარდს!

ისეთი გამოჩენილი ინტელექტუალი, ლიტერატურათმცოდნე და პროზაიკოსი, როგორიც ბატონი აკაკი განაერელია ბრძანდებოდა, ერთგან წერს: „ისეთი დიდი ინტელექტის ადამიანს, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო, შეეძლო ღრმა მოხუცებულობამდე ეწერა შედეგები“.

მკვლევრის აზრით, ინტელექტი არსებობს როგორც დიდი, ასევე პატარა, ანუ როგორც მძლავრი, ასევე სუსტი, თორემ გიმნაზიადამთავრებულ, კანცელარიის უბრალო მოხელედ მომუშავე, ოფიცრობაზე მეოცნებე ახალგაზრდა კაცს რა განსაკუთრებული პუმანიტარული განათლება უნდა უქონოდა, კიდევაც რომ ნიშნავდეს იგი „დიდი ინტელექტს“!

განათლებული და ნაკითხი (და, თანაც, როგორი) მისი გიმნაზიელი მასწავლებელი, ფილოსოფოსი სოლომონ დოდაშვილი იყო, მაგრამ „სულო ბოროტი“, „ფიქრნი მტკვრის პირას“ და „მერანი“ ნიკოლოზ ბარათაშვილმა შეგვიჩინა!

ლექსი და, ზოგადად, პოეტური ნაწარმოები, პირობითად, პიესას შეგვიძლია შევადაროთ – სექტაკლად რომ იქცეს, თეატრალი მაყურებელი სჭირდება!

ხომ საკმარისია ერთი, ერთადერთი ფრაზის გაგონება, რათა უმაღლესი გაგახსენდეთ – რომელი ფილმიდან თუ სექტაკლიდანაა იგი: „აქ რამ მოგიყვანა, შე მადლიანი შენა?“ „ჯერ შეიცადეთ, ვიდრემდე წახვალთ...“

და მაინც, პოეტის ვინაობა ერთი ტაეპის, თუნდაც, ერთი სტრიქონითაც კი გამოიკნობა, ოღონდ მკითხველის მოსმენით: „დედაშვილობამ, მეტს არ გთხოვ, შენს მიწას მიმბარეო!“ „ია პომნიუ ჩუდნოე მგნოვენიე...“ (იმედია, რუსოფილობად არ ჩამეთვლება!), „რამ შექმნა ადამიანად, რატომ არ მოვედ წვიმად!“ „ტი ჟივა, ემრო, მაია სტარუშკა“, „როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი“, „სვინცომ ვ გრუდი ი ჟაფდოი მესტი, პანიკნუე გორდოი გალავოი!“ „ლამის სახლში შემოვიდეს თუთა, ლამის წელზე შემოხვიოს ხელი!“ „პოეტომ მოუეშ ტი ნე ბიჭ, ა გრაჟდანიონომ ბიჭ ობი-აზანი!“ „როგორც საძროხე ქვაბს ობშივარი, ქართლის ხეობებს ასდით ნისლები“, „უმერეტ ვ ეტოი ჟიზნი ნე ნოვო, ნო ი ჟიტ, კონენჩო, ნე ნავეი“, „მომიგონებენ, როგორც ნიკალას და თბილ სამარეს დააბიჯებენ...“

არათუ სხვასთან, საკუთარ თავთანაც რომ მართალი და სამართლიანიც ვიყო, ნიმუშად მოვიშველიებ ე. წ. „თავისუფალ“ ლექსებსაც იმის დასტურად, რომ, როდესაც პოეტად მოვლენილი ავტორის ლექსს კითხულობ, საერთოდ აღარ იგრძნობა ურთიმობა ანუ, ეს ის შემთხვევაა, ორ სხვადასხვა სალექსო ჭურჭელში პოეზია როცა ასხია (ტ. ჭანტურია); ისიკავა ტაკიბოკუ: „ერთხელ, ხუმრობით, დედაჩემი მხარზე შევისვი. იგი იმდენად მსუბუქი იყო, რომ უცებ ცრემლი მომერია და ველარ ვზიდ“.

კიდევ მეტად „მოიჭერ ქამარს“ და სულაც ოთხსიტყვიან ლექსს შემოგთავაზებთ: „ნავი-და თოვლი, მოვიდა მინა!“ (შოთა ჩანტლაძე). თვითმიზანი რომ ყოფილიყო, დარწმუნებული ბრძანდებოდა, კიდევ არაერთი დიდი თუ თვალსაჩინო პოეტის ტაეპი აღმოჩნდებოდა ამ ჩამონათვალში, ვთქვათ, იმავე, გრიგოლ და ირაკლი აბაშიძეების, ძმები ჭილაძეების, ბესიკ ხარანაულის და სხვათა, მაგრამ, თუ მავანსა და მავანს მაინც ნახდევს სული და

მისაყვედურებს (ან გულში გაივლებს), რაღა იმ „სხვათა“-ში მომყოლეო, გაგკანდიერდები და განთქმულ პოლემისტსა და ენაკვიმატს, ცხოვრებულ ბესო უღენტს დავესესხები – დამშვიდდით, ბატონებო, თქვენ არც იმ „სხვათა“-ში არ მიგულისხმობართო!

ხოლო, თუ უფრო სერიოზულად, მაშინ ან მე ვინ მომამავა პოეტების „დახარისხების“ უფლება, ანდა რა სჭირდათ დაუსახელებლობის: ტიციანს, პაოლოს, გაფრინდაშვილს, ჩიქოვანს, გრიშაშვილს, ნონიშვილს, მირცხუღავას, აბაშელს, გაბესკირიას, ხალვაშს, მარგანს, გაჩეჩილაძეს, წერეთიანს, გორგილაძეს, ჯაყელს, კილასონიას, აბრამიშვილს, ბექიშვილს, ალხაზიშვილს, კუხიანიძეს, მოლაშხიას, მეტურიაშვილს, მამფორიას და, საბედნიეროდ, კიდევ ბარეორს?

ახლა კი დროა, ნერილის სათაურს მივხედოთ.

სავარაუდოდ, მკითხველს, ალბათ, აინტერესებს, რა შუაშია აქ „პოეზიის ხუთი ხუთი“.

70-იანი წლების დასასრულს საქტელურადიოკომიტეტს თავმჯდომარეობდა ბატონი ნუგზარ ფოფხაძე. უნდა ითქვას სიმართლე: ეს არ ყოფილა თავმჯდომარეობა მხოლოდ, ეს გახლდათ ჭეშმარიტი მოღვაწეობა! იმ რამდენიმე წლის განმავლობაში, ბატონი ნუგზარის თაოსნობითა და შიგადაშიგ ავტორობითაც, რამდენიმე ახალი პროექტი გადახალისდა რადიოსა და, მომეტებულად, ტელევიზიის პროგრამები. მათ შორის, მაყურებლებში დიდი მოწონებით სარგებლობდა „პოეზიის ხუთი ხუთი“. პოპულარული ქართველი მსახიობები, როგორებიც იყვნენ: სერგო ზაქარიაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, უმანგი ჩხეიძე (ფონოგრამით), ეროსი მანჯგალაძე, ზინა კვერენჩილაძე, გურამ სალარაძე, მურმან ჯინორია კითხულობდნენ ქართველი და უცხოელი პოეტების საუკეთესო ლექსებს... ახლაც ყურში ბორბავს სალარაძის მიერ ბრწყინვალედ წაკითხული პეტეფის „მიყვარხარ, ძლიერ, ძლიერ“...

საოცარია, რატომ შეაქცია ხელისუფლებამ და – ნაბაძეთი – საზოგადოებამაც ზურგი თავისუფალ საქართველოში არათუ მხოლოდ პოეზიას, საერთოდ, ქართულ მწერლობას?!

გასაგებია, რომ ეს ტენდენცია წინა ხელი-სუფლებიდან იღებს სათავეს, მაგრამ დღევანდელისთვისაც მისაღები რატომ შეიქმნა?!

აბა, წარმოიდგინეთ, სამსახურიდან (თუ აქვს!) დაბრუნებული მოქალაქე უზის ღარიბულ სუფრას და უხალისოდ შეექცევა ჩაისა და ხმელა პურს, ხოლო ტელევიზორში მუსიკის ფონზე გაისმის დიქტორის მიმდინარე ხმა, რომ „ქართულში“ სიახლაც: კილოგრამი ნითელი ხიზილალის ფასია 199 ლარი!“

იქნებ, აჯობებდა ამ დროს ამის მოსმენა: „ვინ გაგაკვირვოს, რამ გაგაკვირვოს, ნადიდ-გორალი, ნამამქორალი!“ ან:

უფრო მეტი დაგებადოს ერის მშენი, ენის მშენი!..
არ ჰყოფნიდეს აკვნებადაც შეილთა შენთა ტყენი შენი!

გიზო ზარნაძე
P.S. მაინც რა ჯანდაბამ გამოითიშა და პოეტების ჩამონათვალში რა სიკვდილმა დამავინცა ბატონი შოთა რუსთაველი!

პირველი გვირგვინი

გამოჩენილი შვედი რეჟისორის ფილმის შთაბეჭდილებით შექმნილი ტილო – თუნდაც ეს ერთი ნამუშევარიც საკმარისია საიმისოდ, რომ კარლო კაჭარავას გამოჩენილი ნიჭიერება ირწმუნო. დამთვალიერებელთა უმრავლესობამ ამ ერთი ნამუშევრით გაიცნო და დაინტერესდა ქართველი მხატვრის შემოქმედებით.




ფრიზის დახურვის შემდეგ, Modern Art-ის გალერეა შესაძლებლობას აძლევს ლონდონის პუბლიკას, ახლა უკვე ოლდ სტრიტზე, საკუთარ საგამოფენო დარბაზებში უფრო ვრცლად გაეცნოს კარლო კაჭარავას ხელოვნებას. სანია კანტაროვის და სკოტ პორტნოის კურატორობით გამართულ ექსპოზიციაში ქართველი მხატვრის ორმოცზე მეტ სურათს იხილავთ. აქვე წარმოდგენილია კარლო კაჭარავას პერსონალური ფოტოები, ხელნაწერები, უბის ნიგნაკები.

კარლო კაჭარავას არტს ასე სრულად პირველად გავიცანი და დაგრწმუნდი, რომ იგი არა მარტო თავისი ეპოქის უმნიშვნელოვანესი ხელოვანი იყო, არამედ დღესაც რჩება ყველაზე მნიშვნელოვან და ანგარიშგასაწევ ხელოვნად არა მარტო საქართველოში – მთელი პოსტსაბჭოთა სფეროდან ვერ დაასახელებთ მხატვარს, ვინც კარლო კაჭარავას მხატვრულ ხარისხს და სიახლეს გაუტოლდება. ლონდონში საბჭოეთგამოვლილ მხატვრებს ხანდახან ფენენ, მაგრამ ვერანაირი ჩარჩოს ვერ უსადაგებენ, ალბათ, უფრო იმის საჩვენებლად ამზებულ ბენ თუ როგორი პროვინციული, მკვდრად შობილი და დაშრეტლია ყოფილ საბჭოთა ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული მხატვრების „ხელოვნება“ (თუმცა, საბედნიეროდ, არსებობს იშვიათი გამოჩაქისებიც).

კარლო კაჭარავას ექსპოზიცია ლონდონში დღეს იკითხება, როგორც ვერდიქტი სნობურ და საკუთარ თავზე შეყვარებული მხატვრების არმიაზე, რომლებსაც იმის ამბიცია გააჩნდათ, რომ მსოფლიო ხელოვნების ჩარხს ატრიალებდნენ არსებითად კი, უღონო და უსახურ ბალახს ახვავებდნენ. გაოცებას ვერ ვფარავ, საოდან მოდიოდა კარლო კაჭარავას ამგვარი შინაგანი თავისუფლება, შეუზღუდაობა მასალაში, ტექნიკასა თუ აზროვნებაში!

მას უდავოდ გააჩნდა ტელეპატიური უნარი, თითქმის იზოლაციაში ეკეთებინა იმის ტოლფარდი არტი, რაც იმხანად დასავლეთში იქმნებოდა.

ეს უკვე მოვლენაა ხელოვნების ისტორიაში და მის ფურცლებზე კარლო კაჭარავას მარადიულ დამკვიდრებას მოასწავებს.



თანამედროვე ქართული მოთხრობა: ბაქსი და სინამდვილე

1. თქვენი აზრით, როგორ აისახავს თანამედროვე ქართულ მოთხრობაში დღევანდელი, პირველადი-საზოგადოებრივი პრობლემები?
2. რა თემა უნდა მიაძვინდებოდა ავტორებმა ყურადღებას?
3. როგორ წარმოგიდგებათ ავტორის, როგორც პროზაიკოსის, ინტელექტუალური და მოქალაქეობრივი სახე: მასში ლიტერატურული უფრო მეტია თუ ცხოვრებისეული?
4. თქვენი დაკვირვებით, რა დანადგარები ახლანდელ რულს ასრულებს მოთხრობაში მწერლის ავტორიტეტს?
5. როგორ იხატება თანამედროვე ქართული კავიატი სახე, მხატვრული ტიპი?
6. ხდებოდა თუ არა შინაგან კავშირს თანამედროვე ქართულ მოთხრობასა და ქართულ კლასიკურ (მე-19-მე-20-საუკუნეების) პროზას შორის?
7. რა განსხვავებაა მე-20 საუკუნის მწერის ნაწარმის მხატვრული სტილი და დღევანდელ თანამედროვე სტილს შორის?
8. როგორ ავსავსებთ თხრობის თანამედროვე მანერასა და სიუჟეტის განვითარების ტექნიკას?
9. გაქმავდით თუ არა პროზის ენა, ანუ ქართული, როგორც ასეთი?
10. რა დანადგარები მოქმედებს პროზაში ასაკისა და ცხოვრებისეული გამოცდილების ფაქტორი?
11. თქვენთვის მისაღებია თუ არა მწერლის თაობაზე დაყოფის ტენდენცია: „დეკლარაციური“, „სახელმწიფო“, „გამოცდილური“, „ცოცხალი კლასიკისა“ და ასე შემდეგ.
12. სად უფრო ხშირად კითხულობთ მოთხრობას – გაქმავით ლიტერატურულ გამოცემაში, ინტერნეტში თუ წიგნებში?
13. ბოლო დროს ვინ მოთხრობაში მოგწონათ?
14. დასასრულა თანამედროვე (მოქმედ) ქართულ პროზაიკოსთა სურათი.

ანდრო ბუაჩიძე

1. რასაც ვიტყვი, ის ყველა მწერალს არ შეეხება, მაგრამ საერთო სურათი ასეთია: მწერალთა გარკვეულ ნაწილს აკლია ინტელექტი. რა თქმა უნდა, მოთხრობა ინტელექტით არ იქმნება, მწერალი, უპირველეს ყოვლისა, მხატვარი უნდა იყოს, მაგრამ ღრმა აზროვნება და შესაბამისი განათლება აუცილებელი პირობაა, რათა მთავარსა და არსებითზე ვისაუბროთ. მოთხრობების დიდი ნაწილი არასაინტერესო ადამიანებზე იწერება. ეს ადამიანები „ბომბები“ ან ვაგზლის მეძვები არიან, რომლებიც უარგონით საუბრობენ. ამ სოციალური წრის აღწერა თანამედროვე ავტორს უფრო რთული და საინტერესო ადამიანები ჩვენში, არ ვიცი. ამიტომ თანამედროვე ქართულ მოთხრობაში დღევანდელს მეტ-ნაკლები სისრულით ვერ ვხედავ.

2. დღეს მოდარბა თანადროულობა და არა თანამედროვეობა, წერენ მოთხრობას და ცდილობენ, ეს მოთხრობა „მარადიული ავანგარდის“ ან „პოსტმო-

დერნის თარგზე“ მოქრან. ვიღებთ ფორმალურ ნონსენსს და, ვინაიდან პოსტმოდერნიზმის სუბიექტის უნიფიცირება ხდება, ზნეობრივი დეგრადაციის პრობლემა კალმოსნებს თავიდანვე ხელიდან უსხლტება. არადა, დღეს საქართველოში (და არამარტო ჩვენში) სულიერების კვდომისა და პრიმიტიული მატერიალიზმის აღზევების ხანაა. ადამიანებში მიტაცებისა და მომხვეჭელობის ველური ინსტინქტი ბატონობს. მწერლებიც ამაზე უნდა წერდნენ. ეს ტრაგედიაა. ადამიანმა სახე დაკარგა.

3. მწერალს უნდა ჰქონდეს ინტელექტი. ამ ინტელექტის მეშვეობით მან მთავარ ღირებულებებს უნდა მიაკვლიოს ადამიანში. მთავარი ღირებულებების გარეშე ადამიანი ცხოველს ემსგავსება. პირველ რიგში, აი, ეს უნდა განჭვრიტოს შემოქმედმა.

4. მოთხრობაში მწერლის ავტორიტეტი რაფა მთავარ როლს ასრულებს. ნებისმიერ აღმოჩენამდე მწერალი თავისი პირადი ცხოვრებისეული გამოცდილებით უნდა მივიდეს.

5. არ ვიცი. ასეთი კრებითი სახე, ანუ თულ ლიტერატურაში არ მინახავს. შეიძლება მე გამომეპარა.

6. ყველაზე კარგი „ევროპული რადიუსის“ ქართველი პროზაიკოსები ჩვენ მე-20 საუკუნის ოციან წლებში გვყავდა: მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, კონსტანტინე გამსახურდია (მოთხრობები და ნოველები), ლეო ქიჩელი („პაკი აბა“), დემნა შენგელია („სანავარდო“ და „ბათა ქექია“)...

7. ქვეტექსტური სტილი დღესაც შეიძლება არსებობდეს და არსებობს კიდევ.

8. ნაწარმოებში თუ საინტერესო ადა-ლირიკულ პროზასაც ვგულისხმობ, უშუალო თხრობის მანერა და სიუჟეტის განვითარების ტექნიკა არაფრისმთქმელია.

9. პროზის ენა დღევანდელ ნაწარმოებებში ზოგადად არ მომწონს. ამ ნიშნით ნაადრევად დაღუპული მწერლის, ზაზა თვარაძის ორ ნაწარმოებს გა-

ვისხენებდი. ეს ნაწარმოებებია „სიტყვები“ და „მონტებულსუ“. აქ ენობრივი სისავსე თვალმისაცემია.

10. პროზაში სწორედ გამოცდილება მთავარია. ეს გამოცდილება შეიძლება ახალგაზრდა მწერალსაც ჰქონდეს.

11. მწერლების თაობაზე დაყოფა ჩემთვის არასაინტერესოა. მთავარი ნიჭია.

12. დღით გამოცემებში ვკითხულობ.

13. ბოლო დროს ნაკითხულთაგან არც ერთი მოთხრობა არ მახსენდება.

14. სხვადასხვა დროს ვწერდი რეცენზიებს თანამედროვე ქართულ პოეტებზე და პროზაიკოსებზე, რადგან მიმაჩნდა, რომ კრიტიკულ ვაკუუმში ცხოვრება არასასურველია. ზოგჯერ ისეთ მწერალზეც დამინერია, რომლის ნაწარმოებზეც მკაფიო შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა. ახლა კი, უბრალოდ, ვერ ვიცი საამისოდ. ხუთეულის დასახლება გამიჭირდება.

ანი დიდიფილი

ალეხანდრო გონსალეს ინარიტუს ფილმიდან „21 გრამი“ (2003) ერთ-ერთი პერსონაჟი – პოლ რივერსი – მონოლოგში ამბობს, რომ ადამიანის სული 21 გრამს იწონის:

„ისინი ამბობენ, რომ ადამიანები რაღაც წონას ვიკლებთ...“

ზუსტად სიკვდილის მომენტში. ყველა ჩვენგანი.

და რამდენი ეტევა ამ გრამებში? რამდენს ვიკლებთ? რამდენს ვიმატებთ?

21 გრამს: შოკოლადის ფილის წონას; კოლიბრის წონას; 5 პატარა მონეტის წონას...“
მავანი ობიექტურად იფიქრებს, სადაც სულის წონა გაიგო კაცმა, იქ სიყვარულის ანონავაც არ იქნებოდა უტოპიო, მაგრამ გუგლი ამ საკითხზე დუმს, უფრო სწორად, ერთი და ისიც „სახუმარო“ პასუხი აქვს: „სიყვარული ზუსტად 1,22 კგ-ს იწონის, აქ არა „ემოციურ კილოგრამებზე“, არამედ ყურძნის იმ რაოდენობაზე ვსაუბრობ, რაც ერთი ბოთლი შამპანურის წარმოებისთვის არის აუცილებელი“. მოკლედ, რა თქმა უნდა, სიყვარულის წონის გაგება რაციონალურ აქტებს არ ექვემდებარება და ჯობს, ისევ წარმოსახვას მივანდოთ ეს ამბავი.

„სიყვარულის წონა“ რუსუდან რუხაძის მოთხრობების მესამე კრებულია, რომელიც აერთიანებს 6 მოთხრობას: „მეორე ნაკითხვა“, „ადმირალის დაბრუნება“, „ნესი გერცენი“, „ჩიტი ქვაზე“, „შიშველი აკაკი“ და „სიყვარულის წონა“. თითოეული ვოლუმი სახასიათო პერსონაჟებს, რომელთა მსგავსაც ვიცნობთ, შევხვედრებით ან თავად ვართ; ესეც ერთი მიზეზით, როგორც „ჩანერიკო N75, მენაპირე“-ში ვკითხულობთ, ცხოვრება ყველგან ერთნაირია: „აქ ახლა ვილაცამ მადვიდარა დაადუმა და ძილი გააგრძელა, ვილაცამ ისევ ვერ გაბედა სიყვარულის ახსნა, ვილაცამ ჩაის კოფი ნავაგს გააყოლა...“

ერთგან თქვეს, „სიყვარულის წონა“ ისეთი მოთხრობების კრებულია, რეცეპტების ნიგზში მისი მომზადების წესი რომ ეწეროს, ბოლოს დააყოლებდნენ ერთ მნივე სიყვარულს და ერთსაც სევდასო – ეს მოსაზრება მომწონს და მხარს ვუჭერ. ყველა მოთხრობა სავსეა სიყვარულის სევდიანი ამბებით, თუმცა თხრობა არ არის განულილი, ხელოვნური, ბანალური და, რაც მთავარია, – მოსაწყენი; ყველა პერსონაჟს აქვს ინდივიდუალურობა, საკუთარი ენა, ფიქრები, ხასიათი... სევდა ტექსტებში ფაქიზად შემოდის (მნივეად) და

სიყვარული 1,22 კილოგრამი არ არის

იმედგაცრუებული ადამიანების ცხოვრება არა სიბრაღის გრძობას – როგორც ეს იაფფასიან საპნის ოპერებში ხდება ხოლმე – არამედ ემპათიას იწვევს.

კრებული „მეორე ნაკითხვით“ იწყება და მოგვითხრობს ემერიტუსის ამბავს, რომელსაც ახალგაზრდა ბიჭი ნიგნებს უკითხავს და თან მოხუცისგან გზადაგზა იგებს კითხვის ესთეტიკურ მრწამსს. „ტექსტს თავისი ალგებრა და გეომეტრია აქვს, – ამბობს გურამ ცოტაძე, იგივე ნატალინი და მალევე ამბობს, – ფინალი ხშირად დასაწყისთან გაბრუნებს და წრე იკრება“. აღსანიშნავია ისიც, რომ აქვე ვიგებთ ავტორის საყვარელ მწერალთა ვინაობას: რიუნოსკე აკუტაგავა, გაბრიელ გარსია მარკესი, ხუან რულფო – იკრება წრე და მკითხველიც ხდება, საიდან მოდის რუსუდან რუხაძის მოთხრობების ალგებრა და გეომეტრიაც. „მეორე ნაკითხვა“, სუბიექტურად, ყველაზე მომხიბლავ მოთხრობად მეჩვენება კრებულში – აქ ლალი იუმორი, მოულოდნელობა, სევდა და დაძაბულობაც კი ფაქიზად მონაცვლეობენ და ეთანამშენიან მკითხველს.

„კოტ დიუვარი და პარაგვაი თანახმა იყვნენ პერელმანის კალენდარზე გადმოსასვლელად, მაგრამ, იცით, რა შემოთვალეს? ჯერ თქვენს ქვეყანაში გამოცადეთ და თუ უკეთ წავიდა ცხოვრება, ახალი წლიდან ჩვენც შემოგიერთდებითო, მაგრამ ნოსირი აჯანყდა – ორშაბათიდან ვეგეტარე ყველა საქმის დაწყებას და ამ დღის ამოღება კარგს არაფერს მოგვითხრობს“, – ორშაბათი მიძიმე დღეა, მაგრამ ისეთი მშრომელი ხალხისთვის, როგორებიც რენა და ქეთინია არიან, ამ დღის გაქრობა პირდაპირ მისწრებაა. „ადმირალის დაბრუნება“ ქალური სოლიდარობისა და, ამავედროულად, უანგარო სიკეთის მანიფესტია, რენა და ქეთინია აფორიაქებულნი უბრუნდებიან სამუშაო ადგილს და ზრუნავენ, რომ მომავალში, როცა სახლი უპატრონოდ დარჩება, ყვავილებმა შეავსონ სივარული და ადამიანის არყოფნა შეუმჩნეველი გახადონ.

„ნესი გერცენი“ კრებულის გამორჩეული მოთხრობაა და ტრაგიკული წარსულის მქონე ქალის ანგეზზე მოგვითხრობს. დედის



სიკვდილის ეპიზოდი, რომელიც მოგვაგონებს სამეგრელოში არსებულ წეს-ჩვეულებას, უდიდეს კვალს ტოვებს მთავარ პერსონაჟზე – ნატალიზე და განსაზღვრავს მის მომავალ ქმედებებსაც. მოთხრობას სხვებისგან გამოირჩეულს არა მხოლოდ სიუჟეტური ქარგა, არამედ ის განცდები და ემოციები ხდის, რასაც ყველა განიცდის – ჩვენ ყველას გვყავს ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც ვაკვირდებით და გვანტერესებს პატარ-პატარა, ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალები მათი ცხოვრებიდან. ნატალი არაა მარტო, როცა მისი ფიქრები ნესის ცხოვრებას უკავშირდება: „როგორ მუსიკას უსმენს; რამდენი ლიფი აქვს; როგორ გამოთქვამს ტყე არტიკლს; მხაპის გადაღება ურჩევნია თუ აბა ზანაში ნებებობა...“

სიკვდილ-სიცოცხლის თემა „სიყვარულის წონაში“ ყველა მოთხრობის თანმდევი გემოა (დავებრუნდეთ კრებულის კერძად ქვეყის ზემომოყვანილ იდეას), თუმცა ყველაზე მეკეთრად მაინც მცირე მოთხრობაში „ჩიტი ქვაზე“ იჩენს თავს. აქ მთავარი პერსონაჟები ნლების შემდეგ იხსენებენ ძველ გასართობს, რომელსაც დღეს თან ახლავს შიში იმისა, რომ ბავშვობისდროინდელი თამაში, შესაძლოა, სულაც აღარ აღმოჩნდეს ძველებურად სახალისო...

კრებულის კულმინაციურ მოთხრობას – „სიყვარულის წონა“ – ეპიგრაფად ეთერ თა-

თარაძის, იგივე ეთეროს სიტყვები ახლავს თან: „ჩვენ დიდხანი შევწყვიტეთ სიყვარულზე საობარ“ და ამ სიტყვებით იწყება შვიდი მოთხრობის ამბავი, უფრო სწორად – „ჩანერიკოები“, რომლებიც, როგორც ვატორი ამბობს: „უნდა ყოფილიყო არა პირველი ან უკანასკნელი, არამედ ძნელად მოსაყოლი, მოუხელთებელი სიყვარულის ამბები, რომლისგანაც, შესაძლოა, მხოლოდ მინაზე არეული სილუეტი, ლოცვის ტექსტი ან პიტნის სუნი შეგვჩვენს თითებზე და მეტი არაფერი“. შვიდი პერსონაჟის: მზეყანას, უფეზურას, მენაპირეს, ბოლოცეცხლას, გარიელას, ჩიბუხელასა და გულნიტელას მონათხრობი ერთი შეხედვით განსხვავებულია, თუმცა შვიდივე მათგანს სიყვარულის თემატიკა აერთიანებს. ისინი თავისებურად უვლიან გვერდს ცხოვრებისეულ პრობლემებს, მაგალითად, ბოლოცეცხლას დარდი რომ შემოანვეთა, ახალ საყვარელს ყიდულობს და წონასწორობის შესანარჩუნებლად სევდას ორად ანაწილებს. ჩანერიკოს შორის, უდავოდ, ყველაზე სევდიანი და ამავდროულად, ლამაზია „N77, გარიელი“ – მარტივი საქმე არაა ერთ გვერდში ასე ფაქიზად, ყოველგვარი ბანალურობისა და ზედმეტი სიტყვების გარეშე მოჰყვე ამბავს.

„სიყვარულის წონის“ (კრებული და არა ბოლო მოთხრობა) ქვაკუთხედია შემთხვევითობა: „ნესი გერცენში“ ნატალი შემთხვევით იგებს, რომ ქმარმა უღალატა და ტბასთან სეირნობისას ასევე შემთხვევით ხედავს ნესის; მოთხრობაში „ჩიტი ქვაზე“ ქეთი ბავშვობის მეგობარ ზურას წლების შემდეგ შემთხვევით ხდება და ასევე იგებს, რომ ოკისურ(ა) იაპონური საქველმოქმედო ფონდის წარმომადგენელი კი არა, რუსიკო ყოფილა შებრუნებით; „სიყვარულის წონაში“ გარიელიც გაზეთში შემთხვევით პოულობს იმ ბიჭის ფოტოს, ნლების წინათ რომ უყვარდა და იმან პერანგზე „მეც“ დაუნერა; და ბოლოს, ნანიკო უზნაძის ისტორიაში თუ შემთხვევითობა არ მოდის მასთან, ის თავად ცდილობს, მიაკითხოს შემთხვევითობას: „ფარულად გამიჯნურებულს ისღა დამჩენოდა, შემთხვევით შეხვედრას დაველოდებოდი და ბედისწერის მენაბა – ნამითაც რომ შეყოვნდე, შესაძლოა, გზაჯვარედინზე ასცდე და ამის შესახებ ვერც ვერასოდეს შეიტყო. ამიტომ, ქუჩაში სიარულისას ხან ფეხს ავუჩქარებდი, ხან კი პირიქით – ტაკით მივუყვებოდი სკოლიდან სახლამდე გამზირს“.

ვია ბეინერტე: „ლაზვიას ორი არჩევანი აქვს: ან აბრეშულ გეოგრაფიას, ან სივილიზაციულ ოჯახში ყოფნა...“



ვია ბეინერტე (1954), ლატვიელი კინორეჟისორი, კულტუროლოგი, პოეტი, ჟურნალისტი. დაიბადა რიგაში, მსახიობთა ოჯახში. დაამთავრა მოსკოვის კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტი (1979) და ლატვიის კულტურის აკადემიის მაგისტრატურა (1994). იყო რიგის კინოსტუდიის დამფუძნებელი რეჟისორი, ამჟამად ჟურნალი „მაიას ვივისისი“ („ჩემი ოჯახი“) მთავარი რედაქტორის მოადგილეა. მისი ფილმი „ეს ყველაფერი ცელქი პაულისას გამოა“ დასახელდა იმ საუკეთესო 25 ფილმს შორის, რომლებიც ოდესმე გადაუღიათ ლატვიაში.

– ქალბატონო ვია, მინდა ცოტა შორიდან დაიწყო. ჩვენს ქვეყნებს რუსეთის იმპერიაში თანაცხოვრების საკმაოდ ხანგრძლივი საერთო წარსული აქვთ. ოქტომბრის ცნობილი გადატრიალების შემდეგ ლატვიაცა და საქართველოც დამოუკიდებელი ქვეყნები გახდნენ. მართალია, საქართველო სამ წელიწადში ნიუტონმა რუსეთმა დაიპყრო, დამოუკიდებელმა ლატვიაში კი, სანამ იმავდროულად გაიზარებდა, ორი ათწლეული წელიწადი იარსებდა. რითი შტავს, თქვენი აზრით, ლატვიის მეორე რესპუბლიკას? ხომ ვერ შეადარებდით მათ? – 1918 წლის 18 ნოემბერსა და 1990 წლის 4 მაისს აერთიანებს სასწაულის, უფლის მადლის, ფსაუღლებელი საჩუქრის შეგრძნება. მტრული ძალებისა და ინტერესების გზაჯვარედინზე მცირერიცხოვანმა ქვეყანამ დამოუკიდებლობის მოპოვება შეძლო. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ შეუპოვობაც გვახასიათებს და ზეშთაგონებაც მოგვდგამს.

ლატვიის პირველმა რესპუბლიკამ ბარონთა მიწები დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ მეომრებს გადასცა და სესხებიც დაურთა. როცა 30-იან წლებში ლატვიას ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი ტანჯავდა, კარლის ულმანისმა ჩვენი მაშინდელი ეროვნული ვალუტის ლატის დეველაცია მოახდინა (მაშინ ლატი ოქროზე იყო მიბმული), რამაც კარაქის, ბეკონისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ინგლისში გაყიდვა მომგებიანი გახადა. დახურდებიან კურსის ექსპორტში მიღებული ყოველი ფუნტი ამჯერად მეტ ლატს იძლეოდა, რომელსაც ულმანის შორემტყვრეტელურად აბანდებდა ინოვაციურ მრეწველობაში. მან მოახდინა „VEF“-ის მოდერნიზაცია, ფორდთან ერთად „Vairogs“-ის ქარხანაში გახსნა საავტომობილო წარმოება, ააგო კეგუმისის ქეი, დოტაციას აძლევდა სოფლის მეურნეობას და ბევრ მცირე ფაბრიკას. ამგვარად, რამდენიმე წელიწადში ქვეყანამ ეკონომიკურ აყვავებას მიაღწია. პრემიერმა გოდმანისმა კი 90-იანი წლების დამთავრების განაცხადა: მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ლატვიას არ სჭირდება, ჩვენ ბანკებისა და მომსახურების ქვეყანა ვიქნებითო. ნაცვლად იმისა, რომ მოხდინა „VEF“-ის, „RVR“-ის და სხვა დიდი და მცირე ქარხნების მოდერნიზაცია, ისინი გაყიდეს, მიაგდეს, გააუქმეს. და აი, შედეგაც. კაპიტალიზმის დროს კრიზისები გარდაუვალია, მაგრამ ამ დროს ხელისუფლების სიბეცით, უპასუხისმგებლობითა და კორუმპირებულობით დაუძღურებულნი ქვეყნები განსაკუთრებით ცუდ დღეში ვარდებიან.

პოლიტიკა მხოლოდ საშუალებაა, მიზანი კი კეთილდღეობა გახლავთ. პირველი რესპუბლიკა შეძლებისდაგვარად ზრუნავდა ხალხის კეთილდღეობაზე, მეორე კი, სამწუხაროდ, ხელისუფლების, მისი სპონსორებისა და კორუპტიული მეგობრების კეთილდღეობაზე ზრუნავს.

– თანამედროვე ლატვიელმა პოლიტიკოსებმა პირველი რესპუბლიკის რომელი გავლენით გაითვალისწინეს და რომელი არა? – ჩემი აზრით, არც არაფერი გაითვალისწინებიათ. – რაში გამოიხატება, ასევე თქვენი აზრით, ქვეყნის მთავარი მიღწევები დამოუკიდებლობის წლებში? – სახელმწიფო დამოუკიდებლობა თავისთავად მიღწევაა. ეს ნიშნავს სიტყვის, გადაადგილების, სინდისის თავისუფლებას. ნიშნავს იმას, რომ ჩემს ნერვებს არ კითხულობს უცხო თვალი; ჩემს სატელეფონო საუბრებს არ აყურადებს უცხო ყური; ჩემს ტექსტებს არ შლის ცენზორი, რომ მე შემიძლია ვიმოგზაურო დაუბრკოლებლად; რომ ჩემს ოჯახს არაფერი ემუქრება იმის გამო, რომ ქრისტიანები ვართ. ნიშნავს იმას, რომ ლატვია

ნატოსა და ევროკავშირის სრულყოფილებიანი წევრია. – რა სიკეთე მოგიტანათ ევროკავშირსა და ნატოში შესვლამ? იქნებ, დანაკარგებსაც შეეხო, თუკი ისინი გქონდათ. – ხელისუფლებაში მოსულ ადამიანებს არ შეეძლოთ ან არ სურდათ ქვეყნის განვითარების პერსპექტივების დანახვა; ასევე, მათ ვერ მონახეს ისეთი იდეა, რომელიც შთააგონებდა და გააერთიანებდა ლატვიისადმი ერთიან განწყობილ მოსახლეობას.

გარდა ამისა, ლატვიელებისთვის დამახასიათებელია სასწაულის, ძალიან განსაკუთრებულისა და კარგის რწმენა. ზოგჯერ ეს გვაგონებს იგავს ერთ გვალვით შეჭირვებულ სოფელზე, როცა მთელი მოსახლეობა შეიკრიბა ეკლესიაში, რათა ღმერთისთვის წვიმის მოსვლა ეთხოვათ, ქოლაგა კი მხოლოდ ერთ ბიჭუნას ჰქონდა.

ბარიკადების დროს, როცა საბჭოთა ტანკებითა და ომონელებით ვიყავით გარშემორტყმული, ერთადერთი, ვისი იმედიც შეიძლებოდა მქონოდა, იყო ღმერთი და... სასწაული მოხდა! სამოქალაქო ომისა და სისხლისღვრის საშინელება აგვცადა. სასწაულით გაბრუნებულნი ჩვენ-ჩვენს სახლებში დაბრუნდით. გვეგონა, შემდგომ ყველაფერი თავისით, უჩვენოდ, ზეგარდმო ნებით მოხდებოდა. ოღონდ ამჟამად სიტყვა „ზეგარდმო“ ღმერთს კი არა, მთავრობას ვგულისხმობდით.

როცა მრეწველობის განადგურება დაიწყო და ყოფილი ფაბრიკა-ქარხნების შენობებში სავაჭრო ცენტრები განათავსეს, ერთმანეთს გაოცებით შეხედეთ, მერე კი ყველამ ჩვენ – ჩვენი საქმე გავაგრძელო; როცა სოფლის მეურნეობის გავრცელება დაიწყო, მოსპეს შაქრის წარმოება და მცირე საწარმოები ლატვიაში, მხოლოდ ხელებს ვშლიდით; განათლებისა და ჯანდაცვის სისტემა თვალწინ გვენგროვდა, მილიონერების რიცხვი კი მატულობდა, ჩვენ კი მოთმინებით ვდუმდით – გვეგონა, რომ ხელისუფალნი სიხარბის დაცხრობის შემდეგ ბოლოს და ბოლოს დაიწყებდნენ სახელმწიფოზე ფიქრს, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი სასწაული არ მოხდა...

ბანკ Parex-ის ვალების სახელმწიფო ხაზინიდან დაფარვისა და ლატის მტკიცე კურსის შენარჩუნებით მთავრობამ ექსპერტების, მათ შორის საერთაშორისო სავალუტო ფონდის, გაერთიანების მოუხედავად, ეკონომიკის დონის დაწვევა აირჩია. ამჟამად მთავრობა ფიქრობს, კიდევ რისი შემცირება, მოკვეცვა და ლიკვიდაციაა შესაძლებელი, მაგრამ განა მარტო ქაშისის მოჭერით მოვახერხებთ გავანახლებას? დიდი დეპრესიის დროინდელმა ამერიკამ დაამტკიცა, რომ ასეთი სცენარი დამლუპველია. ახლო წარსულში იგივე მაგალითი გვიჩვენა არგენტინამაც. შემთხვევით როდი ამტკიცებს ეკონო-

– ევროკავშირისა და ნატოც სულაც არაა გლობალური ორგანიზაციები: ერთი ევროპული, მეორე კი ევროატლანტიკურია, ამიტომ მე ამ კითხვას საერთოდ არ დავსვამდი.

– თუკი ასეთი საფრთხე რეალურია, როგორ ავიცილოთ იგი?

– ენა ჩემი სტიქია, ჩემი გზა და ჩემი სახლია. ამასთანავე, მინდა გავიხსენო ვაცლავ შაველის სიტყვები ლატვიაში სტუმრობისას. მსგავს შეხიბვებზე მან უპასუხა: „ჩვენთან, ჩემთვის, არსებობს ორი სკოლა: შეზღუდულ ნაციონალიზმის მიაჩნიათ, რომ მხოლოდ ყველასა და ყველაფრისგან გამიჯვრით შეძლებს კულტურისა და ტრადიციის შენარჩუნებას, ხოლო ტომამ მასარკის, პირველი პრეზიდენტის, მიმდევრები დარწმუნებული არიან, რომ ენა და ტრადიცია ან არსებობს, ან არ არსებობს.“

მამინ ჩვენი ადგილობრივი ნაციონალიზტები შაველზე ძალიან განაწყენდნენ, მაგრამ, თუ ლატვიელი მშობლოურ ენაზე არ ლაპარაკობს, იგი მას არ იმსახურებს. ჩვენს ეროვნულ თვითშეგნებას ჩვენ თვითონ ვირჩევთ.

– არსებობს თუ არა რაიმე განსაკუთრებული „ლატვიური გზა“ (აკი არსებობს ასეთი სახელწოდების პარტია) და რით განსხვავდება იგი საერთობალტური, ანუ ლიტვიური და ესტონური გზებისგან?

– ჩვენი ამოცანაა, ავალორძინოთ და ავაყვავოთ ლატვია, როგორც მაღალი სულიერი კულტურისა და განვითარებული ეკონომიკის ქვეყანა, სადაც ცხოვრება უსაფრთხო და საინტერესო იქნება, მაგრამ ყოველივე ამას არაფერი აქვს საერთო ზემოთ ნახსენებ პარტიასთან.

– ხშირად ამბობენ ხოლმე, ლატვია ორთქლიანი ქვეყანაა. თქვენ რომ სახელმწიფოს მეთაური იყოთ, რას გააკეთებდით ლატვიელებისა და ლატვიაში მცხოვრებ არალატვიელების დასახელოებად?

– მტკიცება არ შეესაბამება სინამდვილეს. დიას, ლატვიაში საშიშად დიდი რუსულენოვანი პოპულაციაა, მაგრამ პოპულაცია თემი არაა, ამიტომ მე ასე დავსვამდი კითხვას: „ხომ არ გეჩვენებათ, რომ ლატვია ორთქლიანი ქვეყანა ხდება?“

რატომ უნდა იფიქროს ლატვიელებმა რუსების, უკრაინელების, პოლონელების და სხვა მოქალაქეებისა და არამოქალაქეების ინტეგრაციაზე იმიტომ, რომ კარგი მასპინძელი ზრუნავს საკუთარი სახლის ბინადართა – როგორც ოჯახის წევრთა, ასევე სტუმართა – თვითშეგრძნებასა და უსაფრთხოებაზე. კარგი მასპინძელი მოსულთ საშუალებას აძლევს, გაცნონ საკუთარი სახლის ადრე-ნესებს, კარგი მოსული კი პატივისცემით ეპყრობა მას.

1991 წელს ბარიკადებზე იდგნენ არა მარტო ლატვიელები. იმ მილიციელებს შორის, რომლებმაც მხარი დაუჭირეს სახალხო ფრონტს როგორც იანვარში, ასევე აგვისტოს პუტჩის დროს, იყვნენ რუსებიც. რატომ გვახსოვს მარტო ისინი, რომლებიც გვიპყრობდნენ და გადასახლებაში გვგზავნიდნენ, და ვივინყებთ მათ, ვინც ჩვენთან იყო განსაცდელის უამს?

1991 წელს ლატვიელების მხარდასაჭერად რუსები დემონსტრაციაზე გამოვიდნენ. მანქანის მოედანზე 200 ათასამდე ადამიანი შეიკრიბა. ომონმა ვერ დახვრიტა ისინი იმის გამო, რომ პირველ რიგებში ცოცხალ ფარად იყვნენ აღმართულნი სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები მანდატებით ხელში. ლატვიის დამოუკიდებლობის აღდგენაში მონაწილეობისთვის სამი ვარსკვლავის ორდენი გადაეცათ რუს

დემოკრატებს – ალექსანდრ იაკოვლევსა და იური ავანასიევს.

– თქვენ პროფესიით კინორეჟისორი ხართ და ამ სფეროში თავის დროზე საკმაოდ წარმატებულად მიაღწიეთ. რა ხდება დღეს რიგის კინოსტუდიაში?

– დავინწყებ იმით, რომ რიგის კინოსტუდია დღეს აღარ არსებობს. იგი ემსხვერპლა პოსტსაბჭოთა გარდაქმნებს და ამჟამად მხოლოდ ისტორიის ანალებშია შემორჩენილი. არადა, თავის დროზე ეს იყო პატარა საბჭოთა პოლიფუნქციური თავისი მძაფრსიუეტისანი დრამებით, ვესტერნებითა და დეტექტივებით, დასავლური ტიპის მომხიბლავი მსახიობებით (გაიხსენოთ თუნდაც ვია არტმანე, ლილიტა ოზოლინია, ივარს კალინინი და სხვები), რომლებსაც ხშირად ინვესტორები სხვა რესპუბლიკების სტუდიებიც, და მინც, კინოს ჩვენში დღესაც იღებენ, ოღონდ არა იმ ინტენსივობით, როგორც ძველად. რეჟისორები და მსახიობები, მაგლობა ლმერთსა, უწინდებურად გვეყვას, მაგრამ, როგორც ყველაფერში, აქაც საჭიროა სპონსორი, უფრო სწორად, პროდუსერი, რომელიც საბაზრო რისკების გათვალისწინებით დააფინანსებს ამა თუ იმ სურათს.

– თვითონ არ გიცდიათ საკუთარი პროდუსერის მოძებნა?

– არა, მე ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან მთლიანად გადავერთე პოეზიასა და ჟურნალისტიკაზე, სადაც, ვფიქრობ, საკუთარი ადგილი ვიპოვე.

– როგორ შედეგად მით თანამედროვე ლიტერატურულ პროცესს ლატვიაში?

– მას შემდეგ, რაც მწერალი აღარაა იდეოლოგიური ფრონტის მებრძოლი, იგი დაუბრუნდა თავის ბუნებრივ მდგომარეობას, ანუ საკუთარ კაბინეტში სანერ მაგიდასთან მუშაობას. ძველი თაობიდან, რომელმაც ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში მოიპოვა კლასიკოსის სახელი, სულ რამდენიმე პოეტია ცოცხალი – კნუტს სკუნიეისი, იანის პეტერსი, იანის როკველნისი... დანარჩენები დამოუკიდებელი ლატვიის პირმშობები არიან. მათ არ იციან, რას ნიშნავს პარტიული წნეხი, ცენზურა, პუბლიკაციის აკრძალვა, რეპრესია. ბევრს განათლება დასავლეთში აქვს მიღებული, შესაბამისად, ფლობს ენებს და იცნობს უცხოურ მწერლობას. ეს ყველაფერი, ცხადია, დადებითად აისახება მათ შემოქმედებაზე. მართალია, ჯერჯერობით ვერ ვხედავ გამოირჩეულ ვარსკვლავებს, მაგრამ, ცნობილი პერსონაჟისა არ იყოს, „პროცესი ნავიდა“ და შეუძლებელია, მან კარგი ნაყოფი არ გამოიღოს.

– „გაკრიტიკება იგივეა, რაც ავტორისთვის თქმა: შენ ეს ისე არ გააკეთე, როგორც თვითონ გავაკეთებდი, რომ შემიძლებოდაო, – ნერდა კარულ ჩაპუკი. თქვენ რომ შეგძლოთ, რას გააკეთებდით ლატვიის ასაყვავებლად?

– ჩაპუკი ლიტერატურულ კრიტიკოსებზე ამბობდა. ლიტერატურა, პოლიტიკისგან განსხვავებით, მეტად პირადული საქმეა. ლატვიის უბედურება ისაა, რომ ჩვენში დღემდე ვერ ჩამოყალიბდა სამოქალაქო საზოგადოება – გადაწყვეტილებათა მიღებაში მონაწილეობა ხომ ჩვენი ამოცანაცაა და პასუხისმგებლობაც. მე იშვიათად ვკითხულობ კრიტიკოსთა ოპუსებს, მაგრამ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების ანალიზი და კონსტრუქციული კრიტიკა მოქალაქეთა არა მხოლოდ უფლება, არამედ მოვალეობაცაა. სახელმწიფო – ეს ჩვენი ვართ, ყველა ერთად და ყველა ცალ-ცალკე...

ესაუბრა რაულ ჩილაჩავა



თამაზ ნატროშვილი

ქრისტიანული კუნძული

„დამიეტაში მყოფის თქვენის ელჩისაგან მივიღეთ თქვენი დიდებული რჩევა და ბრძანება, რომ ჩემი ძმა ნასულიყო ქრისტიანების შესანუნებლად. ისიც ამ ზრახვასა და ნასულის მზადებაში იყო, როდესაც ბოროტი თათარი შემოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში“ – ამას სწერდა საქართველოს მეფე რუსუდანი რომის პაპს. თითქმის იგივეს იმეორებდა ამირსპასალარი ივანე მხარგრძელი.

მათი წერილები 1224 წელს მიიღეს რომში. თურმე რა ახლოს იყო საქართველოდან მომავალი დახმარება! ორმოცი ათასი მხედარი, უკვე იარაღსამზადებული და საომრად გამზადებული, ახალგაზრდა ქართველი მეფის ლაშა-გიორგის წინამძღოლობით უნდა დაძრულიყო პალესტინისაკენ და ჯვაროსნებთან ერთად მიეტანა იერიში საერთო მტერზე.

უზარმაზარ მაჰმადიანურ ზღვაში ჩაკარგული ქრისტიანული კუნძული დახმარების ხელს უზღვდა ამ მრისხანე ზღვის ტალღებთან შესაბამისობადაც დასავლეთიდან შემოჭრილ ქრისტიანულ ხომალდებს.

„არადავინწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა“ – ყოველთვის ასე ფიქრობდნენ საქართველოში. მანამდეც, ვიდრე ეს სტრიქონი დაიწერებოდა და მერეც, როცა ზეპირად ისწავლეს „ვეფხისტყაოსანი“. მოყვარე ყველა ქრისტიანს ერქვა, მეზობელსაც და შორეულსაც, რადგან ერთი და იგივე ღმერთი სწამდათ, მშობლიურ ენაზე წარმოთქვამდნენ ერთსა და იმავე ლოცვებს ეკლესიაში თუ ბრძოლის ველზე, ჭირში და ლხინში, დაბადებიდან სიკვდილამდე.

ამიტომაც იყო, რომ ძლიერების ყამს საქართველოში მზად იყვნენ ერთმონებრის დასახმარებლად, ხოლო გასაჭირში იმავე ერთმონებრეთაგან ელოდნენ შევლას და მფარველობას.

თამარის საქართველოს ახლომხლო არავინ ეგულებოდა სერიოზული მეტოქე და მტერი. არაბი ხალიფები ველარ ხალიფობდნენ, სელჩუკთა მიერ შეკონინებული იმპერია უკვე ჩაბარდა წარსულს, ჯერ არ დაეღვათ ფეხი ჩვენს მიწაზე მონღოლებსა და ხვარაზმელებს, აკვანში იწვა ოსმალები, დაბადებულნიც არ იყო სეფიანთა დინასტია.

საქართველოს ძლიერი სახელმწიფო აღმოსავლეთის ქრისტიანთა მფარველად თვლიდა თავს. სხვებსაც უფროდდათ მისი, რადგან სიტყვას ადასტურებდა საქმე. როდესაც არდებილის სულტანმა ანისი ააოხრა და ქრისტიანთა სისხლით მორწყო ეკლესიები, საქართველოს მთავრობამ დაუყოვნებლივ გაგზავნა დამსჯელი ექსპედიცია არდებილისაკენ და ანისის ჯავრი იყარა. სომეხი ისტორიკოსი ვარდანი წერდა, თამარის მეფობის ყამს ქრისტიანები გაძლიერდნენ.

საქართველოს სახელმწიფო მიღვანებს კარგად ესმოდათ, რომ ყოველი მხრიდან შემორტყმული მაჰმადიანური ზღვა წაღვევას უქადა ქვეყნის მომავალს. ახალი დამპყრობლის ხელში, დღეს თუ ხვალ, ისევ გაერთიანდებოდნენ დაქუცმაცებული სამთავროები ქრისტიანული კუნძულის მოსასპობად, რადგან ქართველ ხალხს სხვა ენა ჰქონდა, სხვა ღმერთს ლოცულობდა, სხვა ზნე-ჩვეულებანი გააჩნდა, ნგრევას შენება ერჩია, მონობას – თავისუფლებას.

ერთადერთი ენა

მაჰმადიანთა ღმერთმა ერთადერთი ენა იცოდა – არაბული და თავისი მოციქულის პირით მოუწოდებდა ყველა მაჰმადიანს: ებრძოლეთ მათ, რომელთაც არა სწამთ ალაჰი! ფეხზე დააყენეთ მთელი ჯარები, რომ შეაში-

ნოთ ალაჰის მტრები. დახოცეთ ისინი, სადაც კი ჰპოვოთ! თუ ალაჰი თქვენს შემწედ მოვიდა, ვისღა უნდა შეეძლოს თქვენი ძლევა? თქვენი კი არა, ალაჰი ხოცავს მათ! მოციქულო, მორწმუნენი აღძარ საბრძოლველად, ოცმა მათ შორის ორასი ურჯულო დაამარცხოს; ასმა – ათასი, რადგანაც არა სწამთ ალაჰი და არაფერი გაეგებათ. ვინც ალაჰის სასწაულები არ იწამოს, საშინელი სასჯელი მოეღოს, ალაჰი ყოვლისშემძლეა და შურისმგებელი! მორწმუნენო, ებრძოლეთ ურჯულო-

მათ ენოლაბათ გეორგიანები ნიზნიდან „მაშრიყით მალრიკამდე“

ებს, რომელნიც გმეზობლობენ თქვენ; ნუ ეძებთ მათ შორის ნურც მფარველსა, ნურც მეგობარსა! ალაჰისა არის აღმოსავლეთი და დასავლეთი...

ეს სიტყვები ყურანიდან არის ამოწერილი.

კარლ მარქსი აღნიშნავდა, რომ ყურანსა და მასზე დაფუძნებულ მუსლიმანურ კანონმდებლობას მთელი მსოფლიოს ხალხთა გეოგრაფია და ეთნოგრაფია დაჰყავს მარტივ და ხელსაყრელ ფორმულამდე: ორ ნაწილად ჰყოფს ყველას, მართლმორწმუნეებად და ურჯულოებად. ურჯულო – ეს არის „გიაური“, ეს არის მტერი. ისლამი წყველის ურჯულო ხალხებს და გაუთავებელ მტრობას თესს მუსლიმანებსა და ურჯულოებს შორის.

სხვადასხვა სარწმუნოება თიშავდა ხალხებს, მაგრამ მაჰმადიანურ მახვილთან ერთად არსებობდა მაჰმადიანური კულტურაც, რომლის გავლენა ევროპასაც გადასწვდა. „აზიისა და ევროპის საზღვარზე მდებარე საქართველო, – წერდა ივანე ჯავახიშვილი, – აღმოსავლეთის და დასავლეთის ქრისტიანული და მაჰმადიანური კულტურისა და განათლების შემთვისებელი და შემაერთებული იყო!.

საბედისწერო მიჯნასთან

მობდა საოცარი ფერისცვალება და ორსიტყვიანი ზღაპრიდან დაიბადა გენიალური პოემა. გადაიქცა ფიქრებად კეთილსა და ბოროტზე, საწუთროსა და საიქიოზე, გმირობასა და მოყვრისათვის თავდადებაზე, რაინდულ სიყვარულზე, რომელმაც არ იცოდა არავითარი დაბრკობება, იღებდა აუღებელ ციხეს და ამარცხებდა დაუმარცხებელ მტერს. ზღაპრის ორი წვეთიდან გაჩნდა „სიბრძნის ტბა“, სადაც იმ ორი წვეთის აღმოჩენა მიკროსკოპით შეიარაღებულ თვალსაც კი გაუჭირდება.

ქართველი კაცი თვალნათლივ ცნობდა „ვეფხისტყაოსნის“ გმირებში თავის მეფეს, მეზობელს, სატრფოს. ინგროდა სასახლეები და ციხეები, იჩხებოდა ბალი და ვენახი, ხანძარი მთქავდა ტყეს, ნითლად იღებოდა მდინარე, მაგრამ სიცოცხლე მაინც სძლედა სიკვდილს და ხალხის გულში საღვთო მიგნის გვერდით მუდამ უღერდა უკვდავი პოემა. ქრისტიანული მცნება („შეიყვარე მოყვასი შენი...“) დაჩრდილა ლექსმა: „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდა“.

...1220 წელი – საბედისწერო მიჯნა საქართველოს ისტორიაში. არავინ უწყის მომავალი და გულმშვიდად ემზადებიან ჯვაროსანთა დასახმარებლად.

მეხუთე ლაშქრობა

მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობა მიზნად ისახავდა იერუსალიმის განთავისუფლებას მაჰმადიანთა ბატონობისაგან. 1187 წელს ეგვიპტის სახელგანთქმულმა სულტანმა და აიუბიანთა ცნობილი დინასტიის ფუძემდებელმა, ჯვაროსანთა წინააღმდეგ

საღვთო ომის სულსწამდგმელმა სალადინმა აიღო იერუსალიმი, რომელიც თითქმის ერთი საუკუნე ქრისტიანთა ხელში იყო. მანვე დაიპყრო მრავალი ციხე-ქალაქი სირია-პალესტინაში და უკიდურესად შეავიწროვა ფრანკები. ევროპამ მესამე ჯვაროსნული ლაშქრობა გამოაცხადა, მაგრამ რიჩარდ ლომგულის მხედართმთავრობამაც კი ვერ გადაიხსნა გამარჯვების სასწორი ჯვაროსანთა მხარეზე. იერუსალიმი სალადინს დარჩა. XIII საუკუნის დამდეგს – მეოთხე ჯვაროსნული ლაშქ-

რობა, რომელმაც იერუსალიმის მაგიერად რატომაც კონსტანტინოპოლში ამოყო თავი და ბიზანტიის იმპერია დაამხო. იერუსალიმში ისევ მაჰმადიანები ბატონობდნენ. გავიდა კიდევ ათიოდე წელი და დაიწყო მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობა.

1218 წლის მაისში ჯვაროსანთა მხედრობა მიადგა დამიეტას (ნავსადგურია ეგვიპტეში). პალესტინის ეპისკოპოსი ჟაკ დე ვიტრი იმავე წლის სექტემბერში წერილობით უხსნიდა რომის პაპს, თუ რატომ აღმოჩნდნენ ჯვაროსნები ეგვიპტეში. ჟაკ დე ვიტრის სიტყვით, საშინლად ცხელი ზაფხული არ იყო ხელსაყრელი დრო იერუსალიმზე შეტევისათვის. ხოლო ეგვიპტე, იერუსალიმის ხრიოკებისაგან განსხვავებით, ნაყოფიერსა და წყალუბე მხარეს წარმოადგენდა. ძლიერი ციხესიმაგრეები მხოლოდ სამ ქალაქს გააჩნდა, მათ შორის დამიეტასაც, რომელსაც „ეგვიპტის გასაღებს“ უწოდებდნენ და მისი აღება გზას გახსნიდა დანარჩენებისაკენ.

არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ფურათი იძონმებს ჯვაროსან წინამძღოლთა ნათქვამს: „სწორედ ამ მდიდარი ქვეყნის (ე. ი. ეგვიპტის) რესურსების წყალობით დაიპყრო სალადინმა სირია-პალესტინა. თუ ჩვენ დავეპატრონებით ეგვიპტეს, ადვილად შევძლებთ დავიბრუნოთ იერუსალიმი სხვა სამფლობელოებთან ერთად“.

ჯვაროსანთა მხედრობა ეთნიკურად ჭრელი იყო: ფრანგები, იტალიელები, გერმანელები, ინგლისელები... წინამძღოლობდნენ იოანე, მეფე იერუსალიმისა და ლეოპოლდი, ავსტრიის ჰერცოგი.

ზაფხულში ჯვაროსნებთან ჩამოვიდა რომის პაპის ლეგატი კარდინალი პელაგიუსი, რათა ძმობა და ერთობა განემტკიცებინა სხვადასხვა ჯურის ჯვაროსანთა შორის. დამიეტას ალყა გრძელდებოდა.

დაანგრიე და გაღარჩავი

1219 წლის დამდეგს ეგვიპტის სულტანი ალ-ქამილი, ძმისწული სალადინისა, იწყებს საზავო მოლაპარაკებას. მან ჯვაროსნებს შესთავაზა იერუსალიმის სამეფოს დაბრუნება (ორიოდე ციხის გამოკლებით პალესტინა-ეგვიპტის გზაზე, და გარკვეული ხარკი ამის კომპენსაციად) და ოცდაათწლიანი ზავი. სამაგიეროდ ჯვაროსნებს უნდა მიეტოვებინათ ეგვიპტე.

იერუსალიმის მეფე იოანე მზად იყო მიეღო ეს მომზობლა და ხელსაყრელი წინადადება. იგი დამიეტას ოპერაციის საბოლოო მიზნად სწორედ იერუსალიმის სამეფოს აღდგენას მიიჩნევდა. მაგრამ კარდინალმა პელაგიუსმა სასტიკი უარი განაცხადა ზავზე.

კარდინალი აქტიურად ეწეოდა სამხედრო საქმეებში. მისი შეხედულებით, ჯვაროსნები იყვნენ ქვეშევრდომნი რომის ეკლესიისა და არა იერუსალიმის სამეფოსი. მნიფდებოდა

კონფლიქტი ლაშქრობის წინამძღოლებთან. იტალიიდან დიდი რაოდენობით ჩამოსული დამხმარე ძალები თავის ლიდერად აღიარებდნენ კარდინალს. მასვე უჭერდნენ მხარს ტამპლიერთა და ჰოსპიტალიერთა ორდენის ბერი რაინდები. კარდინალ პელაგიუსის ავტორიტეტი განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც „აღმოჩენილ“ იქნა არაბულ ენაზე დანერული წიგნი, რომელიც წინასწარმეტყველებდა დამიეტას დაცემას.

ალ-ქამილმა დახმარებისათვის იხმო თავისი უმცროსი ძმა, დამასკოს სულტანი ალ-მუჰაზამი. ამ უკანასკნელმა, სანამ ეგვიპტის გზას გაუდგებოდა, დაანგრია იერუსალიმის კედლები და სირიის საუკეთესო ციხეები. მათი დაცვა მაინც შეუძლებელი იყო, ვინაიდან სირიაში ძალზე ცოტა რჩებოდა ჯარი. გარდა ამისა, დამასკოს სულტნის ვარაუდით, ქრისტიანებს თუნდაც ხელი ეგდოთ ეს ციხეები, დანგრეულს უცებ ვერ აღადგენდნენ და მაჰმადიანებს ხელსაყრელი პოზიციები ექნებოდათ სირია-პალესტინაში.

ეს მოხდა 1219 წლის მარტში. ახალმა ამბავმა მალე ჩააღწია დამიეტას და შეტევით გართულ ჯვაროსანთა შორის ერთგვარი დაბნეულობა გამოიწვია.

დაიხატა დაიჯა

გაზაფხულზე შინისაკენ გასწია ავსტრიის ჰერცოგმა. მას სხვებმაც მიჰბაძეს. კარდინალი პელაგიუსი ევედრებოდა აბარებულ ჯვაროსნებს, შემოდგომამდე მაინც გაეძლოთ და გულუხვად ჰპირდებოდა ინდულგენციებს არა მარტო მათი საკუთარი ცოდვებისთვის, არამედ იმ ცოდვებისთვისაც, მათი უახლოესი ნათესავები რომ ჩაიდენდნენ მომავალში.

მაგრამ მაჰმადიანთა საქმეც ვერ იყო რიგზე. ეგვიპტის სულტანი ვერაფრით დაეხმარა ალყაშემორტყმულ დამიეტას, სადაც უკვე იჩინა თავი შიმშილმა. ეგვიპტის მოსახლეობის გასამხნეველად კაიროს ქუჩებში ჩაატარეს შებორკილი ტყვეები. შემდეგ ორი კაცი ამოარჩიეს მათგან და ელჩებად გაგზავნეს ჯვაროსანთა ბანაკში.

ალ-ქამილი ადრინდელ საზავო პირობებთან ერთად ჯვაროსნებს ჰპირდებოდა იერუსალიმისა და სხვა ციხეთა აღსადგენი ხარჯების გადახდას, ოცი კეთილშობილი წარმოშობის მაჰმადიანის მიქვლად გადაცემა ციხეების აღდგენამდე და ყველა ტყვე ქრისტიანის განთავისუფლებას, ვინც კი ცოცხალი მოიძებნებოდა ეგვიპტე-სირიაში.

კარდინალი პელაგიუსი კვლავ უარზე იყო. იგი უმტკიცებდა თავის ოპონენტებს, რომ ზავი მაჰმადიანთა ხრიკია, ისინი გაგვითშავენ და მოკლე ხანში იოლად დაიბრუნებენ იერუსალიმს, რომლის მთავარი ციხეები უკვე დაანგრეულა.

შორსმჭვრეტელმა კარდინალმა თავისი გაიტანა და ჯვაროსნებმა გაორკეცებული ენერგიით შეუტიეს მტერს.

1219 წლის ნოემბერში დამიეტა აღებულ იქნა.

დაღვა კაიროს ჯარი

სწორედ ამ დროს ჩავიდნენ დამიეტაში ლაშა-გიორგის ელჩები. კარდინალმა პელაგიუსმა რომის პაპის სახელით მოუწოდა საქართველოს, ჯვაროსანთა დასახმარებლად მხედრობა გამოეგზავნა სირია-პალესტინაში.

ზემოსხენებული ჟაკ დე ვიტრი, რომელიც დამიეტაში გაიცინობდა ლაშა-გიორგის ელჩებს, თავის წიგნში „იერუსალიმის ისტორია“ ასე ახასიათებს ქართველებს:

„ისინი არიან ფრიად მედგარნი და მამაცნი ბრძოლაში, ძლიერნი სხეუ-

ლით და ძლევამოსილი მხედრობა ურიცხვი რაოდენობით. მათ სასტიკად დაშინებული ჰყავთ სარკინოზები, თავიანთი თავდასხმებით ხშირად აყენებენ ზიანს სპარსელებს, მიდიელებს და ასირიელებს, რომელთაც ესაზღვრებიან, მთლიანად გარშემორტყმულნი არიან ურჯულო ხალხებით. მათ ეწოდებათ გეორგიანები, რადგანაც განსაკუთრებულ პატივსა და თავყვანს სცემენ წმინდა გიორგის, ვისაც მფარველად და მედრომედ თვლიან ურჯულოებთან ომებში და ადიდებენ ყველა სხვა წმინდანზე მეტად. ყოველთვის, როცა კი ეწვევიან სალოცავად უფლის საფლავს, ისინი შემოდიან წმინდა ქალაქში გაშლილი დროშებით და არავის უხდინან ხარკს. სარკინოზები ვერანაირად ბედავენ მათს შეწუხებას, რამეთუ შინ დაბრუნებულთი შეუძლიათ შური იძიონ თავიანთი მეზობელ სარკინოზებზე. მათი კეთილშობილი ქალები ამორძალთა დარად შეიარაღებულნი იბრძვიან რაინდების მხარდამხარ...“

შემდეგ ჟაკ დე ვიტრი მოგვითხრობს, რომ ქართველები აღშვითდნენ იერუსალიმის დანგრევის გამო და სასტიკი მუქარა შეუთვალეს დამასკოს სულთანს.

იერუსალიმში ქართული მონასტრები იყო...

ქართველმა ელჩებმა რომის პაპის მოწოდება აუწყეს საქართველოს მეფეს.

ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, ლაშა-გიორგის რაინდულ სულსკვეთებას ასეთი გეგმა კარგად ეგუებოდა და მანაც სიამოვნებით განაცხადა თანხმობა.

ვენეციელი ისტორიკოსი მარინო სანუტო გადმოგვცემს, რომ ქართველები აღაფრთოვანა ჯვაროსანთა მიერ დამიეტას აღება და გადაწყვიტეს, რაც შეიძლება ლიდა წვლილი შეეტანათ ჯვაროსნულ ლაშქრობაში, სახელდობრ – აელთ დამასკო.

ეს საბედისწერო დარტყმა იქნებოდა სალადინის შემკვიდრეთათვის. ალ-ქამილის დასახმარებლად ეგვიპტეში ჩასულ დამასკოს სულტანს უკან გაბრუნება მოუწევდა და ამით მკვეთრად შესუსტდებოდა ჯვაროსანთა წინააღმდეგ დარჩენილი ძალები. სხვა გზას აირჩევდა ალ-მუჰაზამი და მაშინ უარესი კატასტროფა იყო მოსალოდნელი.

ლაშა-გიორგი („ლომი ძალითა და უმანკო გონებითა“) გეგმავდა გაბედულ სამხედრო ოპერაციას. შორი გზა სერიოზულ სამზადისს მოითხოვდა. თავისთავად შორეული ლაშქრობის გამოცდილება უკვე ჰქონდა მიღებული ქართულ მხედრობას. სულ ათიოდე წლის წინათ ჩატარდა ძლევამოსილი რეიდი ხორასნის შუაგულამდე, სადაც, თამარის პირველი ისტორიკოსის სიტყვით, „ქართველთა ნათესავი ვერავინ მიწვენილ იყო ლაშქარად, არა მეფე, არა მთავარი და ვერავინ წინააღმდეგა სპარსეთს შესულთა, ვერ ხვარასნისა სულტანი, ვერ ერასისა და ვერა რომელი თემი“. მხოლოდ ალაფის სიმძიმემ შეანყვეტინა ქართულ მხედრობას ეს გასაოცარი და ტრიუმფული სვლა, რომელიც მონაგონი იქნებოდა ლაშა-გიორგის ლაშქრობასთან. მაშინ გენახათ ქართველი ისტორიკოსის ალტაცება!

ამასობაში ალ-ქამილმა ეგვიპტის გადასარჩენად მოუწოდა თავის მეორე ძმას ალ-აშრაფს, დაიარბევირისა და ხლათის პატრონს, საქართველოს მეზობელს.

ალ-აშრაფი ყოყმანობდა. მისი წავლა მთლიანად უხსნიდა გზას დამასკოსაკენ ქართულ მხედრობას.

ალ-ქამილმა კიდევ ერთხელ შესთავაზა ზავი ჯვაროსნებს და კიდევ ერთხელ გაუშვეს ხელიდან ჯვაროსნებმა მარჯვე შემთხვევა, უომრად დაპატრონდნენ იმ ტერიტორიას, რომლის განთავისუფლება იყო საბოლოო მიზანი მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობისა.

თავად დაჩნუნდავით

დიდმა მხატვარმა და ამდენადვე დიდმა მწერალმა ელგუჯა ბერძენიშვილმა გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ჩემი თხოვნით ორი მცირე ზომის მოთხრობა გადმომცა. ორივე გამოქვეყნებას გადაწყვეტდა, იგი ბევრს მუშაობდა ხელნაწერზე, რამდენიმე ვარიანტს ქმნიდა, სანამ საბოლოოდ დაწერავდა და შეატყობდა, რომ ტექსტში მეტი ჩარევა აღარ იყო საჭირო.

მის პროზაში მაგაურად არის შეზავებული თხრობის სიღრმე და შინაგანი ცეცხლი, რაც ძალზე იშვიათია. პირველ მოთხრობაში ორი ხანდაზმული არისტოკრატი ქალბატონი და მათი მყუდრო გარემოა დახატული. ჩემს სიყმაწვილეთ შიშ მინახავს აქა-იქ შემორჩენილი ასეთი ოჯახები, მაგრამ ახლა მათ ნამდვილად ვეღარ შეხვდებით. რამდენადმე შეიძლება „დაწვრიული ბუდეების“ კომპანის, განუმეორებელი ნიკო ლორთქიფანიძის სამყარო მოვაგონო, მაგრამ ელგუჯა ბერძენიშვილის თვალის და წერის მანერა სხვანაირია. დავაკვირდეთ ერთ წერილს: მანს მეგობარ მანდილოსანთან სტუმრად მისული ქალბატონის გრძელი რედიკული ტარაკანის კრილა ზურგთან არის შედარებული, რასაც მის გარდა ვერავინ შეამჩნევდა და დანერდა.

ამავე მოთხრობაში ხაზგასმულადაა გატარებული ის აზრი, რომ მწერალმა უმეტესად ახლობლებზე უნდა წეროს. მამაზე უფრო ახლობელი ადამიანს ვინ ეყოლება და მეორე მოთხრობა ძვირფასი ელგუჯას მშობელი მამის დასაფლავებაზეა, მაგრამ აქ მიცვალებულის დაუდგარი ხასიათი გასვენებაში მისული მისი მეგობრის მონაყოლიდან ცნაურდება. გამაოგნებელი, სისხლის გამყინავია ტრაგიკული განცდით შეფარულად და მუხტული ფინალი. ერთი შედეგით ელგუჯა ბერძენიშვილისა – „მასპინძელი“ – თვითონ მამამისის ნაამბობზე აგებული.

ჩემი ახალგაზრდობისას მე ხშირად ვხედავდი ელგუჯას მამას რუსთაველზე, რამდენიმე მეგობართან ერთად, ტანდალალი ჭადრების ჩრდილში. იგი ჩემს დაუფინყარ არლი თაყაიშვილს დედის მხრიდან ბიძად ერგებოდა და მისგანაც მქონდა გაგონილი ამ უცნაური კაცის ფიცხ ბუნებაზე. ჩაცმულობასა და იერზე, გამომეტყველებაზე ხელად შეატყობდი გურულობას. გურულადვე რომ ვთქვა, თვალები დაშტრიმული ჰქონდა და მიმინოსავით უელავდა. ძველებურ, ყელზე გვერდულად ღილებშებნულ ხალათზე შემოჭერილი ვერცხლისბალითანი წერილი ქამარის შრის მატება. ბიჭი იყავი და მისთვის ვაგლახად შეგებდა. მამალ ბუზს არ იღვენდა თავზე. ბატონ ისიდორზე ლექსიც მაქვს დაწერილი – „დიდ ხელოვანთა მშობელი“ – ელგუჯას მოენონა, ამდენად, გავკადნიერდები და აქვე მოვიხმობ, სულ ორი სტროფითა:

ხანში შესულიც ცეცხლს კვსავდა,
რა მოდუნება, რის სიმდორე!..
„ლალიდის წყლებთან“ იდგა, მახსოვს –
ბერძენიშვილი, ისიდორე.

ვერცხლის ყაიში ერტყა ნელზე,
იცოდა ვაჟკაცობის ფასი;
თვალეებბრილა – მამა იყო
მერაბისა და ელგუჯასი.

ელგუჯა ბერძენიშვილის ნიჭიერებაზე, მწერლურ ღირსებებზე ბევრი ლაპარაკი არ დამჭირდება. მეოცე საუკუნის ათი საუკეთესო მოთხრობა რომ ჩამოთვალო პირუთვნელად, მიუკერძოებლად, ერთი, ლეო ქიაჩელი „პაკი აძას“ გვერდით, უეჭველად მისი „ხასანბეგურა“ იქნება.

წერავის ეხამუშება და ასეთი ძალით, თანაც ასე ბუნებრივად და მომჭირნედ, მრავლისდამტევად ვინმე პროზას წერდეს, დღევანდელ საქართველოში არავინ მეგულება. ნაიკითხეთ თუნდაც წინამდებარე ორი მოთხრობა და თავად დარწმუნდებით, რომ ეს არ არის ზერელედ, ყასიდად ნათქვამი.

ამზარ კვიტიანიშვილი

ელგუჯა ბერძენიშვილი



ქველავური ალბომი ანუ მწერალს შორს წასვლა არ სჭირდება

მწერალი თემას არ უნდა დაეძებდეს. იგი ყველგანაა, საითაც გაიხედავს! კარგი მწერლისთვის ყველა ფერი საინტერესოა და მის ხელში უმნიშვნელო იქცევა მნიშვნელოვნად.

რალა შორს მივიღვართ. აი, ავიღოთ თუნდაც ეს ძველებური ფოტოსურათების ალბომი. ის წინათ ყველა ოჯახში ჰქონდათ და მის მაგარ ყდაში ჩაკეტილი იყო რომელიმე კეთილშობილური გვარის მთელი ცხოვრება. ასეთი ალბომები დღევანდელ ოჯახებში აღარ არსებობს, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ჩვენ არცთუ დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ვართ გამსჭვალულნი წარსულისადმი.

არ მეგულება რომანისათვის ისეთი უბრალო, მაგრამ დიდებული თემა, როგორცაა ძველი ფოტოსურათების ალბომი. აბა, წარმოიდგინეთ, ამ ალბომს ათვალეირებენ სხვადასხვა პერსონაჟები და რაც ყოველი მათგანის ცნობიერებაში იხატება, განა ის არ შექმნის რომანისეულ სამყაროს, მრავალთა თვალთ შხვადასხვა მხრიდან დახახულს.

დავუბრუნდეთ ძველ დროს და შევიდეთ რომელიმე ძველ ოჯახში (რა თქმა უნდა, მე ბავშვობის მოგონებებს ვეყრდნობი). აი, ნახევრად ბნელში ბრწყინავს ძვირფასი ჭალი. შავად მოელვარე პიანინოში ელვარებს არეკლილი ოთახი, ჭალი, ძვირფასი ნივთები: პიანინოს მანძლები სანთლის შუქზე უკრავენ და ღია ფანჯრებიდან იღვრება პიანინოს ხმა, წვიმის შემდეგ... კედლებზე ძვირფასი შპალერი, მოოქრულწარჩოიანი ძველებური სურათები. აი, ალბომიც!.. ის კუთხეში განცალკევებით ძვეს ხავერდგადაფარებულ პატარა მრგვალ მაგიდაზე. ალბომის მაგარი ყდა მოვარაყებელია ოქროსფერი ლითონით, რომელზეც ამოჭედებულია ზამბახი, პეპელა ან გვირილები, უმეტესად კი აყვავებულ ტოტზე შემომჯდარი ჩიტუნები. ალბომის სქელი და მკვრივი ფურცლები გარედან მოოქრულია. ბურთულეებიანი საკეტებიც გააჩნდა, შიგნით კი წინაპრებს ეძინათ. ყავისფერი სურათები კი გამოხუნებულია სიძველისაგან, მაგრამ ჩვენ მაინც შევძლებთ წარმოსახვის ძალით ვავაცოცხლოთ ფოტოსურათებზე აღბეჭდილი, სამუდამოდ გამყარებული ნამები, ოდესღაც არსებული მჩქეფარე ცხოვრების გაქვავებული ფრაგმენტები.

ნუ გადავშლით ჯერ ალბომს, იდოს თავის ადგილზე, ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით მას.

ამას წინათ სადღაც ამოვიკითხე რომელიღაც მწერლის აზრი. ის ამბობს: ყველაზე დიდებული და ნაყოფიერი ცდები ლიტერატურაში მაშინ მიიღწევა, როცა მწერალი წერას იწყებს საკუთარი, მშობლიური ოჯახის აღწერით. ე. ი. შორს წასვლა არ არის საჭირო. ალბათ, იმიტომ, რომ ისე ახლოს და საფუძვლიანად ვის ვიცნობთ ჩვენ, როგორც ჩვენი ოჯახის წევრებს – დედას, მამას, დაძმებს, დეიდას, მამიდას, მეზობლებს? განა ძველ ალბომში არ თვლემს წარსული, გამჭრალი და მიიწეხებული. ძველებური ალბომი შორეული წინაპრების სურათებით იწყებოდა. დასაწყისის პირველი გვერდიდან დაახლოებით მეთხუთმეტეზე ვინ იყო სურათებზე გამოსახული, არავინ იცოდა. ჩვენი ხსოვნა მათ ვეღარ მისწვდება! ისინი აღარავინ არიან. ისინი, უბრალოდ, ძველი დროის უცნობი სახეების ანაბეჭდები არიან, რომლებსაც დრო, ალბათ, სულ მალე გადაშლის.

ჩვენი ცოდნა წარსულისა ხომ დედ-მამის იქით არ მიდის, დიდი-დიდი, პაპასა და დიდედამდის. სადღეგრძელოში კი დიდის ამბით გაყვირით, ჩვენს მამა-პაპას გაუმარჯოს, მათი ხსოვნა იყოსო, მაგრამ აქ, ალბათ, უფრო შორეული იგულისხმებიან, ისინი, ვინც შრომითა და ომით მოგვიტანა დღემდე ჩვენი ჭირნახული ქვეყანა.

მე ძალიან მიყვარდა, დედას რომ სტუმრად დავყავდი, რადგან ჩემთვის მუხუმი იყო ის კეთილშობილი ოჯახები. აქ ხარბად ვუმზერდი ძველებურ ნივთებს და მათი სილამაზით ვიხიბებოდი. ასეთ ოჯახებში უმთავრესად ქალები იყვნენ და ისინი მუდამ ამბობდნენ: ეჰ, არაფერი დაგვიტოვებს, ეს ხომ წარჩენილია. ვინ ართმევედა და ვის მიჰქონდა? როცა დედას ვკითხე, მითხრა: მეორეჯერ ეგ არ მკითხოო. უდიდესი მღელვარება შემეპყრობდა, როცა სადარბაზოს მივადგებოდი და ზარს დავრეკავდი. ყველაზე მეტად მიყვარდა გიორგი ძიასთან სტუმრობა. ის დედაჩემის ძმა იყო, ხელობით დურგალი. ჩვენს უნივერსიტეტს რომ სახურავზე გუმბათი ადგას, მისი გაკეთებული იყო და ამით ამავებდა. მის ოჯახშიც იყო ალბომი. ამავე დროს კედლებზე მოოქრულწარჩოებიანი სურათები ეკიდა. ისინი ძალზე მიზიდავდნენ, უდიდეს სიამოვნებას და ბედნიერებას მგვრიდა მათი ყურება. აქ კედელზე ეკიდა ნათელ ჩარჩოში ჩასმული სურათი. ეს იყო „ზამთარი ტყეში“; ოქროსფერ ცაზე, ხეებს შორის რომ მოჩანდა, განოლილიყო მონითალო, გრძელი ღრუბელი, სწორედ ისეთი, საღამოს პირზე რომ მინახავს სოფელში. თუმცა ზამთარი არ მიყვარდა და მუდამ მძულდა, აქ კი ისე მომწონდა, რომ სურათს თვალს ვეღარ ვაშორებდი. განსაკუთრებით მაოცებდა დათოვლილი ხეების ტანი, ტოტები, რომლებიც ისე ოსტატურად იყო დამუშავებული, რომ ნამდვილი გეგონებოდა (რაც ასე დამახასიათებელია უმნიშვნელო მხატვრებისათვის და მდარე ფერწერული ტილოებისთვის, რომელთა ადგილი ანტიკვარულ მალაზიასა და რომელიმე უგემოვნებო ოჯახებშია). აი, ასეთ ოჯახებში გავიცანი და მოვიხიბლე კიდევაც ფერწერის ხელოვნებით. და ახლა წარმოიდგინეთ, პარიზში მცხოვრები პატარა ბიჭი შედის ლუვრში

და ხედავს ლეონარდო და ვინჩის, ტიციანს, ვერონესს, ველასკესს, რუბენსს და დელაკრუას...

გვყავდა ნათესავები, რომლებსაც სულ სხვა სურათები ეკიდათ სახლში. ისინიც ღრმად ჩამებეჭდა სულში და ახლაც თვალწინ მიდგას შპალერაკრულ კედელზე დაკიდებული. ეს იყო ზღვის სანაპიროები, მთვარიანი ღამე და მთვარის ანარეკლი ტალღებზე. საათობით შემედლო მათი მზერა. ნავები ირწვოდნენ, ტალღები იგრავნებოდნენ და მესმოდა მათი შრიალი. ზღვის ზედაპირზე არეკლილი მთვარის შუქი მართლა ციმციმებდა, მართლა იძვროდა მაშინ იმიტომ, რომ ბავშვს უფრო მეტი შეაქვს სურათში, უფრო მეტი, ვიდრე სურათშია, მაგრამ მაინც, ყველაზე მეტი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ჩვენი ბათუმელი ნათესავის მიერ ქიმიური ფანქრით დახატულმა შოთა რუსთაველის პორტრეტმა...

მაგრამ ჩვენ ხომ ძველებურ ალბომზე დავინყეთ საუბარი? აი, სად გადატყორცნა ჩემმა ბავშვობის მოგონებებმა ჩემი ცნობიერება, ალბათ, იმიტომ, რომ ალბომიც ბავშვობის ხანას მიეკუთვნება. და ეს ყველაფერი ხომ ალბომის დანახვამ გამოიწვია.

ჰოდა, დავუბრუნდეთ ალბომს. ის ხომ ჯერ არ გადაგვიშლია. ვისია ეს ალბომი? ეს ალბომი ვახლავთ აი, იმ კეთილშობილი ქალბატონის, ძველებურ სავარძელში რომ ზის და ფრანგულად კითხულობს რომანებს. ეს ქალბატონი განმარტოებული ცხოვრობს ჩამორთმეული ოცოთახიანი სახლის ერთ პატარა ოთახში, რომელიც მას დაუტოვეს. ის დიდგვაროვანი ოჯახის ერთ-ერთი უკანასკნელი ნაშეირია. ამ კეთილშობილ მოხუც ქალბატონს არავინ გააჩნია ახლობელი. ვინც კი გააჩნდა, ან გადაასახლეს, ან დახვრიტეს, ან კოჯორთან შეტაკებისას დაიღუპნენ. ქალბატონს ერთადერთი ნათესავი ჰყავს, მასავით გატანჯული და მარტოხელა. აგერ, ისიც! მიიქპარის ნათესავთან ჩვეულებისამებრ, როგორც ყოველთვის, კვირადღეობით. ისინი პროთეზიან პირს პირზე მიადებენ, დამჭკნარ ლოყებს ლოყებზე აუსვამენ მოფერებით, დასხდებიან, მოიკითხავენ ერთმანეთს, მერე ჩაის დაისხამენ, სტუმრის მოტანილ მცირე ნამცხვარს ორად გაიყოფენ და შეეცევიან. ხმადაბლა მასლათობენ. მათი საუბრის თემა, რა თქმა უნდა, წარსულია. საუბრობენ ძალიან ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულვით.

სტუმარი მოხუცი ქალი, მისი შორეული ნათესავი, შავ მანტილიაშია ვახვეული, მალაღია და გაფშეკილი. მომშვილდული, შავი წარბები ამაყად აუზიდავს და გიშრისფერ შავ თვალებზე ნაოჭები აქვს ჩამოფენილი, თვალებს ქვემოთაც შესიებული პარკები ჰკიდა. ოდესღაც ლამაზი და ეშხიანი, მომხიბლავი ქალი იქნებოდა. მიუხედავად მოხუცებულობისა, მაინც ამაყად უჭირავს თავი და მხნედ გამოიყურება. ამ ქალბატონს დიდრონი ძარღვიანი ხელებით მაგრად ჩაუბღუჯავს ანდა ილღიაში აქვს ამოჩრილი გრძელი, დიდი, ტარაკანივით კრილა, შავი რედიკული, ოქროსფერბურთულეებიანი საკეტებით მტკიცედ დახშული.

მეორე ქალბატონი უფრო ნაზია და სუსტი. შეიძლება ახლომხედველიც კია, იმიტომ, რომ ყოველწამს ნაბავს და ჭუტავს საფირონისფერ თვალებს, რომლებიც, ალბათ, რამდენ ვაჟკაცს ხიბლავდა თავის დროზე და

მრავალ პოეტს მშვენიერი ლექსი შეაქმნევინა.

აი, ისინი სხედან უძრავად. შეიძლება ჩაეძინათ კიდევაც. არა! ჩვენ შევცდით. სტუმარს არ სძინავს. ის ალბომს ათვალეირებს. ნელ-ნელა ფურცლავს და დიდხანს აკვირდება ყოველ სახეს. ხანდახან უსახელო თითო ცრემლს იწმენდს თვალთაგან.

ყავისფრად გამოხუნებული ფერმკრთალი სახეები თითქოს უსხოვარი დროიდან იმზირებიან, მაგრამ ქალბატონის გულამდე აღწევს მათი სიცოცხლის უჩინარი სხივები და გულს უთბობს სათნოებითა და სიყვარულით. ნეტარობს ქალბატონის სული, გამთბარა შორეული სიყვარულით, როგორც ნამცხვარი მზის სხივებით ცოცხლდება მოგონებები, შორეული და თითქოს გუშინდელი.

„რატომ არის აქ, როცა ისინი იქ არიან“, – ალბათ, ასე ფიქრობს ქალბატონი საკუთარ თავზე. ანდა, შეიძლება, არაფერსაც არ ფიქრობს, უბრალოდ, წამით გადასახლდა წარმხდარ ჟამში და ნეტარობს მათ გვერდით ყოფნით? შეიძლება ასეც იყოს.

რა მოჩანს სურათზე? ვილაცის ქორწინება. ვისი? რომ ვეღარ იხსენებს! გადაეშალა დროს დიდი მხიარულების ჟამი. შეიძლება თვითონაც კი აქ არის სადმე, თეთრად შემოსილ მანდილოსნებს შორის ან ბავშვებში, თეთრი ვარდების თაიგულები რომ უკავიათ, მაგრამ განა ასე ადვილია დაკარგული დროის მკვდრეთით აღდგენა?

ქალბატონი განაგრძობს ალბომის მშვიდად თვალეირებას. მაგრამ მოულოდნელად რატომ შეკრთა, რატომ გაფთორდა ქალბატონი, რატომ იდებს გულზე ხელს? ის გარინდებული დასცქერის სურათს (მათი მზერა წამით შეხვდა ერთმანეთს) და ქალბატონის მოლოლი გული შედრა შორეულმა ნაცნობმა ტკივილმა, მტანჯველმა და ამავე დროს ნეტარმა, ელდა ეცა, როგორც ოდესღაც, მისი დანახვისას რომ ემართებოდა ხოლმე, აჩქარებული გული რომ შიშით უჩერდებოდა.

ქალბატონი გარინდებული იჯდა სავარძელში და დიდხანს დასცქეროდა ფოტოსურათს, ჩვენც უნდა დავხედოთ სურათს. ვინ არის ეს ნელწვილი, ფართობეჭებიანი ვაჟკაცი, თეთრ ჩოხა-აბალუხში, ოქროს ქამარ-ხანჯალითა და სპილოსტელისტარინი ხმლით დამშვენებული რომ იყურება პირქუშად, ეს არწივივით მზირალი, ომის ღმერთივით მრისხანე და მშვენიერი. ქალბატონს თითები უკანკალებს და მიძინებულ მასპინძელს ეხმინება ხმადაბლა, მერე ხმას აუნვეს და როცა რწმუნდება, რომ ის ღრმა ძილშია წასული, ქალბატონის აკანკალებული თითები აძრობს ალბომიდან სურათს. სწრაფად ხსნის გრძელ რედიკულს და მოტაცებული სურათი ქრება ცარიელი რედიკულის პირდაღებულ ხასხაში.

აჰა, რომანი. აჰა, ნოველა თუ მოთხრობა. სად გარბიხარ თემისათვის, ის აქვეა, ალბომში! რედიკულში! უნდა ჩაიხედოთ მოხუცი ქალბატონის სულში, გულში, მის წარსულში. ამისათვის შორს გაჭრა არაა საჭირო. ადამიანები ხომ ჩვენ გვერდით არიან, ახლოს.

საფლავის ამოვსება

აი ამბავი (ჩემო ბიძია) არა კაციზა არ მაქვს ნათქვამი, დღეს ვამბობ პირველად – მინდა, რომ იცოდეთ შენ. მას მერე დიდი დროა



გასული, მარა დღესაც არ ვიცი, რა მოხდა მაშინ.

როცა მამაჩემის მეგობარმა მოყოლა წამოიწყო, მამაჩემის კუბო საფლავეში ჩაუშვეს. დავინახე, კუბო როგორ ჩაიძირა ნელ-ნელა ჩამუქებული საფლავეის სიღრმეში, მესაფლავეებმა ტალახიანი ბანრები მოისროლეს ქველორიდან მიწაზე, მისწვდნენ იქვე დაყრილ ბარებს და ყრუდ აგრუხუნდა ჩაჩუქებული სამარე.

– წავიდა, – სინანულით თქვა მამაჩემის მეგობარმა. – დარჩა მარტო საბრალო ქალი, მაგრამ, იქნებ, ახლა მაინც მოისვენოს...

მამაჩემის მეგობრები გაცივებით მიასტერდნენ მთხრობელს, ხოლო მან განაგრძო: იმათ რა იციან, ვინ იყო მამაშენი, ძველებიდან კი მხოლოდ მე ვარ დარჩენილი. ამათ, ბიძია, არ უნახავთ მამაშენის თვალები, არ უნახავთ მამაშენის გავლა. სიმბრა გოგებრივად ხომ გავიგონია, ემიგრანტი, უდიდესი ვაჟაკი ადამიანი (აგინის დაუძინებელი მტერი), იმ დროს სამჯერ გადმოვიდა და გადავიდა საზღვარზე, მერე ჩავარდა და ოცი წელი ციმბირში იყო გადასახლებული, მაინც ჩამოაღწია ცოცხალმა, აგერ, ახლა გარდაიცვალა. ჰოდა, ის მეუბნებოდა, საფრანგეთში ყოფნის დროს, სამშობლო რომ მომენატრებოდა, მის ცას და მთას კი არ ვხედავდი, გიგოს გავლა მელანდებოდა.

იმ დროს მამაშენი ქართულად იცვამდა – ხან გურულ ჩაქურაში იყო გამოკვარტული, ხან ჩოხა-ახალუხი ეცვა. დაგენახათ ერთი, რა შეუდარებელი სიამაყე მოჩანდა მის მიხრბა-მოხრბაში, ანდა როგორ იჯდა, ან ჭიქა როგორ ეკავა (ანდა მაუზერი). აჰ, ბიძია, აი შენი თვალთა თუ არ ნახე, ისე ვერ წარმოიდგენ, რამდენიც გინდა, რომ ილაპარაკო...

ერთხელ, ჩემო ბიძია, სტუმრად ვართ თქვენსას. ცხრაი, ათი კაცი ვიქნებოდით. ვსვამთ, დროს ვატარებთ, მამაშენი უძღვროდა საუფროსს, თამაშობდა. მის მოსმენას ხომ არ ჯობდა არაფერი. ვართ ტკბილად. ზამთარია. თოვდა, მარა რაფერ, თუ იცი, რომ არ უნახავს კაცის თვალს. სივინროვე იყო თქვენთან, ერთი ოთახი გქონდათ, მამაშენს მის სიცოცხლეში არ უფიქრია სახლის ყიდვა, ფულს იშოვიდა თუ არა, ყრიდა, ქარს ატანდა. ჰოდა, ჩამოცხა ოთახში, ღვიწრომ შეგვახურა და გვიჭირს სუნთქვა. მამაშენი ახალ-ახალ სადღერძელებს ამბობს, აღარ გამოიღია ან რა გამოიღევდა?! ამ დროს ქალბატონმა თქვა, გვისაყვედურა, და მართალიც იყო, რამდენს ეწევით, აქ პატარა ბავშვი და მართლაც აკვანი იდგა და შიგ შენ ინეცი, პანა, ჩვილი, ერთი წლისაც არ იქნებოდი. ჰოდა, ნამოდგა მამაშენი, აი გადარეული (ხელი გაიქნია საფლავეისკენ), მოკიდა აკვანს ხელი და გადაგა გარეთ, თოვლში (სიტყვა რაფერ გამოხედაო), შემობრუნდა და ავესებს ჭიქას. ნამოვარდა დედაშენი, ჩვენც წამოვიშალეთ, „რას აკეთებ, კაცო, გადარევი, შენი ხელით კლავ ჩვილ ბალანას? – ავეყვირდით. – ჩვილს მეტი კი არ უნდა, გაცივდება, თუ ვერ ხედავ, რაფერ თოვს?“

რას არ ვეუბნებოდა, მარა ყურში არ უშვებ ჩვენს თხოვნას. „არაფერი დაემართება ბავშვს“, –

ამბობს სიცილით, მაგრამ ბავშვი კი არა, აკვანი აღარ ჩანს, იმსუთნი დაათოვა, დაფარა მთლიანად, ბავშვი აღარ ჩანს, ერთი მტკაველი თოვლი ადევს, სახე აღარ უჩანს – ხომ შეიძლება, გაიგუდოს ჩვილი.

ნამოიჭრა დედაშენი და გავარდა გარეთ, გადაეშო აკვანს, თოვლს გაცლის სახეზე. ავდექით ყველა, ჩავიცვით და გამოვედით ჩვენც, ვემშვიდობებით, მაღლობას ვუხდით, მარა არ გვპასუხობს, არ გვცემს ხმას. ერთი სიტყვა არ უთქვამს, არც განძრეულა, იჯდა ფეხი ფეხზე გადადებული, გაფითრებული და, როცა ყველა გამოვედით გარეთ, ნამოდგა, ჩაკეცა კარი შიგნიდან, დასტაცა ხელი ჭაჭით სავსე ბოთლს, მოასხა სუფრას და გაჰკრა ასანთს. ავარდა ალი. ინვაჯს თავს, ზის სკამზე ფეხი ფეხზე გადადებული და სადღაც იმზირება მისი თეთრი თვალებით. რამისხო თვალები ჰქონდა, კი იცი შენ. ბრიალებს ალი, წალამმა რომ იცის, იმევერი ლურჯი, სუფრა ალშია გახვეული. ავტებეთ ყვირილი, რამ გადაგროა, რას აკეთებ, ვაფიცებთ, ვებგენებით, არ ექანება, ცეცხლი მიჰყვება კედელს, მიწვეს ჭერისკენ. მიგვარდით, ვეჯავჯგურებით კარს. აი ზის გაქვავებული. დედაშენი აკვანზეა გადახობილი და ყვირის: შეანგრეთ! შეანგრეთ! მოგვებმარა ღმერთი, პავლე გვახლდა, პავლუმა კალანდაძე, ღმერთმა დალოცოს. ეტგერა მხრით კარები, ჩამოიღო ძირს, შევვარდით შიგნით და ჩაკეცეთ ცეცხლი. გავალეთ ფანჯარა, გავიდა გარეთ კვამლი, დაინმინდა ჰაერი. აი ზის, რაფერც იჯდა, ისე.

შემოგატანინეთ აკვანი დედათქვენს, გადამინდა თოვლი აკვანს, ამოგიყვანა დათოვლილი. გაშავებული იყავი, გალურჯებული სიცივით. გაგამშრალა, ჩავიკრა გულში, ჩავიხუტა, ვაგათობ, ვაგაცოცხლა და ატირდი (მოი, ჩემო ბიძია, დახარეთავი დაბლა, ერთს გაკოცებ!). აი ზის გაუნძრევლად (მამაშენი), ფეხი ფეხზე გადადებული, საცვეთების ჭვინტზე პარპალებს ლურჯი ალი, მიიკლანება კვამლი, მხარზე ალი უნთია, გეგონებოდა, ლურჯი პეპელა შეაფრინდაო. არ ექანება, ზის გაქვავებული, გაფითრებული, პირქუში. იმზირება მისისხანედ მისი მსხვილი თვალებით სადღაც შორს, ჩვენ ვერ ვვაჩვენეს, თითქოს აღარა ჩვენთან იე, შეხედეთ! მართლა აღარა ჩვენთან, წავიდა, დაგვტოვა საშუამოდ. ა, აი მინდოდა მეთქვა. დავამთავრე აი ამბავი.

მესაფლავეებმაც დაამთავრეს საფლავის ამოვსება. ბარები დაყარეს და მე დავინახე ნაყარი მინის ამოხილული ბორცვი. მესაფლავეები შესანდობარს სვამდნენ და ღვიწროს აწვეთებდნენ საფლავეზე, ვიღაც ახალგაზრდები გვირგვინებსა და თაიგულებს ეზიდებოდნენ და საფლავეზე აწყობდნენ.

– ახლა ყველას გთხოვთ უმოჩინოვდეთ, უკანასკნელად ვცეთ პატივი მამაჩემს და თქვენს მეგობარს, გთხოვთ, ნამობრძანდეთ, – ვთქვი ხმამალა. – თითო ჭიქა წაუჭეკით...

როცა ყველა ალაგდა ავტობუსში, მე უნებლად უკან მოვიხედე, აღარავინ დარჩენილიყო. არავინ იყო, მხოლოდ საფლავე მოჩანდა, მამაჩემის საფლავე.

ნანა ბოლქვაძე-ლიუდეა



კივილი სიყვარულისთვის

ვუძღვნი ჩემს მეუღლეს – ფოლკერ ლიუდეკს

სხეული ეძებს ბუნიობას ისე, თითქოს დამალვა სურს. ნამდვილი მარტოობა ღამის თევებისა და ნვეულებების დროს უფრო ასატანია. დღე მუდმივი სიცოცხლის მითოსით იმუქრება, სამაგიეროდ, ღამე ინარჩუნებს წელი სიკვდილის სინაზეს. მე გიყვივთ ვაბნებე პიპოქონდროული ნარსულის მაცნეებს ჩემ ირგვლივ: სიგარეტი + ალკოჰოლი.

ეს მოუსვენრობა, გრძობების მუდმივი ცვლა (რომლებიც ყოველთვის წარსულის აუტანელ სიტუაციებშია ფოკუსირებული თუ დაგროვებული), რაც იმ სულიერ ტანჯვას უცნაურად გაუღნითილი პათოლოგიური სიამოვნებით განჭვრეტს და განაგებს, რომელსაც ასე ხშირად განიცდიხომე: ის მოდის, როგორც ბანალურად ნათქვამი, როგორც „სასწაულის მოლოდინი“; ყველაფერი ეს შეიძლება საკმაოდ განსხვავებულად მიმდინარეობდეს, ვიდრე ამას რეალურ-ანალიტიკური ხედვა აღიარებს ოდესმე. როგორც მუდმივი მოლოდინის თანმხლები სტიგმა, ეს ფიქრი ყველა სხვა დანარჩენს შორის უფრო რეალისტურად უსუსრიებს, დაუნდობლად გვახვევს თავს ახალ აზრებს, განაგებს მთელი გონებრივი ფუნქციის მუდმივ მდინარებას წინ და უკან, იქით და აქეთ. ამას კი ეჭვსა და რწმენას შორის მუდმივი რყევის შენარჩუნების საშუალებით ახერხებს. მებრალება ურთიერთსანაწინააღმდეგო აზრებით ტანჯული გული, რაც ახლა ასე ხმაელა წარსულიდან ცემს. საკუთარი მეს პატარა მოფართხალე მოლუსკი მანამ რჩება დიდ ილუზიად, სანამ მას სხვა თავმესაფარი უშოვია და დიდი ილუზია ალუზიად გადაქცეულა.

ეს მარტოსულობაა ყოველთვის, რაც ამისკენ გიბიძგებს.

ეს არის მოგერიების, დანაკარგის პარანოიდიულად აღქმული საზომი, რომელშიც ყველა ძალა იყრის თავს, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ აღარაფრის შეცვლა აღარ შეუძლიათ და ვერც ვერაფერს მოიმოქმედებენ სულის ამ დანაწევრების, დაქუცმაცების წინააღმდეგ. მარადიულობის ფენომენი მუდმივად ცდილობს იდენტურობის – როგორც სიმშვიდის განსახიერების – ხელახლა ფორმირებას. და რა არის პოეტი, თუ არა იდენტურობის მფილტრავი, მკურნალი. შევეცდები, ეს პოეტური ფიქრები (ვითომ?) პროზაულად მაინც გამოვხატო.

ახლად აღმოცენებული ოცნების კუნძული...

არხი უცხო ქვეყანაში განსაკუთრებული რამეა.

გვერდით ჩაქროლილი არხის უხმო ფრთებს მდუმარედ გადაჰყავხარ წყლისა და ხმელეთის ამ გასაყარზე. და ბნელი წყლები უსაფრთხოდ, იდუმალი დედილით მიგაცილებენ სახლამდე. ყველაფრის დავინწყების სურვილი ამაზე მძლავრს არასდროს ყოფილა და არასდროს ყოფილა პორიზონტი ჩიტებით ასეთი სავსე...

პრიპატი

ნაკლებად მგრძობიარე, ცივი გონებით ნაკვები რჩევა-დარიგება უსასრულოდ აბნელებს განწყობას: ამბიციები, ყველაფერზე მიდებ-მოდება, უამრავი გამოცდილება, უაზროდ ბევრი წამოწყება...

ვნუხვარ, რომ სლადის საშუალებით არ შემიძლია ჩემი მენტალური მოგზაურობის პრეზენტაცია. იქნებ, ასე ჯობს. ალბათ, არც არავინ დამიჯერებდა.

შეიძლება ეს ყველაფერი სიმათლე არ ყოფილიყო, რომ ოცნების განზომილებაში არ მომხდარიყო.

ჩემი საიდუმლო და ექსცენტრული ენობრივი არსებობის პრეტენზიების პატარა უცნაურობა მოსმენისაკენ, ყურადღებისაკენ დაუძალავ ლტოლვას წარმოადგენს. მაგრამ ისინი მხოლოდ შინაგანი მარტოობის აუტანელი დასტურია. რისი გამოძახილია ეს პატარა ნარცისტული ამბიციები?! რა მიინდა, რისკენ მივისწრაფვი? ნუთუ არა ვარ ღირსი, ვიყო საყვარელი – საძულველი – სასურველი?!

მაგრამ ვინ გამიბედავს ამის დაუძალავად, ხანგრძლივად ახსნას? ვინ არის ის, ვინც იქ მანამ მალავს თავის გრძობებს, ვიდრე ისინი მისთვის უკვე აღარაფერს ნიშნავს? თვითდაზიანების სანაწინააღმდეგო თავდაცვის ჯავშანია ალბათ აუცილებელი, უმაგისოდ ფონს ვერ ვახვალ.

ჰო მართლა, ზღარბები ძალიან ფრთხილად უნდა იყვნენ კოცინის დროს. თუმცა ჯობს, უხერხულობის თავიდან ასაცილებლად, საერთოდ დაივიწყონ ის. მაგრამ მე, წურას უკაცრავად, ზღარბი არა ვარ, მე ვარ ადამიანი, რომელიც სიყვარულს ყმულით უხმობს.

ტაძარი

დახს, ტაძარი დღეიდან ღიაა. ისევ გაზაფხულია და ისიც გაიხსნა. ღმერთო, რამდენი რამ ჰქონდა მამას თავის შვილზე მოსაყოლი.

მას შეეძლო ბავშვისთვის მოეთხორო, თუ რაოდენ მოუთმენლად ელოდა ის პატარა ბიჭობაში ტაძრის გახსნას; რომ ერთი გამოუთქმელი, ზღაპრული განცდა იყო იქ, მაღლა ყოფნა და იქილად, ზემოდან ქალაქზე ყურება და თავისუფლებით ტკბობა, იმ თავისუფლებით, რასაც მინაზე ვერ განიცდი და ვერც ნაანყდები. ამას, ალბათ, მხოლოდ ფრინველი თუ შეიგრძნობს. ეს განცდა ისეთი რამეა, რისი აღქმაც, ალბათ, ყველა ადამიანს არ უნერია და არც შეუძლია.

„რომ შემძლოს გასაგებად საუბარი, რამდენ რამეს ვეტყვი. ვეტყვი, რომ ყოველთვის მინდოდა მყოლოდა ვაჟი, რომელშიც მე ჩემს თავს დავინახავდი და რომელშიც ცხოვრებას გავაგრძელებდი...“

იმ დროს, როცა მე ნელ-ნელა ვამჩნევ წარმავლობის დაუნდობელ კვალს ჩემს სხეულზე, პატარა იფურჩქნება. დროის ეს დაუნდობელი და შეუჩერებელი პროცესი თვალნათლივ ჩანს ჩვენი ორივეს მაგალითზე. ნეტა, ჩემსავით მაღალი იქნება? – გაიფიქრა მან. „შეიძლება. მოდი აქ“, – ხელით ანიშნა მან ბიჭს. „შენი ტოლა რომ ვიყავი, კუნძულ რიუგენზე ვცხოვრობდი ბებია-ბაბუასთან ერთად. სკოლის შემდეგ თითქმის ყოველდღე სანაპიროზე გავდიოდი, ბალტიის ზღვის სანაპიროზე, გავყურებდი ზღვას და იცი, რას ვნატრობდი? ვნატრობდი, რომ ზღვაზე სიარული შემძლებოდა ისე, რომ არ ჩავძირულიყავი, ქრისტეს მსგავსად. და კიდევ ერთი რამ მინდოდა, მინდოდა ნამდვილად ამ ტაძარზე ასვლა“, – კაცს სევდიანად გაელიძა. შვილი დაბნეული შეჰყურებდა მამას, წვლებით ცდილობდა, რომ მისთვის გაეგო. არ გამოუვიდა და საბოლოოდ დათმო.

„მას არ ესმის ჩემი, რადგან უფრო კიდევ არ იცის საკმარისად ჩემი ენა. იგი უცხოეთში დაიბადა და მამის მშობლიურ ენაზე შეგნებულად არავინ ელაპარაკებოდა. და სწორედ იყო ეს ნაბიჯი იმისთვის, რომ დედის ენას სრულყოფილად დაუფლებოდა. ახლას ხუთი წლისაა და მხოლოდ რამდენიმე თვეა, რაც აქაა. ცოტა დრო კიდევ სჭირდება, ვიდრე სრულყოფილად დაუფლებოდეს ენას“. ასე ფიქრობდა, არა, ინუგეშებდა თავს მამაკაცი: თავის თავთანაც კი არ უნდოდა ელიარებინა, რომ მამა-შვილის თითქმის არშემდგარი კომუნიკაციის უკან სხვა რამ იმალებოდა.

მას სურდა, ბიჭისთვის ეჩვენებინა თავისი სამყარო. „და მაინც, რა არის იგი, რა არის ჩემი სამყარო?“ – ჩაფიქრდა კაცი. პასუხიც მალევე მოძებნა: „ჩემი აზრები, ჩემი ქვეყანა, ჩემი ინტერესები და ბოლოს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი – ჩემი ენა. მაგრამ სად არის ენა? „ისაუბრე, რათა შეეძლო შენი დანახვა“, – ამ წინადადებაში მოულოდნელად გაუფიქრა თავში, თუმცა ავტორი ვერ გაიხსენა, ვერც იმას მიხვდა, თუ მაინცდამაინც ახლა რატომ მოუვიდა აზრად. ამასობაში კი სხვა ხმა დაუნდობლად ჩასჩურჩულდა: „შენ ლაპარაკობ და ფიქრობ, მაგრამ ისე ვერა, როგორც სხვები. რატომ არ ესმის შენი შენს შვილს? რატომ არ ესმით შენი სხვებსაც? რატომ შეიცვალა ასე უეცრად სამყარო? რატომ ურიდებიან მეგობრები შენთან კონტაქტს? რატომ გარიდებენ თავს ისინი, ვისაც ადრე უშენოდ ერთი დღეც არ შეეძლო?“

ხმა, რომელმაც არ იცოდა, რა იყო სიბრალული, არ ჩერდებოდა და განაგრძობდა მონოტონურად მამაკაცის შეგონებას: „მეტყველების დარღვევა, ავანია. ამას ამბობენ ექიმები, დაიჯერე და შეიგნე. ველარასოდეს იქნება შენი მეტყველება ისეთი, როგორც იყო“.

მაგრამ კაცმა ამჯერად შეძლო და ხმა ჩაკმენდინა იმ დაუნდობელ ხმას.

„მაგრამ ვის შეუძლია, გარდა უფლისა, განიკითხოს, რა არის სწორი და რა არასწორი?“ კიდევ ერთი მაშველი რგოლი გადაუგდო მამაკაცმა მის ფიქრთა ჯაჭვს – „რატომ ჰგონია კაცთა მოდგმას, რომ აქვს უფლება, განსაჯოს, რა არის სწორი და რა არასწორი?!“ მამაკაცის ამ გულწრფელ აღმფთვებლას საბოლოო იმედგაცრუება მოჰყვა ამჯერად მისი შინაგანი ხმიდან: „შენ, მეგობარო, ერთი გამაგებინე, რას ელი ამ ცხოვრებიდან კიდევ? რა გრანდიოზული გეგმები გაქვს ყოველივე ამის შემდეგ?! სამწუხაროდ, უკვე გვიანია. დანებდი, შეეშვი ბრძოლას, აღიარე, რომ წარსულს ვეღარ დაიბრუნებ. აღიარე, რომ შენ ისეთი ვეღარ იქნები, როგორც ადრე, შეეგუე ამ საბედისწერო რეალობას, ნუ ხარ დაძაბული, ნუ თამაშობ სხვების დასანახად, თითქოს ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს. და თუ ასეთი არსებობა აღარ გინდა, დასასრულიც მალე დადგება, იმაზე უფრო ადრე, ვიდრე გგონია! Memento Mori!“

კაცმა ხელის აქნევით მოიცილა ვერაგი ფიქრები, კიდევ ერთხელ მოიკრიბა ძალები ბრძოლისთვის (იქნებ, უკანასკნელი ბრძოლისთვის), ბიჭს ხელი სასოებით ჩასჭიდა და თავდაჯერებულად, მტკიცე ხმით უთხრა: „მაგრამ მანამდე მე შენთვის და შენ გვერდით უნდა ვიყო და შეუძლებელი შეეძლო! მე შენ გჭირდები! ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით, შვილო!..“

ახლა კი წავიდეთ ტაძარში. მინდა გაჩვენო მთელი ქალაქი, სრულიად სამყარო, ჩემი სამყარო ზემოდან.

თუ ეს ცხოვრება სიმფონიაა ან ფერწერული ტილო მდიდარი „??“ რა არის ნახატი ზუსტად, როგორ მოვედით აქამდე, ეს არის მცდელობა, გავანგროთ უხილავი რკინის კედელი, რომელიც აცალკევებს იმას, რასაც შევიგრძნობთ იმისგან, რისი... შექმნაც შეგიძლია“.



ნინო მარსაბიძე

პეპელა

(პასუხი გოდერძი ჩოხელს)

რა ლამაზი ხარ პეპელავ,
ნამო, ნამომყვე ცოლადა.

გ.ჩოხელი

რა ლამაზი ხარ პეპელავ,
ნაზი და ფრთახატულაო,
ყვავილთა ჭრელი ხალიჩა,
სულ შენთვის მოხატულაო.
თვალს რომ შეგკიდებ ლამაზო,
მინდა, გიგულო ჩემადა,
შენ უდარდელად დაფრინავ,
ველ-მინდვრის დამამშვენადა.
რა მაცდური ხარ, ფრთალალო!
ნამო, ნამომყვე შინაო.

შენმა სიტურფემ, სინაზემ,
გულს ჯავრი გამიჩინაო.
შენი ნარ-ნარი ფარფატი,
ამანთებს ლექსის წერადა.
დღეს შენს ძებნაში ვალამებ,
გადავიქეცი ხელადა.
შენ რომ შინ გამომყოლოდი,
ყვავილთ ვიქცევდი მტერადა.
ბევრის ხარ გამხარებელი,
დაგისაკუთრო მე – რადა?
შორიდან თვალს მოგადევნებ,
კარგი ხარ საცქერელადა,
ისედაც მცირე საწუთრო,
რად მოგიქციო ცერადა?
მე შენი ტრფობაც მეყოფა,
შენი სინაზე – მღერადა,
ასე ხანმოკლე სიცოცხლე,
რომ გიჩანს უდარდელადა.
დაფრინავ გაბრუებული
ბუნების სიყვარულითა,
შენ რომ თვალს მიეფარები,
ვივსები სინანულითა.

ლოცვა ქაშვიტთან

ხიზნად ვიქეცი მშობელ მინაზე,
სულით მაშვრალნი ვართ სამოთხეში,
მაგრამ, რადგანაც გულით ვინამეთ
და მუდამ ცოცხლობს იესო ჩვენში,
მეტეხის ხიდთან რადგან ანთია
ასი ათასი წმინდა სანთელი,

რადგან მყარად დგას გრემი, ვარძია
და უწმინდესის გვიცავს ნათელი,
მინიდან ბორგავს წინაპართ სისხლი,
ინვის და ცეცხლად – ყაყაჩოთ აჩენს...
და თუკი ერთად ვილოცებთ, ვიცი,
უფალი გვიხსნის და გადაგვარჩენს.

ერთი ყოცნის ისტორია

მწყურვალნი რომ დამადევნე მზერა,
გულის უკან რომ ამინვა ბეჭი,
ჩემს ლანზე რომ არ წაშლილა ჯვრაც,
შენი ბაგის ცხელი ანაბეჭდი,
ვით პეპელას მოფარფატი ფრთები,
უცაბედი, აკრეფილი კოცნა –
განმეორდეს! უფალს ვევედრები,
სიმარტოვეს აღარ მინდობს როცა.
მოდო, გითხრა, თმაჭალარა კაცო!
სხოვნამ ასე რატომ აგჩემდა...
დაღვინდი და მაჭრად ნულა ანცობ,
მხოლოდ შენ ხარ ჩემი გადარჩენა!

ჩოგორე სევეს ყოქმელი

ვერ ავლაგმე ღამეთა გახელება,
ვენების ქარი არა და არ ყურდება,
მომინატრეს ალბათ შენმა ხელებმა,
მაგ თვალებმა – ასე რომ გეურჩება.

ნუხელისაც, ფიქრებს ღამეს ვუთევდო,
თითქოს პასუხს მოხოვდა, მკაცრი დაკითხვა:
რად დამყვები, როგორც სევდა, უთქმელი?
რად მწყურია შენი ლექსად ნაკითხვა?
დამეშრიტა რადგან რწმენის სანთელი,
სიბნელეში, მზერას უნდოდ ვაცეცებ,
შემამეველე შენი სულის ნათელი,
შევაგროვებ კვლავ იმედის ნამცეცხვს.
სანუკვარი იები თვალს ახელენ,
მაგრამ მტორავს ეჭვი – ფიცხი იაბო,
ამდენ განცდებს ველარ ვარქმევ სახელებს,
შენ კი არ გსურს შენს გრძნობებზე მიამბო?
მოდო, მკითხე, რა დარდები მეცევა.
მოდო, გეტყვი, როგორ მეიმედები.
გულში ისე იფრთხილეს ლექსებმა,
აღუღუნდნენ განაბული მტრედები.

გვიანის სინაყლი

მოგონების ჭრულა-ჭრულა ჭალას,
დღემდე შერჩი, ერთი, ურჩი ბიჭი.
მონატრება სანამ გულში მჭვალავს,
სანამ შენი დავინწყება მიჭირს.
გვიანია, ვიცი, სინანული,
ასე ახლოს რომ მოგიშვი გულთან.
შენ ხომ ბენვის ხიდზე სიარული
არ გჩვევია და ჯოჯობად დუმხარ.
ისე ცივი, შორეული დარჩი,
გულგრილობა შენი ისე მკენნლავს,
ბავშვობაში ცეცხლობისთვის დასჯილს,
როგორც კანჭზე მოხვედრილი ნკებლა.



ირაკლე სალციანი

შამილის ბოლო ცოცხალი

რუსების მიერ ალყაში მოქცეულმა
დალისტინის იმამმა მოითხოვა, ქართველი
მებრძოლი შესულიყო მასთან და მისთვის
ჩაებარებინა იარაღი. ეს მისია წილად ხვდა
თუშ იაკობ ლეკაისძეს.

თვალს მჭრის ცა და ციალი ღამის,
ვხედავ, ირწევა კენწერო ვერხვის,
მერქვა კაცი და დღეს მქვია გვამი,
მქონდა სოფელი, ან უკვე ფერფლი.
ძველი დიდების თუ შემრჩა რამე,
ვდგავარ საზარელ უფსკრულის პირას,
ისინი, დღეს რომ ჩვენს სახლებს წვავენ,
იმ სახლის ქვების ფასად არც ღირან.
გაცვდა ხმალი და დამეტყო დალა,
ვარ, ბედს ებრძოდა ყოველთვის, ვინაც,
მე მთის მდინარეს მოვტაცე ტალღა
და ჩემს ფიქრებში დაეუდებ ბინა.
ო, სევდავ მკვლელი, ნუ მტანჯავ ძლიერ,
დადგება დრო და ჩემი მზეც ჩავა,
მტერთა სიმრავლეს რადგან ვერ ვძლიე,
მტერთა სიმრავლემ დამძალა თავად.
დავტირი ომში დაღუპულ ბიჭებს
სულში მდის ცრემლი, დრო ველარ გამყავს,
მტარვალი თავის საცეცხვს მიჭერს
და ვინროვდება თანდათან ალყა.
ვიბრძვი და თანაც ვასრულებ წამაზს,
ვარ მთესველიც და ვარ მინის მხვნილიც,
ჩემს ხელს დღეს ნულარ გამურდლავს, ჰამზათ,
გადამთიელის მურდალი ხელი.
მათთვის არც ღმერთი, არც მაღლი საყდრის,
ჰგვანან მგლის ხროვას, შეყრილებს ერთად,
მე იარაღს მხოლოდ მაშინ თუ დაყერი,
ჩემს სადარ მებრძოლს დავლანდავ მტერთან.
წყრომა დუმმანს და რისხვა მაცილსა,
მოდინ ერთზე დღეს ყინჩად ასნი,
მოვიდეს, ვინაც იცის კაცის და
იცის ჭეშმარიტ ღირსების ფასი.
– ვიტოვებ ჩემთვის, თქვა. – ერთ ხშიადსო,
იმღერა კაცმა სიმღერა გედის
და ლეკაისძე იაკობს მიანდო
იმამმა თავის დამწვარი ბედი.

ქვეყნის ცეცხლოში გახეყული სევენა

ქალაქ ქუთაისში ერთ-ერთი გასტროლოგების დროს რუ-
სეთის თეატრმა ჩამოიტანა სპექტაკლი, სადაც სცენაზე
ებრელებს სახალხოდ თოკით აბრჩობდნენ. სასიქადულო

ქართველმა მწერალმა ნიკო ლორთქიფანიძემ აღშფოთება
ვერ დამალა და რამდენიმე ახალგაზრდასთან ერთად ავარდა
სცენაზე და შეაჩერა სპექტაკლი – ჩვენ 2600 წლის ძმობა
გვაკავშირებს ერთმანეთთან და ამ სინამდის ვერავის გა-
ვათელინებთო.

ცაო, აშაღე ნისლი, ალელდი,
ვტოვებ საბუდარს, თავქვე ვეშვები,
ვხედავ, სცენაზე უმძვინვარესი
ცეცხლის ენებით სუნთქავს ქვესკნელი.
აქრობს ხილულს და უხილავს შორის
ფარული ხელი უწვრილეს ვარსკვლავს,
დადის უგბილო, ცოცხალი მძორი
და სახრჩობელის თოკის ყულფს ნასკვავს.
სული მელევა, ვენამე, ვევენე,
არც ფიქრი ძალმიძს და აღარც განსჯა,
ქონდრისკაცებს და სერიულ მკვლევებს
სურთ მთელი ერის საჯაროდ დასჯა!
ჰაერის ტალღა ყოველმხრივ მისვრის,
სიცოცხლეს თავი კვლავ კუნძუზე უძევს,
სჯიან მარტოდენ, მარტოდენ მისთვის,
არ ღალატობენ რადგანაც ფუძეს.
ვიფხიზლოთ, სანამ არ არის გვიან,
ცოცხალ ვართ, ვიდრე რაღაცას ვლამობთ,
იობს მოთმენის სანაცვლოდ სჯიან,
სჯიან უძველეს წარსულის გამო.
განვლილს ნაჭრევეს და ჭრილობას მოვბანთ,
მიმძიმს იქ, სადაც უზომოდ ბნელა,
აქ ორი ათას ექვსას წლის ძმობას
ამომგდებელი უწყალოდ თელავს.
ვცნობ მე იმ კაცსა, გული რომ უცემს,
მრწამსს ენიერება ვინც ახლა თუნდაც,
სცენაზე უნდა ავიჭრათ უცებ
და ეს სპექტაკლი ჩავშალოთ უნდა!
ცაო, აშაღე ნისლი, ალელდი,
ვტოვებ საბუდარს, თავქვე ვეშვები,
ვხედავ, თეატრში უმძვინვარესი
ცეცხლის ენებით სუნთქავს ქვესკნელი!

მე უნდა მოვიყოფი...

ჩემს ტვინისგან დევნილი მიხა ხელაშვილი ერთდებოდა
სახლში მისვლას და პატარა შვილის ნახვას. მან ცოლს
შეუთვალა: ყანაში რომ ვახვალ, ბავშვი ისეთ ადგილას
დასვი, დურბინდით დავინახოო.

თეთრ ყვავილივით მზის გულზე შლილობ,
შლილობ და გესმის მთათა ბუხუნნი,
მე ისე უნდა მოკვდებ დღეს, შვილო,
მოკვდებ, ვით მოკვდა ვაჟას ლუხუმი.
დავდივარ ტყე-ღრე, მარტო, მალულად,
ვარდობისთვეში მთებზე მოთოვა,
ვარ მოკვეთილი, როგორც ალუდა,
და შერისხული, როგორც ჯოყოლა.
ენატრობ ლუდს სვიანს, თავთუხის თაველს,
ვინც ხელს მიმართავს, სუყველას სჯიან,
ცდილობენ: მკლავენ, მაგრამ ვერ მკლავენ,
ვასწრებ მათ მიერ გასროლილ ტყვიას.
დგას თვალდათხრილი ნაშალი სახლი,
საბუჯის ბერკლდეს მიინდი ბურავს და
თოვლი ლოგინად ბიგა დაღლილს,
ფიფქები მხურავს ზედსახურადა.
ვარ ამ ხეობის ღირსების მცველი,
რვალის სატევარს ოთხივ მხრივ ვიქნევი,

რადგანაც ველარ გეხები ხელით,
თვალვით მაინც შეგეხო იქნებ.
ლექსი ამოვთქვი კვლავაც ამ დილას,
ვთხოვე დედაშენს, მინდოდა რაიც,
ყანაში დაგვას ისეთ ადგილას,
რომ დურბინდით გიყურო მაინც,
მე ჩემს თავს თავად ახლიდან ვიშობ,
გარემოება ცდილობს და ვერ მცვლის,
ჩვენ ორივენი – მამაც და პირშოც
ვართ ჩვენი ბედკრულ სამშობლოს მსხვერპლი.
თეთრ ყვავილივით მზის გულზე შლილობ,
შლილობ და გესმის მთათა ბუხუნნი,
მე ისე უნდა მოკვდებ დღეს შვილო,
მოკვდებ, ვით მოკვდა ვაჟას ლუხუმი.

ჰაყვ სავაძის მოჭრილი თავი

ჩაგესმის დღესაც ხმა: ვაჟო, შესდექ!
საკირის ცეცხლი გარშემო გივლის,
კარს უღებ უკვე ოთხას წლის შემდეგ
გულის კოვზიდან ახეულ ტკივილს.
აქ აღწევს შენი ფიქრი და სუნთქვა,
ხარ ტარგი და თან გღვეს დიდება,
ო, შენ თვალს გაქვს ისეთი სუფთა,
რომ მოხუჭვაც კი აღარ გჭირდება!
შენ ტანზე ნოსტეს ნისლი გაცვია,
ისპაჰანის ცა ქუდად გახურავს,
არა ემონე მზებნელს, ქვანვიას,
არ დაუდექი ავსულს მსახურად.
ძვრა ველარ გიყო მტანჯველმა დრომა,
ის, რაც შენ გტკივა, ის სტიკვა ფცხვასაც,
გავეშებული შაჰის წინ დგომა
ნიშნავს ურჩხულის ხახაში შესვლას.
დგამ მტკიცე ნაბიჯს, ვერ იტან ჭოჭმანს,
შენში რა მწარე ტკივილი ბლავის,
ვინც შენ ხორასნულ ხმლით თავი მოგჭრა,
თავად მოიჭრა მან ურცხვად თავი!
არ ძალგიძს სხვაფრივ, რადგან აქ დგახარ,
ჩამოტყდი მთის ბროლს ერთ უქრობ სხივად,
ამ კარებს მიღმა ის გზა ახლა,
ერთანმინდაში რომელიც მივა.
ხარ უკვდავი და არ ჰგავხარ მოკვდავს,
ემეება მარტყოფს მზე ცეცხლის სვეტად,
მოჭრილ თავითაც სხვებზე მეტს გრძნობ და
მოჭრილ თავითაც სხვებზე მეტს ხედავ!
დედის ცრემლო და ცარგვალის ფიფქო,
დათმენას შენსას უამი ვერ წაშლის,
როდესაც დიდი სიმალე გიხმობს,
რა ბედენაა აქ ყოფნა მაშინ!
ჩაგესმის დღესაც ხმა: ვაჟო, შესდექ!
საკირის ცეცხლი გარშემო გივლის,
კარს უღებ უკვე ოთხას წლის შემდეგ
გულის კოვზიდან ახეულ ტკივილს.

შობა

მოდის ის, ვისაც მოველით –
შეუცნობელის მჭვრეტელი,
დაფარულ სიბრძნის მფლობელი
და წყარო დაუშრეტელი.
ცა სანერ ეტრატს ვამსგავსე,
ვამსგავსე, ენა დამება,
ბეთლემის ღამით აღსავსე
შემოდის იდუმალება.

შეძლო ცათა ქმნა რა ხელს,
გაჩენა უშქარ მზისათა,
ეძერნა ხატად და სახედ,
სახედ და ხატად მისათა.
ზეღს მინას ზენა სამითით
და არქმევს საგნებს სახელსაც,
ნეტარი იყოს ამ თიხის
პირველი თვალის ახელა.

ოლიმპიური გიგლიოთაქის, აპილავსის მყარისა და აპილავსისავე ქუსლისა

ბევრ სხვა თემატიკაზე იქნებ ვერ დავიჩემო, მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ოლიმპიური ლიტერატურის საუკეთესო ბიბლიოთეკა მაქვს საქართველოში – თუნდაც პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან შედარებით.

ახლა ზუსტად აღარ მახსოვს, შეიძლება მანამდეც ჩამივარდა ხელში რომელიმე წიგნი რომელიმე ოლიმპიადზე, მაგრამ სერიოზულ დონეზე ყველაფერი დაიწყო ნოდარ გუგუშვილის წიგნით „ოლიმპიური ემბლემა სამყაროს გარშემო“, 1973 წელს რომ გამოიცა. იმ დროისთვის საბჭოთა კავშირში იმდენად მცირე იყო ოლიმპიური ლიტერატურა და იმდენად მწირი იყო ცოდნა ოლიმპიური თამაშების გენეზისა თუ ისტორიაზე, რომ თვით ნოდარ გუგუშვილიც კი – ოლიმპიური სპორტის შესანიშნავი მემბრანე, ამ წიგნში ოლიმპიური თამაშების წარმოშობას არა ანტიკურ ქალაქ ოლიმპიას, არამედ ღმერთების საბრძანის, მწვერვალ ოლიმპოს უკავშირებს. რომ გავხედო და ამ შეცდომის ამბავი შევკადრე, ჯერ ძალიან შეწუხდა და მერე, რაკი ასეთი დაკვირვებულნი და დაინტერესებულნი ხარო, ერთგვარ ჯილდოდ ერთი ისეთი წიგნი მაჩუქა ოლიმპიადების ისტორიაზე, წლების მანძილზე სათავგადასავლო რომანივით რომ ვკითხულობდი.

ეს გახლავთ 1961 წელს გამომცემლობა „კორინთს“ მიერ ბუდაპეშტში რუსულ ენაზე დაბეჭდილი სტატისტიკური კრებული „თანამედროვე ოლიმპიური თამაშები“, რომლის ავტორმა, დოქტორმა ფერენც მეზომ ამ წიგნის პირველი გამოცემისათვის ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი დაიმსახურა 1928 წლის ოლიმპიადებზე გამართულ ხელოვნებათა კონკურსში. დიას, 1920-1932 წლებში ოლიმპიადებზე ხელოვნებათა კონკურსებიც იმართებოდა და პოეტები, მწერლები, მხატვრები, მოქანდაკეები, არქიტექტორები თუ კომპოზიტორები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ოლიმპიურ თემაზე შექმნილი თავიანთი ნაწარმოებებით.

ოლიმპიური ლიტერატურა საბჭოთა კავშირში 1974 წლიდან მომრავლდა, მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მოსკოვს 1980 წლის თამაშების ჩატარების უფლება მისცა ენაში გამართულ თავის კონგრესზე.

ოლიმპიადამდე დარჩენილი ხუთი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირში იმდენი ოლიმპიური წიგნი გამოიცა, თვალის მიდევნებას ვერ აუუდიოდი. ის კი არა, ოთხი ახალი ჟურნალიც კი დაარსდა. იმ წლებში განურჩევლად ვყიდულობდი ყველაფერს, რაც ოლიმპიურ თამაშებთან და ოლიმპიური მოძრაობასთან იყო დაკავშირებული.

მაგრამ მერე ესეც ძალიან ცოტა და, რაც მთავარია, ძალიან ცალმხრივი აღმოჩნდა. მით უმეტეს, ცივი ომისა და ოლიმპიური ბოიკოტების ეპოქაში. განსაკუთრებით საგრძნობი გახდა სრულყოფილი ოლიმპიური ლიტერატურის დეფიციტი მას მერე, რაც ეროვნული მოძრაობის ტალღაზე რამდენიმე ენთუზიასტმა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნება გადაწყვიტეთ.

1992 წლის ოლიმპიადა პირველი იყო ჩემთვის, რომელსაც უშუალოდ დავესწარი და ბარსელონიდან ექვსი დიდი ყუთი წიგნები და ჟურნალები

გაზეთები ჩამოვიტანე. ყიდვით ამდენს, რა თქმა უნდა, ვერ გავწვდებოდი და, მართალი რომ ვთქვა, ბევრი არც არაფერი მიყიდია. ოლიმპიადის მთავარ პრეს-ცენტრში ყოველდღე იმდენი წიგნი და ჟურნალ-გაზეთი გამოჰქონდათ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებსა თუ ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს, რომ თვალეები მიჭრელდებოდა. მთავარი იყო, არ დაგზარებოდა და ეს ყველაფერი ჯერ მოგვეგროვებინა და მერე თბილისში

ვიტანე, აღარ მახსოვს, მაგრამ ატლანტიდან ჩამოტანილი თითოეული წიგნი იმ ტანჯვა-წამებას მახსენებს, რომელიც მერე ორკვირიანი თაბაშირით და რამდენიმე თვიანი კოჭლობით დასრულდა. ბევრი რამ მაშინ თბილისში ჩამოტანილი გამოცემებიდან დღეს სულაც აღარ მჭირდება, ბევრი რამ გვარიად მოძველდა, მაგრამ ვერც ერთ მათგანს ვერ ვეღვეი, თითოეული მათგანი ისე მეძვირფასება, როგორც ჩემი ოლიმპიური ბიბლიოთეკის პირველი მარგალიტი, ფერენც მე-

აღმოჩნდა კიდევ ერთი ენა, რომელზეც ევროპა „ა“-თი ინერება, მაგრამ, „სამაგიეროდ“, ამ ენაში აზია არ იწყება „ა“-ზე. ეს გახლავთ ტაჯიკური:

- Авропо,
- Осиё,
- Африка,
- Амрикой,
- Австралия,
- Антарктида.

და აფხაზური? ჩემი ყურმოკრული ცოდნით, აფხაზურად ხომ ლამის ყველა სიტყვა „ა“-ზე იწყება!



ლიბროკუბიკულარისტის შთანაწერები

კაატა ნასვლიზვილი

ნამოგელო. ნამოლებას კი ის აადვილებდა, რომ მრავალრიცხოვანი ოლიმპიური დელეგაციის მთელი ბარგი ერთიანად იწონებოდა და ჩემს წიგნებს ცალკე არავინ ითვლიდა.

ასე იყო მომდევნო ოლიმპიადებზეც, 1996 წელს ატლანტაში. წონა – წონად, მაგრამ თრევაც ხომ სათქმელია და კარგე მეკურტნესავით ვეზიდებოდი მძიმე-მძიმე ჩანთებსა თუ ყუთებს. ჰოდა, ამ თრევა-თრევაში აქილევსის მყესი გავეწყვიტე და მოსკოვში რომ დაჯდა ჩვენი თვითმფრინავი, გაუსაძლის ტკივილსა და წიგნების თრევას ვინ ჩივის, ფეხს ვერ ვადგამდი. აღარ მახსოვს, როგორ და რანაირად გამოვიტანე ჩემი ტვირთი, როგორ გემოვითანე ავტობუსში, როგორ გამოვიტანე ავტობუსიდან, როგორ შევიტანე და როგორი ავიტანე სასტუმროში. ყველას თავისი ბარგი ჰქონდა და ვინ რას დამეხმარებოდა! მოხმარება კი არა, დელეგაციის ერთმა წევრმა, ჩემმა კოლეგამ ისიც დამაბრალა, იგონებს ფეხის ტკივილს, უნდა, რომ მისი ეს ამხელა ტვირთი ჩვენ გვათრევიოსო! ალბათ თვითონ თუ შეეძლო ასეთი „ჭკვიანური“ სვლის მოფიქრება და მეც იმიტომ დამაბრალა. აქილევსის მყესისა რა ვთქვა და, ზოგიერთს ხომ აქილევსის ქუსლი ხსნიათში აქვს! ერთადერთი, ვინც ხელი ნამაშველა და სანამ სასტუმროში არ დამაბინავა, გვერდიდან არ მომშორებია, ჩვენი კოტორა იყო, სანდრო კოტორაშვილი – ჩიხა ტანისა და არცთუ ათლეტური შესაძლებლობების მქონე ცნობილი ფოტოგრაფი, რომელსაც თავისი საკმაოდ მძიმე აპარატურაც ჰქონდა სათრევი.

დღეს ჩემს ვებგვერთულ ოლიმპიურ ბიბლიოთეკაში დაცული მრავალი წიგნიდან რომელი სად როდის ვიყიდე და რომელი საიდან ჩამო-

ზოს „თანამედროვე ოლიმპიური თამაშები“, ნოდარ გუგუშვილის მიერ ნაჩუქარი თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ.

სახალისო კონტინენტური ლინგვისტიკისა

დედამინაზე ვისთვის ხუთი კონტინენტი, ვისთვის ექვსი და ვისთვის სულაც შვიდი! ხუთია, როცა ანტარქტიდას, როგორც დაუსახლებელს, კონტინენტად არ თვლიან. ექვსია, როცა ანტარქტიდასაც მიათვლიან ხოლმე ან ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკებს ორ კონტინენტად მიიჩნევენ, ხოლო შვიდია, როცა იმ ოთხს გაორებულ ამერიკასაც მიათვლიან ხოლმე და ანტარქტიდასაც.

გინდ ხუთი იყოს, გინდ ექვსი და გინდ შვიდი, ყველა კონტინენტის სახელწოდება, ერთის გარდა, ენების აბსოლუტურ უმეტესობაში „ა“-ზე იწყება, იმის მიუხედავად, რომ თითოეული მათგანი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ენაზე სხვადასხვა გზით და სხვადასხვა ლოგიკით მოინათლა:

- აზია,
- აფრიკა,
- ამერიკა,
- ავსტრალია,
- ანტარქტიდა.

და უცებ – ევროპა! ერთ მშვენიერ მოცალეობის ჟამს საგანგებოდ განვჩხრიკე და არის ერთი, ერთადერთი ენა, სადაც ყველა კონტინენტის სახელი „ა“-ზე იწყება. ეს გახლავთ თურქული:

- Avrupa,
- Asya,
- Afrika,
- Amerika,
- Avustralya,
- Antarktika.

არა, აფხაზურიც ვნახე და ამ ენაზე ევროპა ევროპაა, „ე“-ზე იწყება. თუ ვინმემ გუგულზე მეტი ენა იცის, შეავსოს და დააზუსტოს ჩემი ეს სახალისო ლინგვისტური დაკვირვება.

წინასაარჩევნო სხვადასხვაობისა და ერთნაირობისა

ჰოდა, მოვდივარ იმ დღეს შარტავას ქუჩაზე და ზუსტად მერიის წინ ვეგება ბანერიდან ნიკა მელია 100 ლარით პენსიის გაზრდას მპირდება, თუ მას თბილისის მერად ავირჩევ. ნიკა მელიას ქუჩის მეორე მხრიდან მოქმედი მერის, კახა კალაძის ვეგება ტრანსპარანტი დაპყრებს თავს, პირველზე იმდენად დიდი, რომ ორივეს პორტრეტის ერთად კადრში ჩატევას ვერ ვახერხებ. მაგრამ, რაც მთავარია, მოვახერხებ და ორივე ტექსტი ერთ ჩარჩოში მოვაქციე. მეტი სიცოცხლე ყველა უბანშიო, – გვახალისებს კალაძე იმ თავისი სიმალლიდან. თუმცა მისი დაპირება აბსტრაქტულია და ვერავინ ვერასოდეს გაზომავს, რამდენი სიცოცხლე მიემატება თბილისის რომელიმე უბანს, თუ მას მეორედ ავირჩევთ, ხოლო მელიას დაპირება უაღრესად კონკრეტულია და მიზანმიმართული, გამოცდილმა ქართველმა ამომრჩეველმა კარგად იცის, რომ ერთიც წინასაარჩევნო ტრიუკია და მეორეც, ასე განსხვავებული ერთმანეთისაგან, მაგრამ ასე ერთნაირი!

ანტისიჩქარისა და მოლოდინისა

ლექსების გამოქვეყნება მიჭირს. მუდამ მიჭირდა. არა იმიტომ, რომ არ მიბეჭდავენ. უბრალოდ, არ ვჭქარობ, ვერ ვეღვეი, ნლობით

ფიქრობ, ვუბრუნდები, ვაჩვენებ, ვასწორებ. ბევრი ლექსი, რომლებიც ბოლო დროს გამოქვეყნებულან არ ჯერაც არ გამოიქვეყნებია, წინა ათასწლეულშია დაწერილი. თარგმანის გამოქვეყნება კიდევ უფრო მეტწილზეა. თარგმანი უნდა ხელისნური საშუალო, ვიდრე შემოქმედებითი – მკაცრად ხარ შეზღუდული ორიგინალის ჩარჩოებით. აქ დახვეწის პროცესი უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს. თანაც თარგმანში შედარების საშუალება არსებობს: ხომ არის ხალხი, ვინც ქართულიც იცის და ის ენაც, საიდანაც შენ ესა თუ ის ლექსი თარგმნე? ამიტომაც წლობით მედო უჯრაში შექსპირის 66-ე სონეტი, როგორც იქნა 2020 წელს რომ გამოქვეყნე „ლიტერატურულ საქართველოში“. ასევე მედო ვიიონის თარგმანები, სულ ცოტა ხნის წინათ რომ დაიბეჭდა. ახლაც ასე მიდევს უჯრაში გოეთესა თუ უოლტ უიტმენის ცნობილი ლექსების თარგმანებიც, რომელთა გამოქვეყნება ჯერაც ვერ გადაამწყვეტია, თუმცა კარგად ვხედავ, რომ სხვა თარგმანებს ჩამოუვარდება კი არა, იქნებ კიდევ ჯობდეს. ასეთია კიდევ არაერთი სხვა ლექსი თუ თარგმანი. თავის დროს ელიან. უსაზღვროა მათი მოლოდინი.

ფიქრების სიზმრისეული ალბ-მიცემობისა

ძილად მიდრეკილს სხირად მენვენება, რომ ამა თუ იმ წიგნის ესა თუ ის გმირი მოდის და იმდღევანდელ ჩემს ფიქრებს ისმენს ან თავისას მიზიარებს. ასე მოვიდა ერთხელ ლამაზისეული და ასე მიაბზო ლუარსაბთან თავისი სექსის ამბავი; ასე მოვიდა ძილ-ღვიძილში ჩემთან დონ ჟუანის უგვანი საქციელით აღშფოთებული დონ კიხონი და მისი მოთხრობილი ამბავი ალვინერე კიდევ თითონინადადებანი დუჟინის მეოთხე წინადადებაში; ასევე მენვია ერთ მშვენიერ ძილში გოდო და, შენ რა იცი ან ბეკეტმა რა იცოდა, იქნებ მეც ველოდები ვინმესო, მითხრა. ესეც ერთნინადადებთან ნოველად ვაქციე კარგა ხნის შემდეგ და განახლებულ „პირველ სხივში“ გამოქვეყნე იმ ორთან ერთად.

ხანდახან, ლაითი ძილისას, ბევრნი მოდიან – სულ სხვადასხვა წიგნის სულ სხვადასხვა ეპოქის სულ სხვადასხვა ქვეყნის შვილები და ზოგჯერ ძალიან მიჭირს მათთან ერთდროულად ურთიერთობა. ასეთ დროს ღრმად ვიძინებ ხოლმე და, ვინც სიზმარში შემომყვება, მათთან ვაგრძელებ სათქმელისა თუ ფიქრების ალბ-მიცემობას.

სამზადლისისა

შენ რა, სიკვდილის შემდგომი დიდებისთვის ემზადები? რატომ არ გინდა, დროზე გამოსცე ეგ შენი წიგნი? – მითხრა ერთხელ ჩემმა უახლოესმა მეგობარმა თემურ ცაგარელმა, როცა ამ რამდენიმე წლის წინათ ჩემი მორიგი დაუბეჭდავი წიგნის გაშანშალებული მაკეტი ნახა.

დიდების რა გითხრა, მაგრამ სიკვდილისთვის კი ვემზადები და ჩემს არქივსა და ნაწერებს ვალაგებ-მეთქი.

65 წელი რომ მისრულდებოდა, 65 წიგნის ერთდროულად გამოცემა მოვიწოდებდი. მაგრამ ვერ მოვახერხე, თუმცა ლიტერატურის მუზეუმმა ცდა არ დააკლო, რომ ამ საქმისთვის სპონსორი ეპოვა.

სხვა გზა არ არის, თუ განგებამ დამაცადა, ჩემი 70-ე წლისთავისთვის 70 წიგნს გამოვცემ მიყოლებით! უკვე დავინყე. 16 ოქტომბრიდან.

▶▶ ბაბრძულა იაშვილი

ეზნი სიზჟისა

ქვინად ჩამს ლამაზ მეგობარს

გაცნობით ოცდაათი წლის წინათ გავიცანი, ანუ „შარშანდელი“ საუკუნის ოთხმოცდათორმეტში. ახლა ის სამოციანსა ხდება. იმხანად ერთ-ერთი პარტიული ჟურნალიდან ისევ ჩემს ძველ ადგილას დავბრუნდი, სადაც მთელი ოცდასამი წელიწადი ვმუშაობდი. გაზეთი „კომუნისტი“ „საქართველოს რესპუბლიკად“ სახელმწიფოებრივად დასახედა. სხვათა შორის, იმ ჩემი ძველი რედაქციიდან რომ მივდიოდი, გაზეთის ერთ-ერთმა სტილისტმა ქალმა, გვარად, მგონი, გოგიჩაიშვილმა, ბანქო გამიშალა და მითხრა, აქ ისევ თორმეტი წლის შემდეგ დაბრუნდები, რაც სასწაულად ახდა. მოდი და ნუ დაიჯერებ, რომ მომავლის განჭვრეტის უნარის მქონე ადამიანები არსებობენ!

სწორედ მაშინ, გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობის მეხუთე სართულიდან ისევ მეოთხეზე რომ გადმოვდიოდი, კობეზე შევეჩვიე ერთ ფრიად გამორჩეულ ახალგაზრდა კაცს, ტანმალას, თხელს, ლამაზს, რომელმაც სარედაქციო ბარგი-ბარხანის გადმოტანაში ხელიც კი ნამაშველა. ჩემდა უნებურად რატომღაც მომეჩვენა, რომ ეს ახალგაზრდა კაცი ფიცჯერალდი იყო, ამერიკელი მწერალი სკოტ ფიცჯერალდი, რომლის რომანის „დიდი გეტსბის“ კითხვა ის-ის იყო და-ვამთავრე, ზემოთ ნაწინასწარმეტყველები თორმეტი წელიწადისა არ იყოს, ეს საოცარი მსგავსებაც ერთგვარ სასწაულად აღვიქვი. სხვათა შორის, იგივე დამემართა ერთხელ მექსიკაში ყოფნისას, სრულიად უცხო ადამიანს, როგორც ილიკო სუხიშვილს, იმხანად უკვე გარდაცვლილს, ისე გამოვეცნაურე და ფიქრად ამეკვიტა, რომ იმ გრძელ ქვეყანაში გადმოსულთა სულელები მერე სხვა კონტინენტებზე, სხვა ადამიანებში იდებენ ბინას.

ასე იყო თუ ისე, გარკვეული დროით ფიცჯერალდს გადავყარე ჩემი ახალგაზრდა ნაცნობის, მამუკა ვაშაკიძის სახით და როცა მერე უკვე ისიც შევიტყვე, რომ მამუკაც კალმის ტრფიალი იყო და დროდადრო მცირე პროზასაც აქვეყნებდა, კიდევ უფრო გამისახოვნდა უცხო მწერლის მსგავსებაზე ნაფიქრი.

მაშინ მამუკა სულგანათლებული ჯემალ ნინუას „რესპუბლიკაში“ მუშაობდა. მე „საქართველოს რესპუბლიკაში“ გადმოსვლა ვთხოვე, მაგრამ მან, ჯემალს ვერ ვუღალატებო და, მართლაც, გაზეთის დახურვამდე დემალის გვერდით იდგა. ერთგულეა და უღალატობა ისევე ამშვენებს ამ ახალგაზრდა ლამაზ კაცს, როგორც მწერლური ნიჭიერება, თუმცა ჟურნალისტიკა, მწერლობის ეს ნახევარძმა თუ ნახევარდა, არც-თუ იშვიათად, ცოტა არ იყოს, ხელსაც უშლის მწერლურ კალამს, რაც მთავარია, დროს ართმევს, მით უმეტეს, თუ კალმის ტრფიალ კაცს ყოველდღიური გადაუღებელი საგაზეთო საქმის ერთგულეა გამოარჩევს.

დიახაც, ასეთი ადამიანი ჩემი ლამაზი მეგობარი, უკვე სამოცი წლის მამუკა ვაშაკიძე, რომელიც მაინც ახერხებს ჟურნალისტიკისთვის დროის „მოპარვას“ და ახლა სწორედ ამ „ნაქურდალ“ დროში შექმნილი მამუკას „გაჩუქებულ სევდად“ სახელდებული მცირე პროზის კრებული მიდევს წინ. ეს სევდა სხვათა დამასვენებელი კაემანი კი არ არის, პირიქით, ადამიანში ყოვლის უფრო ადამიანურ გრძნობებს აღვიძებს, კერძოდ, თანადგომის სურვილს, გულმტკიცუნეულობას, გულმეტკიცუნეობას, თანადგომას და, რაც მთავარია, იმის იმედს, რომ ამ უბრალო წუთისოფელში მარტოსული და მიუსაფარი არა ხარ, შენ გვერდით არიან შენი საყვარელი ადამიანები და ჰაერის ნაცვლად სიყვარულით სუნთქავ.

„გაჩუქებული სევდა“ მამუკა ვაშაკიძის პირველი წიგნია, ანუ ბავლი,

როგორც საბა იტყოდა, გამართვისათვის ქორისა და პირველდაჭერილი ფრინველი. რა თქმა უნდა, მამუკას ადრეც შეეძლო თავისი ნოველა-ჩანახატების გამოცემა, მაგრამ ამკარად მეტისმეტად თვითკრიტიკულია და, რაც მხატვრულად ღირებულად მიაჩნია, მხოლოდ იმას ამზებდა, რადგან მკითხველის წინაშე პასუხისმგებლობასთან ერთად ცოტა შიშაც იპყრობს. დროის უქონლობის გარდა, ალბათ, სწორედ ეს პასუხისმგებლობა და შიშია, რომ ცოტას წერს, თუმცა, სამაგიეროდ, რასაც წერს, ნაღდი ლიტერატურაა. ცოტა და კარგო, ნამდვილად ასეთ შემთხვევაზე ნათქვამი.



თვითონ მამუკა ასე მიმართავს, უფრო სწორად, ებოდიშება მკითხველს: „გაჩუქებული სევდა“ დავარქვი ჩემს პირველ წიგნს. ჩემი ნაფიქრალ-სადარდებელი გაგიზიარეო, ჩემი სევდა გაჩუქეო. თუ ცრემლს მოგადენს და დაგაფიქრებს, გამიხარდება და... ბოდიშს გიხდი გასევდიანებისა და ჩემი დარდის გაზიარებისთვისო. თუ ჩვეულებრივ ნაიკითხავ და გვერდით გადადებ, ესეც გამიხარდებაო... რათა ჩემი დარდი ისედაც დასევდიანებულ საქართველოში არ გაგათავისებინო... არადა, ეს დარდი თუ სევდა მარტო თავისი კი არა, საქართველოს დარდი და სევდაა, ქვეყნისტი ქართველის გამწმენდელი და ადამიანობის წესზე მოქცევი, როგორც ნიკო ლორთქიფანიძის კითხვისას გვემართება.

ზეპირი ნათქვამი რომ არ გამოვიდეს, აქ „ჩემი კორხოლს“ მოვიშველიებ... კობიტნარს რომ ჩაუვლის მატარებელი, ასე იწყება „ჩემი კორხოლის“ ციკლის პირველი ნოველა-ჩანახატი „იანეთის ბაქანზე აღარ ჩერდება მატარებელი“: „ტამბურში გასული მამაჩემი ფილტრამდე დაყვანილ სიგარეტს მოისვრის ფანჯრიდან და კუბეში ბრუნდება. „აბა, დროა ახლა, ჩაიცვი, გაემზადეთ, ხო იცით, იანეთში დიდხანს არ აჩერებს“. რაღა გაღვიძება გვინდა მე და ჩემს დას, რიონის სადგურს რომ გამოვცილდით, იმის მერე ვცქერტავთ. ყველაზე მძიმე ჩანთებს მამაჩემი წინასწარ გაიტანს ტამბურში, მერე მე მივყვები, შემდეგ ჩემი და თავისი უზარმაზარი თვალები ფახულა თოჯინით, რომელსაც ყველგან თან დაატარებს, ბოლოს დედაჩემი. „რამე არ დაგჩქო“, – გამოგვძახებს მამა“.

ანდა განა შეიძლება, რომ ნამდვილმა მკითხველმა, და არა გადამკითხველმა, ნაიკითხოს „ალილოს“ ქვემო ნაწყვეტი და დენის მაგვარმა რამ არ დაუაროს ტანში, დიახ, დენის მაგვარმა და არა უბრალოდ ფრუანტელმა: „მივალნიე ტერენტი ბაბუას ჭიშკარს, ძაღლის ყმულის ხმაც მომწედა. ეტყობოდა, არავის უგალობია ალილო. ახლომობა, ახლომობა, ფეხებზე არ ჩანდა. ჭიშკართან შევჩერდი და გავაგრძელე:

არი-არიელი მარიელი,
ნუ გამიშობ ცარიელი და
ოჰო-ჰოი, თი ალი-ლოო...

უცებ ძარღვებში სისხლი გამეყინა. ეზოში ზურგიან სკამზე ტერენტი ბაბუა იჯდა. მუხლებამდე თოვლში იყო ჩაფლული, წინ განვიდელი მარჯვენა

ხელისგულზე აბა ზიანები და კარალიოკის ჩირი ეყარა, მარცხენა ხელი დაბლა ჩამოვარდნოდა და თოვლში ჩაფლულიყო. თავი უკან გადაეგდო. იმხელა თოვლში გაყინულ პატრონამდე ვერ ბედავდა მისვლას და ჭიშკრიდან კარგა მოშორებით, სამზადისის წინ, ცას შეჰყმუოდა საცოდავი პაკუსია“.

სიტყვის მხატვრული მხურვალეობა კიდევ უფრო მატულობს, თანდათან „მტრედებში“, „დონ ფუანში“, „მარიობაში“, „ოლიფანტებში“. განსაკუთრებით კი გამოვეყო „თუთას“, „წინაპრების ძვლებზე ამოსულს“ და „პურის ნატებს“ უკვე თბილისური ციკლიდან, შემპარსუნებლად სიტყვაკაზმულს.

საერთოდ, ეს ჩემი კალმის ტრფიალი ლამაზი მეგობარი პირდაპირ კინოკადრებს ქმნის. რაზეც და ვისზეც წერს, ყველაფერს და ყველას თვალცხადივ ხედავ. იმდენად ახლოს ხედავ, რომ ზოგისთვის ხელის ჩამორთმევაც კი გინდება, ზოგისაც მეგობრულადაც გულში ჩაკვრა.

რადგან ჩემთვის მწერალი უწინარესად ენაა, მამუკამ ამ მხრივაც მიიქცია ჩემი გულისყური. ჯერ ერთი, მხატვრულ სურათოვნებას იმერული კილოვანის ზუსტი გამოყენებით აღწერს, მეორეც, სიტყვას საჭიროებისამებრ მარჯვედ მიმოაქცევს („გაფორლოვით“, „გადახევივებულ ეზოში“, „შემოგვებმატკილა“, „გავიტალავრეთ“).

ამ მცირე წერილის დამთავრება აქ შეიძლება, მაგრამ ვერსაგზით გვერდს ვერ ავუვლი „სამშობლონართმეულის“ ჩანაწერებს, კრებულის მესამე ციკლს. „სამშობლო“ ჩვენი, ჟურნალისტიკის, ოფლით ამშენებული გამომცემლობაა, სადაც თითქმის ყველა გაზეთი და ჟურნალი, ტელევიზიები, რადიომაუწყებლობა, სტამბა საქმიანობდა და აი, ერთ ნამდვილად არამშენებელ დღეს, 2007 წლის აგვისტოში, შენობიდან პოლიციის ძალით უპატრონო ძალებით გამოგვყარა ამჟამად რუსთავის სასჯელსრულებების მე-12 დაწესებულების საკნის ბინადარმა ექსპრეზიდენტმა. ქუჩაში აღმოვჩნდით თითქმის სამი ათასი ადამიანი, ჟურნალისტიკები, მხატვრები, მწერლები, თანამშრომლები...

ჩვენდა გასაკვირად, „ოცნება“ თითქმის ცხრა წელიწადი შიგადაშიგ და თანაც გაუბედავად ლაპარაკობს ნაციონალთა მიერ ჩადენილ ათას დანაშაულზე, მაგრამ რატომღაც ერთხელაც არ უხსენებია ჩვენი „სამშობლოს“ ტრაგედია. ვილაც მილიონერ უგულავას, რომელმაც უთუოდ კორუფციული გარიგებით ხელში ჩაიგდო ჩვენი „სამშობლო“ და, კაცმა არ იცის, რა არის ახლა შიგ, უფრო სწორად, რა ხდება ახლა იქ, აზრადაც არ მოსვლია, რომ გარკვეულწილად, სახელმწიფოსთან ერთად, თუნდაც მცირედად, სამაგიეროს ანაზღაურებაზე ფიქრად და გაცუდებულ ბედის ანაზღაურად დავეტოვებინეთ ქუჩაში!

„სამშობლონართმეული“ მამუკა ჩვენდა გულის მოსაფხანად წერს ყველა „სამშობლონართმეულის“ სახელით („კოიას აპატიმრებენ“, „ვაი ჩვენს პატრონს!“). აქ უკვე ჟურნალისტიკა, რომელსაც ბეჭდური სიტყვის მიმართ ყველა დონეზე გამეფებული გულგრილობა, უფრო მეტიც, სრული უგულბეღიუფა და ანგარიშგაუნეგლობა აღელვებს, მეტადრე სახელმწიფო სტრუქტურების, განსაკუთრებით კი ქვეყნის ხელმძღვანელთა მხრიდან, რომელთა სუყოველი დილა იმ დღის ბეჭდური სიტყვის კითხვით უნდა იწყებოდეს.

მოკლედ, ათასი რამ ფიქრი ამიშალა თავისი ეშხიანად კაზბული სიტყვით ჩემი ან უკვე ორჯერ ოცდაათი წლის ლამაზმა მეგობარმა, უთუოდ კალამ-დალოცვილმა, კარგმა ჟურნალისტიკა და კიდევ უფრო უკეთესმა კალმის ტრფიალმა პროზაიკოსმა, რომელიც ახლა სხვა ხალხთა ფრიალში გარდასული დროის კეთილშობილ ადამიანებს აცოცხლებს.

გურამ გოგიაშვილი



ანა ახმატოვა

ოცდაერთი. ორშაბათი. შეღამება. დედაქალაქს გავცქერ, ბინდში გამოხვეულს, რომ არსებობს ქვეყანაზე შეყვარება, მოაფიქრდა ვილაც საქმეგამოლეულს.

პოდა, სხვებმაც მოწყენით თუ სიზარმაცით სიყვარულის არსებობა დაიჯერეს, იჩქარიან პაემნებზე, აკრთობთ მარცხი, სატრფიალო სიმღერები აიჩემეს.

მაგრამ იწყებს საიდუმლოც ახდას ფარდის და რჩებთან მდუმარების ანაზარა, ამას ერთხელ უნებლიეთ გადავანყდი და მას შემდეგ თითქოს მუდამ ავადა ვარ...

ოცნებები და იდეები გაწევი განზე, მე ველი ზამთარს... ეს ლოდინი ჰგავს არცვის ლოდინს... გახსოვს, რომ – წვიმა არ მოვაო, – ამბობდი ასე, მაგრამ ის მოდის, მოდის და მოდის...

გავცქერი სარკმელს, გაცოცხლები მე ვარ მზირალი, ცხადი და ძილი რამ აურია? გახსოვს? ამბობდი, რომ სიცოცხლე არის სიზმარი, მღვიძავს და ვცოცხლობ – უცნაურია...

ხვალე კი ისევ უშიზეზოდ უნდა ვიცინო, რადგან ეს როლი ჩემი ხვედრია, გახსოვს? – ამბობდი: – ტკივილია ტრფობა, – ვიცინო, თურმე ცდებოდი – სიყვარული ჯოჯოხეთია!

ბოლო ნაწილები

მე ვადღერძელებ გაძარცულ ბინას, ცხოვრებას ჩემსას, ავს, შენთან რომ ვარ და მარტო ვარ, იმას, შენს სადღერძელოს ვსვამ...

მე ვადღერძელებ, რომ ორპირ ბაგის და თვალთა ყინვა მდევს, რომ სამყაროა გულქვა და ტლანქი, რომ არ ვუყვარვარ ღმერთს...

არ მოგვინვს, ერთი ჭიქით დავლიოთ არცა წყალი, არცა ღვინო, ტუბილი, ვერც ამბორით დავიმშენებთ ალიონს, ვერც საღამო მოგვეწევა, თბილი. შენ მზით სუნთქავ, მე კი მთვარით, თეთრით, მაგრამ ვცოცხლობთ სიყვარულით ერთით...

მე ერთგული კავალერი დამყვება, შენ კეკლუცი მეგობარი დაგდევს, რუხ თვალებში, ვიცი, შიში დამხვდება და შენ ის ხარ, ვინც არ მიღვეს დარდებს. იშვიათად და მცირე ხნით ვხვდებით, – ჩვენს სიმშვიდეს ვუფრთხილებით, – ვხვდებით...

შენი ხმა, ჩემს ლექსებში რომ მღერის, შენს ლექსებში ჩემი სუნთქვა დაქრის, არსებულა თურმე ცეცხლი, რომელიც – არ მოხდება – დავინყვებით გაქრეს. ახლა როგორ მენატრება, ჩემო, შენი მშრალი, ფიცხი ბაგის გემო...

რუსულიდან თარგმნა
ია სულაპერიძე



ვლადიმერ გაიასვილი

ცხადია, აუცილებელი არ არის, ლექსი ღვლარჭნილი ალიტერაციებითა და რითმებით აღჭურვილი...

მაგალითად მოვიყვანო ნახევარრიტმის წესი: ავიღოთ ერთი ჩვეულებრივი ზმნა, რომელიც ყურს არ გვჭრის...

ეს კიდევ ერთხელ დაგვიდასტურებს იმას, რომ ლექსის წერის ყველა წესი ფარდობითია.

ტექნიკურ სამუშაოთა რიგს განეკუთვნება პოეტური ტექსტის ინტონაციური მხარეც.

შეუძლებელია იმუშაო უპაერო სივრცეში, თუმცა მეტისმეტად ჰაეროვანი სივრცეც დამლუპველია.

ყოველთვის თვალწინ უნდა გედგას აუდიტორია, რომელსაც ლექსი მიემართება. ეს განსაკუთრებით საჭიროა ახლა, როდესაც მასებთან ურთიერთობის მთავარ საშუალებად ვიყენებთ ესტრადას, ხმას, უშუალო კონტაქტს.

აუდიტორია გვკარნახობს, თუ როგორი ინტონაცია უნდა ავიღოთ - დამარწმუნებელი თუ მავადრებელი, მბრძანებლური თუ კითხვითი.

ჩემი ლექსების უმრავლესობა სასაუბრო ინტონაციაზეა აგებული, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ჩემთან ყველაფერი უცვლელია. ინტონაცია ვცვლი იმის მიხედვით, თუ რა აუდიტორიასთან მიწევს ურთიერთობა. აი, მაგალითად, კვალიფიციური მკითხველი დაბეჭდილ ტექსტში, ცოტა არ იყოს, ბუნდოვნად აღიქვამს ასეთ სტრიქონს:

უნდა გამოვსტაცო სიხარული მომავალ დღეებს. ესტრადიდან კითხვის დროს ამას ვითვალისწინებ და სტრიქონს მაქსიმალურად ვადლიერებ ყვირილით: შენი ლოზუნგი: გამოსტაცე სიხარული მომავალ დღეებს!

ამიტომ არ უნდა გაგვივირდეს, თუ ვინმემ დაბეჭდილ ტექსტშივე მოგვცა სხვადასხვა განწყობილების არანაირი რაობა, როცა ლექსს დასაბეჭდად ამზადებ, უნდა გაითვალისწინო, როგორ აღიქვამენ მას დაბეჭდილის სახით. მხედველობაში უნდა გვყავდეს საშუალო მკითხველი. მისი აღქმა მაქსიმალურად უნდა მივაახლოვოთ იმ ფორმასთან, რომელიც ავტორს ჰქონდა ჩაფიქრებული.

ნიშნებით არაფერია იმ ემოციებთან შედარებით, რომლებსაც ავტორი დებს თავის პოეტურ ნაწარმოებში.

ზომა და რიტმი გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე პუნქტუაცია.

არსებობს ალექსეი ტოლსტოის ლექსი: შიბანოვი დუმდა. გახვრეტილი ფეხიდან ლაღისფერი სდიოდა სისხლი...

ამას ასე კითხულობენ: შიბანოვი დუმდა გახვრეტილი ფეხიდან... შემდეგ: საკმარისია, სირცხვილი მტანჯავს, იმ პოლონელი ქალის წინაშე თავს ვერ დავიმცირებ.

ეს სიტყვები კი ისე იკითხება, როგორც პროვინციული საუბარი:

დასასრული. დასაწყისი. „ლს“ № 20.21.22.23.24.25

როგორ ვაკეთოთ ლექსები?

საკმარისია სირცხვილი... იმისათვის, რომ წავიკითხოთ ისე, როგორც პუშკინს უნდოდა, სტრიქონები უნდა დავტყუროთ როგორც ჩემს ლექსებშია:

საკმარისია, სირცხვილი მტანჯავს...

ასეთი დაყოფის დროს გამორიცხულია აზრობრივი ან რიტმული აღრევა. სტრიქონების დატეხა ხშირად აუცილებელიც არის იმისათვის, რათა რიტმი უცთომლად გამოიკვეთოს. თანამედროვე ლექსის კონდენსირებული აგებულება ზოგჯერ გვაიძულებს, გამოვტოვოთ საშუალებო სიტყვები და მარცვლები, და თუ ამ სიტყვებისა და მარცვლების ადგილას არ შევრჩერდებით, რიტმი დაირღვევა.

აი, რატომ ვწერ ასე: სიცარიელე! ვარსკვლავების გასწვრივ სივრცისკენ.

„სიცარიელე“ ცალკე დგას, როგორც ერთადერთი სიტყვა, რომელიც ცის პეიზაჟს ახასიათებს. ცალკე დგას „სიცარიელე“ იმიტომ, რომ არ გამოგვივიდეს ბრძანებითი კილო და ის იზოლირებული იყოს შემდგომი სტრიქონების აზრისგან.

ტენდენციური, დეკლამაციური ლექსის ერთ-ერთი სერიოზული დეტალია დაბოლოება, სადაც თავს იყრის ყველაზე ეფექტური სტრიქონები. ზოგჯერ შეიძლება მთელი ლექსის გადაკეთებაც კი დაგვჭირდეს იმისათვის, რათა ჩაფიქრებული კომპოზიცია დაბოლოების ხასიათს მოვარგოთ.

ესენინისადმი მიძღვნილ ჩემს ლექსში დაბოლოების ფუნქციას, ბუნებრივია, ესენინისავე სიტყვების პერიფრაზირება ასრულებს.

გავიხსენოთ. ესენინისა: სიკვდილი ცხოვრებაში ძველია, ვაი, რომ ეს ცხოვრებაც მოძველდა.

ჩემი: სიკვდილი ძნელი არასოდეს არა ყოფილა, ცხოვრების შექმნა, მჯერა, უფრო ძნელი რომ არის. (თარგმანა ჯემალ ინჯიამ)

ამ ლექსზე მუშაობის განმავლობაში გამუდმებით ვფიქრობდი მოცემულ სტრიქონებზე, ცნობიერად თუ არაცნობიერად ამ სიტყვებთან ვიყავი.

რა დამაინტერესებდა. ყველაფერს ზეპირად ვაკეთებდი (როგორც ჩემი ლექსების უმრავლესობას).

ამიტომ არ ვიცი, რამდენჯერ გადავამუშავე. დაახლოებით 50-60 ვარიანტი უნდა მქონოდა.

სიტყვის ტექნიკური დამუშავების უსასრულოდ ბევრი ხერხი არსებობს. მათზე საუბარს აზრი არა აქვს, ვინაიდან პოეტური სამუშაოს არსი, როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნე, სწორედ ის გახლავთ, რომ აღმოვაჩინოთ დამუშავების ხერხები. ინდივიდუალური მუშაობის ეს წესი აყალიბებს მწერალს პროფესიონალად. პოეზიის თაღმუდისტები ალბათ შუბლს შეიჭმუნხნიან, რადგან მათ უყვართ მზამზარეული პოეტური რეცეპტების გაცემა. ავიღოთ რაღაც შინაარსი და მივუსადაგოთ პოეტური ფორმა, იამბი იქნება ეს თუ ქორეი, გავრითმოდ ბოლოები, ავანყოთ ალიტერაციები, დავურთოთ სახე - და ლექსიც მზად არის.

მაგრამ ასეთ ხელნაკეთ საგნებს, იცოდეთ, ყველა რეაქცია ნაგავში მოისვრის (და ძალიანაც კარგი, თუ მოისვრის). ადამიანს, რომელმაც პირველად აიღო ხელში კალამი და უნდა, ერთ კვირაში დაწეროს ლექსები, ჩემი წიგნი არ გამოადგება.

ჩემი წიგნი გამოადგება იმას, ვისაც, მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა, სურს იყოს პოეტი; გამოადგება იმას, ვინც იცის, რომ პოეზია ერთ-ერთი უძნელესი დარგია, მაგრამ ჯიუტად ცდილობს, ჩასწვდეს ამ დარგის საიდუმლოებებს.

დაბოლოს, დასკვნების მსგავსი: 1) პოეზია წარმოებაა. უძნელესი, ურთულესი, მაგრამ მაინც წარმოება.

2) პოეტური სამუშაოს სწავლება - ეს გულისხმობს არა მარტო ცალკეული პოეტური ელემენტების შესწავლას, არამედ ყველა პოეტური ქმედებისა და საწარმოო ჩვევების ათვისებას მთლიანობაში.

3) სიახლე. მასალისა და ხერხების მუდმივი განახლება აუცილებელია ყველა პოეტური ნაწარმოებისათვის.

4) მელექსე მუშაობს ყოველდღე, განუწყვეტლივ, რათა გაიუმჯობესოს ოსტატობა და დააგროვოს მზა მასალა.

5) კარგი უბის წიგნაკი და მისი გონივრული გამოყენება გაცილებით შედეგიანია, ვიდრე მკვდარი სახომებით წერა უშეცდომოდ და სუფთად.

6) საჭირო არ არის დიდი პოეტური ქარხნის გახსნა პოეტური სანთებლების დამზადების მიზნით. უარფყოთ ეს არარაციონალური წერილმანი.

კალამი მხოლოდ იმ შემთხვევაში ავიღოთ ხელში, როდესაც სათქმელის გადმოცემის სხვა არანაირი საშუალება არ გვაქვს, ლექსის გარდა. მზა დეტალები მხოლოდ მაშინ გამოვიყენოთ, როცა ვგრძნობთ და ვხედავთ, რომ გვაქვს სოციალური დაკვეთა.

7) იმისათვის, რომ სოციალური დაკვეთა სწორად გაიგო, ცხოვრებისა და მოვლენების შუაგულში უნდა იყო. პოეტისათვის ეკონომიის თეორიისა და რეალური ყოფიერების ცოდნა ან კიდევ ისტორიის მეცნიერების წვდომა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სქოლასტიკური სახელმძღვანელოები, რომლებიც პროფესორ-იდეალისტების ძველმანებშია გახვეული.

8) სოციალური დაკვეთა ვერ შესრულდება, თუ შენს კლასთან ერთად არ იბრძვი ყველა ფრონტზე. უნდა დაიმხვრეს ზღაპარი აპოლიტიკური ხელოვნების შესახებ. ეს ძველი ზღაპარი ისევ შემოდის მოდაში, ოღონდ სახე აქვს ახალი, უფრო სწორად, ამოფარებულია ახალ იდეებს „ფართო პოეტური ტილოებისა“ (თავიდან ეპიკური, შემდეგ ობიექტური და ბოლოს უპარტიო) და „დიდი სტილის“ (თავიდან დიდი, შემდეგ ამალღებულები და ბოლოს ზეციური) შესახებ.

9) ხელოვნებისადმი წარმოებითი დამოკიდებულება არ არის ის ერთადერთი პრინციპი, რომელსაც შეუძლია მოსპოს შემთხვევითობა, გემოვნების უპრინციპობა და შეფასებათა ინდივიდუალიზმი. მხოლოდ წარმოებითი დამოკიდებულება აერთიანებს ლიტერატურული საქმიანობის ორ სხვადასხვა სახეობას: ლექსსა და მუშპორის ცნებას. მას შეუძლია პოეტურ თემაზე მისტიკური განსჯის ნაცვლად მიგვიყვანოს, მიგვაახლოვოს პოეტური ტარიფიკაციისა და კვალიფიკაციის აქტუალურ საკითხებთან.

10) არ შეიძლება, თვითმარი ღირებულება მივანიჭოთ დახვეწას, გამოქნას, ეგრეთ ნოდებულ ტექნიკურ დამუშავებას, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სწორედ ამ დამუშავების წყალობით ხდება ლექსი ვარგისი. ოღონდ, საქმე ის არის, რომ დამუშავების ხერხებს შორის არსებული განსხვავებები იძლევა განსხვავებას პოეტებს შორის. მხოლოდ ცოდნა, ოსტატობა, გამოცდილების დაგროვება, ლიტერატურული ხერხების მრავალსახეობა აქცევს ადამიანს პროფესიონალ მწერლად.

11) ნამდვილი ნაწარმოების შექმნას, სხვა ფაქტორებთან ერთად, ყოფითი პოეტური გარემოც განაპირობებს. სიტყვა „ბოჰემა“ ყველანაირი მხატვრულ-ობიექტივური ყოფის სინონიმად იქცა. სამწუხაროდ, ჩვენი ბრძოლა უმეტესწილად სიტყვასთან და მხოლოდ სიტყვასთან ჭიდილს გულისხმობდა. რეალურად თუ შევხედავთ, აშკარაა ძველებური ლიტერატურულ-ინდივიდუალისტური კარიერიზმის ატმოსფერო, ჯგუფობრივი ინტერესები, ურთიერთდამამოთხრელი ჩალიჩი; ხალხში ცნება „პოეტს“ ცვლის „ჩანჩურა“, „ლოთბაზარა“, „სალახანა“ და ა. შ. ის კი არა, პოეტს ჩაცმულობა და თვით ოჯახში ცოლთან საუბარიც კი გამორჩეული, შემოქმედებითი უნდა ჰქონდეს.

12) ჩვენ, ლეფელებს, არასოდეს გვითქვამს, რომ პოეტური შემოქმედების საიდუმლოებები მხოლოდ ჩვენს ხელშია. მაგრამ ჩვენ ვართ ერთადერთნი, რომლებსაც არ გვსურს, რომ მხატვრული შემოქმედება სპეკულაციურად შემოიზღუდოს მხატვრულ-რელიგიური თაყვანისცემით.

ჩემი მცდელობა - ეს არის მარტოხელა კაცის გაბრძოლება, რომელიც მხოლოდ თავისი მეგობარ-თანამემსტიყვეთა თეორიული შრომებით სარგებლობს.

ახლა საჭიროა, მესიტყვებმა თავიანთ შრომებში უხვად შეიტანონ ახალი მასალა და დაეხმარონ პოეტური საქმიანობით დაკავებულ პროფესიონალებს.

თუმცა ეს არ კმარა. სახალხო განათლების ორგანოებმა საფუძვლიანად უნდა დაფეროთნონ ესთეტიკური სწავლების დრომოქმედი ბალასტი.

1926 წელი

თარგმანა მალხაზ ივანიძემ ლექსების მთარგმნელები ჯემალ ინჯია ვაჟა ბეთანელი

ნონა გაზიაშვილი

ლიტერატურული სამყარო რომ ზიარ-ჭურჭელსა ჰგავს, ეს სულაც არ არის ახალი ამბავი. ერთ ჭრილში ჩასხმული იდეები მეორეში ისე დაიწყებს ლივლივს, შეიძლება თავად ჭურჭლის პატრონს - ამ სამყაროს - წარმოდგენა არ ჰქონდეს თუ როგორ ხდება ეს. იდეები და აზრები წყლის თავზე მოტივტივე ზეთოვან მასას ჰგავს, რომელიც, ერთი ერის თავზე ატივტივებული ახლა სხვა ერის ზედაპირზე ამოჰყოფს ხოლმე თავს. ეს არც ისე უცნაურია, როცა ერთი და კულტურა დომინანტია ამა თუ იმ ეპოქაში. ელინისტურ აზროვნებას რომ ყველა პერიოდსა და კულტურაში არ ეჩინა თავი, გასაკვირიც იქნებოდა; და სადაც არ გგონია, ისე ძლიერად წამოჰყოფს ხოლმე თავს, თითქოს მას შემდეგ არაფერი შექმნილა და სამყარო ისევ პირველყოფილი მითების ამარაა დარჩენილი. შექსპირის ჰამლეტი შექმნიდან დღემდე იმდენჯერ შეიჭრა, ზოგჯერ ლამის იორიკის თავის ქალას დაემსგავსოს, ხორც-და სიცოცხლე შემოდარცული. მაგრამ როგორ მოხდა ან საიდან, რომ გრიგოლ რობაქიძის ერთმა მომცრო რომანმა თავი ისეთი მწერლის ყველაზე ცნობილ რომანში გაამყდუნა, როგორც ვორჯ ორუელის „1984“-ია. როგორ მისწვდა ინგლისელ მწერალს გერმანიაში რობაქიძის ჩურჩულად გაფანტული ხმა და აზრები? არადა, წამდვილად მისწვდა, მაგრამ ამას, ალბათ, ვერ გავიგებთ. ან, იქნებ, ყველა ხელოვანი იმ ზიარჭურჭელივითაა დაკავშირებული, შემოქმედის საერთო ძირს რომ იზიარებს და მაშინ არც ის მსგავსებები იქნება გასაკვირი, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. ასეა თუ ისე, დასაწერი დაიწერა, შემოქმედთა მისტიკური კავშირი გამჟღავნდა (აბა, სხვა რა დაგვრჩენია თუ არა მისტიკური ვუნოდოთ იმას, რაც ვერ აგვიხსნია. ეს ხომ მარტივი და კარგად ნაცადი ხერხია.) და გასაბჭოებული საქართველოდან გერმანიის გავლით ორუელმაც ყური მოჰკრა გრიგოლ რობაქიძის უცნაურ ჩურჩულს.

საბჭოეთის შვილიშვილებს შეიძლება გავიკვირდეს, რა ზუსტად და წინასწარმეტყველურად აღწერს ორუელი კომუნისტურ რეჟიმს. მას რომ პოლიტიკური პროცესების ძალიან ზუსტი და მახვილი ხედვა ჰქონდა, უპირველესად, განაპირობა მისმა ნიჭმა და გამოცდილებამ. თუმცა მისი პოლიტიკური ხედვა საბოლოოდ ესპანეთის სამოქალაქო ომმა და, ერთი მხრივ, შიტლერის, ხოლო, მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირის (სტალინის) გამოჩენამ ჩამოაყალიბა. მთელი მისი გამოცდილება ამოქმედდა, რომ ბოლო რომანში ტოტალიტარული სახელმწიფო სისტემის ანალოგი შეექმნა. სისტემა, რომელიც ორუელმა „1984“-ში აღწერა, დიქტატორის სახელმძღვანელოდ შეიძლება ჩაითვალოს, რომელსაც მარტო კომუნისტური რეჟიმი კი არა, ნებისმიერი ტირანული ძალა მიმართავს ხოლმე საკუთარი მიმართველობის დასახევნად. და სწორედ აქ ჩნდება რობაქიძე, რომლის „ჩაკლული სულში“ გაცხადებული ნედლი შთაბეჭდილებებიც ასე დახვეწილი და სისტემად ქცეული გამოჩნდა „1984“-ში.

ამ რომანების განსხვავებების ჩამოთვლისას მხოლოდ დასაწყისები კი იკმარება. „ჩაკლული სულის“ თბილი და მზიანი დასაწყისის საპირისპიროდ დგას „1984“-ის ცივი და ქარიანი აპრილი (ეს წყეული თვე, როგორც ელიოტი იტყოდა). და ეს კონტრასტი ბოლომდე გაჰყვება ორივეს. ერთი მხრივ, რობაქიძის ადამიანი ჯერაც მყარადაა მიჯაჭვული მიწას, მზეს, ღმერთს და მითოსსაც ჯერ ისევ თავგამოდებით ეჭიდება. ეს განსაკუთრებით აშკარაა რომანის პირველ ნახევარში. აქ ხშირია მითოსურ



ეპოქალური კავშირები რობაქიძიდან ორუელამდე

პერსონაჟებთან დაკავშირებული მეტაფორული სახეები (მაგ. გილაგამეში, დიონისე, მენადები). ავტორი ზოგიერთ ადგილს ასე ახასიათებს: თითქოს „ჯერ კიდევ ბიბლიის სურნელი ასდიოდა“ და „ღმერთს ჯერ არ დაესრულებინა შექმნა.“ მთავარი პერსონაჟის საყვარელი ქალსაც ევას ადარებს. ხშირად გვხვდება ისეთი სიტყვები, როგორიცაა „პირველყოფილი“ და „პირველქმნილი.“ მიუხედავად პირველყოფილობისადმი ამ თავგანწირული ჩაბლაჭუბისა, გარდაქმნა გარდაუვალა და რომანის ბოლოს უკვე ჩნდება ეჭვი: იგი (თამაზი), იქნებ ალარც იყო ადამიანი? - ადამიანი იმ პირველქმნილის გაგებით. რაც შეეხება ორუელის ადამიანს, ის საბოლოო შედეგია იმ გარდაქმნებისა, რომელიც „ჩაკლული სულში“ უკვე დაწყებულია. რობაქიძის რომანში გახშირებული გაფრთხილება „ახალი ადამიანი იბადება“ „1894“-ში უკვე მომხდარი ფაქტია - „ახალი ადამიანი დაიბადა.“ შეიძლება ითქვას, თამაზი შესაქმნელად განწირულია, უინსტონი კი უკვე შექმნილი, თუმცა მოგვიანებით პარტიის მიერ წუნდადებული. მისი დაბადების წელიც სიმბოლურია - 1944-45, როცა საბჭოთა კავშირის შთაბეჭდვითი გამარჯვებები ასე თუ ისე დადებით იმიჯს უქმნიდა საბჭოეთსა და მის მთავრობას. მაგრამ უინსტონის არსებას უფრო ადრე, ოციან წლებში ჩაეყარა საფუძველი ან, თუ გნებავთ, იგი თამაზის რეინკარნაციად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

ამ პრინციპული კავშირის გამო, პირველი მსგავსება, რაც ამ ორ რომანში ჩანს, სწორედ ადამიანია - ორმოცი წლის თამაზი და ოცდაცხრამეტი წლის უინსტონი - ეს თითქმის ერთი და იგივე წლოვანება, რომელიც ორივე მწერალს პირველსავე გვერდებზე აქვს გაცხადებული, უეჭველად შემოპრუნების წერტილად მიიჩნია ორთავემ - „სიმწიფის ხანად“, როგორც რობაქიძე ამბობს, სადაც ადამიანი თავის მომავალსა და წარსულს აერთიანებს. ორივე რეჟიმის სამსახურშია ჩამდგარი და ორივეს მწერლობასთან აქვს კავშირი. თამაზი სასცენარო განყოფილებაში მუშაობს და მისი ამოცანა, სცენარში „ყველა წერილმანი ისე უნდა განლაგებულიყო, რომ საბოლოოდ ეჭვის ნატამალიც არ დარჩენილიყო“, პრინციპში, სავსებით აღწერს უინსტონის საქმიანობას „ნაწერთა დეპარტამენტში“. ორივე ქმნის ტყეილს და წილი უდევს სისტემის ფუნქციონირებაში. და, ამის მიუხედავად, ორივეს უწინდება ეჭვი. თუმცა „ჩაკლული სულის“ სამყაროში დაეჭვება ჯერ ისევ არ

არის მომავლიდან ეჭვი. აი, „1984“-ში კი ეჭვიც უპატიებელია. რობაქიძესთან წინააღმდეგობა ჯერ ისევ ბუნებრივია; ორუელის შემთხვევაში კი თავად პარტია ქმნის ხელოვნურ წინააღმდეგობას ადამიანთა ფარული ეჭვების გამოსავლენად.

მრავალი განსხვავების მიუხედავად, ძველ და ახალ ადამიანებს მაინც აქვთ ადამიანური გრძობები და სიყვარულის სურვილი. სიყვარული არა რომანტიკული, არა ცხოველური, არამედ ადამიანური სიყვარული, მოზიარის სიყვარული, რასაც მივყავართ ამ ორი რომანის მომდევნო მსგავსებამდე, რაც გამოიხატება რეჟიმის მტკიცე და ურყევ მცდელობაში, ჩაკლას ეს სიყვარული, მეგობრობა და დამსმენებისა და გათითოკაცებული ადამიანების საზოგადოება შექმნას, სადაც ადამიანის უზენაესი მიზანი და დანიშნულება პარტიის ინტერესების სამსახურში დგომია. ორივე შემთხვევაში, ადამიანი განმარტო-



ებული, იზოლირებული არსებაა - თითქოს რაღაც მთელის ნაწილი, მაგრამ ამავე დროს სრულიად მარტოსული მონადა. როგორც „ჩაკლული სულში“, ისე „1984“-ში ადამიანების მიმართ შიში და უნდობლობა არის სისტემის მყარი საფუძველი. და ასე, პოლიტიკური ფურცლებში გამოკრული გულებით არსებობენ ადამიანები, ორივე რეალბაში სიყვარულსა და თანადგომას მოკლებულნი, სადაც ერთადერთი რამ, რაშიც დარწმუნებული ხარ, ისაა, რომ მუდმივად გაითვალთვალდებიან „ჩაკლული სულში“ პირდაპირ გვხვდება ეს სიტყვები: „ყველამ იცის, რომ მის ყოველ ნაბიჯს თვალს ადევნებენ, მის ნათქვამ ყოველ სიტყვას ყურს უგდებენ“. რობაქიძის ეს „უჩინარი და ყველგან მყოფი მეთვალყურე“ ორუელმა თავის ცნობილ „ეკრანად“ აქცია და ასევე დაუწიყარი ფრაზით შეასხა ხორცი: „დიდი ძმა გითვალთვალდებს!“ რობაქიძის მეტაფორული „ყოლის მხილველი თვალი“ ორუელთან თვალთვალის უკვე სრულყოფილი სისტემაა, რომლის „თვალელები ყველა მხრიდან გიმზერენ“ და 35-იანი წლების ე.წ. საიდუმლო მაგიდა „1984“-ში უკვე „აზრის პოლიცია“ გვევლინება.

უკანასკნელი, ყველაზე ნიშანდობლივი მსგავსება ის გახლავთ, რომ ორივე მწერალმა ადამიანის დაცემად, სულის კვდომის ნიშნად მეორე ადამიანის გაყიდვა, განრგვა მიიჩნია. ორივე პერსონაჟი სისტემის წინაშე მარცხდება, როცა ის ლალატობს საყვარელ ადამიანს - თამაზი საკუთარ მეგობარს დაასმენს, უინსტონი კი საყვარელ ქალს ულალატებს. როგორც კი ეს აქტი ჩადენილია, ორივე თავისუფალია სისტემის მარყუებებისგან - მიზანი მიღწეულია, ადამიანი მათში დამარცხებულია, საბოლოოდ ყველა ყველას გათქვამს.

„მეც!“ ჩაილულულა თამაზმა და იქნებ „შენც?“ ჰკითხა ფერნანსულმა ბიჭმა და გადახვია.

ასე მარცხდება თამაზი და ამ მარცხის გააზრებაც კი გამანადგურებელია მისი არსებისთვის. უინსტონს და ჯულისას კი შეხვედრისას მხოლოდ ერთი რამ აქვთ ერთმანეთისთვის სათქმელი:

„- მე შენ გილალატე, - თქვა ქალმა უბრალოდ.

მე შენ გილალატე, - თქვა კაცმა.“

ორუელმა კი ორივე მწერლის მიერ მიგნებული დამარცხების ეს აქტი ასეთი სტრიქონებით შეაჯამა:

„ტოტებგაშლილი ნაბლის ქვეშ მე შენ გაგყიდე, შენ კი მე...“

იმისდა მიუხედავად, ამ ორ მწერალს რა შეიძლება სცოდნოდა ერთმანეთზე, ტექსტები გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ გრიგოლ რობაქიძემ, ასე ვთქვათ, სამშენებლო მასალა მისცა ორუელს იმ რთული, ცივი და დახვეწილი ტოტალიტარული სამყაროს ასაშენებლად, რომელიც „1984“-შია წარმოდგენილი. ყოველგვარი რომანტიკულობისგან განძარცული ეს სამყარო მეტად ახლო და, ამავე დროს, მეტად შორსაა გრიგოლ რობაქიძის სამყაროსგან, სადაც ადამიანი ჯერ კიდევ ცდილობს ადამიანობას, თუმცა ორივე შემთხვევაში განწირულია. დროის ცნობილი ქრონოტოპები რომ მოვიშველიოთ, „ჩაკლული სული“ განთიადია და ორუელის წინასწარმეტყველურ შუალამემდე ჯერ შორსაა, მაგრამ ეს პირქუში და ცივი შუალამე ხომ უკვე გარდაუვალია, თუ გათენდა და ახალი დღე დაიწყო.

წერის თემატიკა, როგორც თავად ორუელიც აღნიშნავს, იმ ეპოქით განისაზღვრება, რომელშიც მწერალი ცხოვრობს; მით უმეტეს, როცა ისეთი ძლიერი ძვრების ეპოქაში ცხოვრობ, როგორც ორუელისა და რობაქიძისაა, გარდაუვალა, არ წერო ამ პროცესებზე და გულგრილად ჩაუარო მათ. შესაძლოა, სწორედ ეპოქამ განსაზღვრა ამ ორი რომანის მსგავსებები, ისევე, როგორც მსოფლიოში დაწყებულმა ძვრებმა განსაზღვრა თავის დროზე ე. წ. ღერძული დროის ინტელექტუალური გამოღვიძება და რელიგიური თუ ფილოსოფიური მიმართულებების ჩამოყალიბება მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. ისიც სავსებით შესაძლებელია, რომ ორუელი სადმე გადააწყდა რობაქიძის „ჩაკლული სულის“ ეგზემპლარს, როცა მეორე მსოფლიო ომის დასასრულს სამხრეთ გერმანიაში რაღაც პერიოდი დაჰყო. თუმცა ამის მტკიცებულება არა გვაქვს და, შესაბამისად, მხოლოდ ისლა შეგვიძლია, რომ ვივარაუდოთ.

როგორც უნდა ვეცადოთ, უკვე ვეღარ ვიპოვით იმ კავშირს (გარდა ტექსტების კვლევისას აღმოჩენილისა და ეს, პრინციპში, სრულიად საკმარისია კიდევ ახალი კრიტიკისთვის), რაც ორი მწერლის ამ ორ რომანს უდევს საფუძველად და არცაა ამის ძიება საჭირო. ამაზე მსჯელობა საბოლოოდ ისევ მისტიკურობამდე მიგვიყვანს (რაც, როგორც უკვე აღვნიშნე, საკმაოდ მოსახერხებელი, მაგრამ ლიტერატურული კრიტიკისთვის არც ისე შესაფერისი ხრიკია). ალბათ, ყველაზე უპრიანი იქნება, ნიკოს კაზანძაკის დავესესხით - ეს ორი მწერალი, ორივე გამორჩეული გონის მოაზროვნე, ფოთლის კიდესთან მიჩორებულ თავალებულ გამოცდილებებზე მივიჩნიოთ, რომლებიც „უშიშრად ჩამტყრებთან იქ, უძირო სამყაროში გამეფებულ ქაოსს და ყურს უგდებენ ამ სამყაროს ფოთოლთა შორეულ შრიალს.“ სამყაროს ფოთლები კი ყოველ ეპოქაში განსხვავებულია შრიალეებენ და ორთავემ თანმიმდევრულად გატყუა ის კოდი ამ შრიალში დამალული შეტყობინების ამოსაცნობად.

მთავარი რედაქტორი ივანე აშირანაშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე ელისაბედ მებრეველი
ფინანსური მენეჯერი ქატიკან დამატრაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ბალა გველსიანი, მზია ბარბაქაძე
დიზაინერი-დამკაბადონებელი, გავრცელების სამსახური ვოლდემარ პანსკი

„ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიშის ნომერი:
საქართველოს ბანკი, GE43BG000000161665862
ზანდუქელის №1; ტელ.: 293 69 77 E-Mail: litsaqaartvelo@yahoo.com

დაბეჭდილია შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი: თბილისი, თევდორე მღვდლის 57

გამოდის პარასკეობით
ISSN 1987-9806
91771987980005